მიმდებარედ; ორთაჭალის ქუჩა; ბერიძის ქუჩა; დადიანის ქ.N46; გრიშაშვილის ქN30 ეზო; ლორთქიფანიძის ქ.N1 ეზო; ღოღობერიძის ქ.N69; რუსთავის გზატკეცილი N259, N165, N30, N263, N257,N269-ს მიმდებარედ; ერეკლეს ქუჩა; ვირსალაძის ქუჩა. დაზიანებული ქვაფენილის საფარი შეკეთდა 1 278.5 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: კოტე აფხაზის ქ.N13, N45-ის და სოფიკოს სკვერის მიმდებარედ, აბანოს ქუჩაზე, ფირდოუსის ქუჩაზე, გორგასლის ქ.N91,N11,N13-ის მიმდებარედ, ქუმსიაშვილის ქ.N5,N15-ის მიმდებარედ, საბანაძის ქუჩა, კალანდაძის ქუჩა N1,N3,N5-ის მიმდებარედ, თაბორის შესახვევი ეკლესიის და N7-ის მიმდებარედ, ბეთლემის აღმართი N10, სოღანლუღის შესახვევი. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების, შესრულებული სამუშაოების ხარისხის გარანტიის ხარჯები 6.6 ათასი ლარი და მარნეული ქუჩის კაპიტალური შეკეთების ავანსი 485.0 ათსი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 57 864.2 კვ.მ გზის ასფალტის საფარისა და 3 117 კვ.მ ქვაფენილის დაგება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება - 47 706 კვ.მ ასფალტის საფარი და 1391 კვ.მ. ქვაფენილი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 54 951.79 კვ.მ ასფალტის საფარი და დაიგო 1 278.4 კვ.მ ქვაფენილი.

01 01 17 გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 3,877.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,857.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები; შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 715.65 კვ.მ

ქვაფენილის დაზიანებული საფარის მიმდინარე და 1211.86 კვ.მ კაპიტალური შეკეთების სამუშაოები: შენგელიას ქ.N6ა-ს მიმდებარედ, ქ.N37-ის მიმდებარედ, ლარსისა და კეკელიძის ქუჩების კვეთაზე, გუნიას I გასასვლელი N5-ის მიმდებარედ, ლეონიძის ქუჩის პერიმეტრი, ჯაფარიძის ქუჩა N28-ის მიმდებარედ, ა.ჭავჭავაძის ქუჩის პერიმეტრი, გ. ახვლედიანის ქ.N10-ის მიმდებარედ, ვ. ბარნოვის ქ.N10-ის მიმდებარედ, ნიშნიანიძის ქ.N12-14 მიმდებარედ, კ. მესხის ქუჩის პერიმეტრზე, შენგელიას ქ.N12-ის მიმდებარედ, ა. ჭავჭავაძისა და არსენას ქუჩის კვეთა, მ. ზანდუკელის ქ.N6 - ის მიმდებარედ, ალ. ჭავჭავაძის ქ.N17-19-ის მიმდებარედ, გ. ლორთქიფანიძის ქუჩაზე, გერგეთის ქ.N1-ის მიმდებარედ, გოგებაშვილის I შესახვევში, გუნიას შესახვევში;

ჩატარდა 15125.1 კვ.მ ასფალტის დაზიანებული საფარის მიმდინარე და 33621.75 კვ.მ კაპიტალური შეკეთების სამუშაოები: ლ. ასათიანის ქ.N54, N54, პეტრე მელიქიშვილის ქ.N4/6, მაჭავარიანის ქ.N4, გოგებაშვილის I გასასვლელი N10, მილორავას ქუჩა, რ. ჯაფარიძის ქუჩის პერიმეტრი, ახლედიანის ქ.N3 - ის მიმდებარედ, იაშვილის ქ.N12, ლარსის ქუჩა, შინდისი, კოსტავას ქუჩა, ოქროყანა, ბესიკის ქუჩა N10-ის მიმდებარედ, ოქროყანა, ფუნიკულიორის ზედა პლატო N5/3 მიმდებარედ, ზანდუკელის ქ.N1, აბაკელიას ქ.N13-ის ეზო, აბაკელიას ქ.N3 და N5-ის მიმდებარედ, ტაბახმელა, კორპუსი N5-ის მიმდებარედ, კ. კეკელიძის ქ. N2/2-ის ეზო, მ. კაკაბაძის ქუჩა, მაჭავარიანის ქ.N17-ის ეზო, კოსტავას ქ.N60-ის ეზო, ტაბახმელა, კორპუსი N6-ის ეზო, რიწის ქ.N6, კრავეიშვილის ქ. და ინგოროყვას ქ. კვეთა, უკლებას ქუჩა, ინგოროყვას ქუჩა, ტაბახმელა, კორპ. N8-ის ეზო, ბარნოვის ქ.N26-ის ეზო, რ. ჯაფარიძის გასასვლელი,წავკისი, შ. რუსთაველის ქუჩა, შინდისი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა, კოჯორი, ნ. ბარათაშვილის II ჩიხი, გ.ლორთქიფანიძის ქუჩა N16/3-ის ეზო, შხეფის ქ.N23-ის მიმდებარედ, ჭანტურიას ქ.N6/2-ის მიმდებარედ, ასათიანის ქ.N56-ის ეზო, წავკისის ველი - ბაღდავაძის ქუჩის მიმდებარედ, ბაქრაძის ქ.N10 - ის ეზო, ი. მაჩაბლის ქუჩა N15-ის ეზო, კოსტავას ქ.N1-ის ეზო, კოჯორი, ორბელიანის ქ.N16გ-ს მიმდებარედ, ზანდუკელის ქ.N16/29-ის ეზო,ბაქრაძის ქ.N11 - ეზო, მ. ზანდუკელის ქ.N24-ის მიმდებარედ, კოტე მესხის ქ.N2-ის ეზო, ლარსის ქ.N2-ის მიმდებარედ, არსენას ქ.N4-ის ეზო, გ. ქიქოძის ქ. N4-

ის ეზო, ბაშალეიშვილის მე-2 ჩიხი N12-ის ეზო, ასათიანის ქ.N42-ის ეზო, ალ. ჭავჭავაძის ქ.N8/11-ის ეზო, ვეძინის I გასასვლელი, შ. ჩიტაძის შესახვევი N3-ის მიმდებარედ.ვ. ბარნოვის მე-2 ჩიხი, არსენას ქ.N14-ის მიმდებარედ, მაჭავარიანის ქუჩა, ათონელის ქუჩა, თბილისი-კოჯრის გზატკეცილი I შესახვევი, ე. ტატიშვილის ქუჩა (N1-დან N15-ს ჩათვლით), ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, ოქროყანა, ამაღლების ქუჩა, ტაბახმელა, კოტე აფხაზის მე-2 შესახვევი, ქუჩიშვილის ქუჩა, ი. ნიკოლაძის ქუჩა, ნიკო სამადაშვილის ქუჩა, კოჯორი, ვაჟა-ფშაველას II შესახვევი, ოქროყანა, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა N30-ის მიმდებარედ, შინდისი, დიდგორის ქუჩა N10-მდე, კოჯორი, გრიგოლ ორბელიანის ქუჩა, კოჯორი, ტაბახმელა, თამარ მეფის ქუჩა N26-დან N49-მდე, ოქროყანა, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა N30-ის მიმდებარედ (II ეტაპი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალდეური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს შეკეთდა 51356.05 კვ.მ გზის საფარი, მათ შორის: ჩატარდა 6483.89 კვ.მ ასფალტისა და 866.06 კვ.მ ქვაფენილის დაზიანებული საფარის შეკეთების სამუშაოები; გზის საფარის (ასფალტის საფარი 42133.1 კვ.მ ქვაფენილის საფარი 1873.0 კვ.მ) სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 44066.1 კვ.მ-ზე. ადაპტირებული გზების რაოდენობა გაიზარდა 3%-ით, მოეწყო 5 ადაპტირებული ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 19568 კვ.მ ასფალტის და ქვაფენილის საფარს; კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 28680კვ.მ ასფალტის საფარს; ახალი ქვაფენილი მოეწყობა 1537 კვ.მ-ზე. სულ შეკეთდება 49785.0 კვ.მ გზის საფარი; განსაზღვრულია 5 ადაპტირებული ობიექტის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 15125.1 კვ.მ ასფალტის საფარს; კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 33621.75 კვ.მ ასფალტის საფარს; ახალი ქვაფენილი მოეწყო 1211.86.კვ.მ-ზე და ქვაფენილის დაზიანებული საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 715.65 კვ.მ-ზე. სულ შეკეთდა 50674.36 კვ.მ გზის საფარი. მოეწყო 5 ადაპტირებული ობიექტი.

01 02 ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 192,908.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 194,719.9 ათასი ლარის 99.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2020 წლის გეგმა - 21,068.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 20,124.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; სატრანსპორტო საშუალებების მოწესრიგებული მოძრაობა; სატრანსპორტო მოდელისა და ქუჩების თანამედროვე დიზაინით მოწყობისთვის კვლევა, პროგრამული უზრუნველყოფა და გზაჯვარედინების მოსაწყობად შემუშავებული პროექტი; თბილისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მომსახურეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, შუქდამბრუნებელი, დაზიანებული ლითონის ძელებიანი ზღუდარები, ბარიერები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები, კერძოდ: დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 3611 საგზაო ნიშანი, რომლის დასამონტაჟებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა დიამეტრის 6337 გრძ.მ მოთუთიებული დგარის მასალა (მილი), 845 ერთეული ახალი საგზაო ნიშნის დგარი, არსებულ დგარებზე დამონტაჟდა 2005 საგზაო ნიშანი, ექსპლუატაციაში ნამყოფი დასაწყობებული 80 ცალი ერთეული საგზაო ნიშანი, 35 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე (მათ შორის 6

ერთეული ანტივანდალური ტექნიკური თვისებების მქონე), შეძენილი იქნა 70 გრძ.მ 159-მმ დიამეტრის დგარი რაზედაც დამონტაჟდა განსაკუთრებული მითითებების 122 ცალი ნიშანი, ნიშნის დამაგრების მიზნით დამონტაჟდა 2626 გრძ.მ ბაგირი, დამონტაჟდა სხვადასხვა გაბარიტული ზომებისა და ფერის 1870 ცალი უსაფრთხოების მოქნილი ბოძები (ბოძკინტი), 1124 ცალი შუქდამბრუნებელი საგზაო მარკერი, 362,43 გრძ.მ წრფივი საორიენტაციო შუქდამბრუნებელი და 40,91 კვ.მ თეთრი ფერის ფირი, ადგილმდებარეობა შეეცვალა 136 ერთეულ საგზაო ნიშანს (მათ შორის 29 ცალ საგზაო ნიშანს დგართან ერთად), შეკეთდა (გასწორდა) 76 ცალი საგზაო ნიშანი, შეიღება 172 კვ.მ. მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დგარი და კონსოლი, 149,1 კვ.მ საგზაო ნიშნისა და სფერული სარკის დგარი, გასუფთავდა - გაირეცხა 5299 ცალი ბოწკინტი და 118,32 გრძ.მ. წრფივი საორიენტაციო შუქდამბრუნებელი, დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსული 609 ერთეული საგზაო ნიშანი (მათ შორის 122 ერთეული დგართან ერთად), დემონტაჟი გაუკეთდა 26 ცალ სფერულ სარკეს, სხვადასხვა მიზეზით დაზიანებულ 105,23 გრძ.მ შუქდამბრუნებელს, 1 320 ცალ ბოძკინტს, შეკეთდა-გასწორდა 76 ცალი საგზაო ნიშანი, 82 ცალი ბოწკინტი, ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით მსუბუქი ფორმით გადაიბელა 318 ცალი მწვანე ნარგავი. საერთო ღირებულებით 950.2 ათასი ლარი;

დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა - შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები, კერძოდ: შეიცვალა შუქნიშნის 193 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 147 ობიექტზე, დამონტაჟდა 247 ცალი შუქნიშანი, 32 ერთეული ხმოვანი სიგნალი უსინათლოებისათვის, 6 ცალი მზის ენერგიაზე მომუშავე ციმციმა, მოეწყო 2 591 გრძივი მეტრი საკაბელო არხი და 48 ერთეული საკაბელო არხის საკომუნიკაციო ჭა, დამონტაჟდა 24 ცალი ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა, 42 ცალი სატრანსპორტო დეტექტორი, სხვადასხვა კვეთის 19722 გრძ.მ ქსელური კაბელი, 31 ერთეული შუქნიშნის კონსოლური დგარი, განხორციელდა 92 ცალი შუქნიშნის დგარის დემონტაჟი-დასაწყობება. საერთო ღირებულებით - 1,247.4 ათასი ლარი;

შუქნიშნების ძველი ობიექტ(ებ)ის ახლ(ებ)ით ჩანაცვლების ან ახალი ობიექტების მოსაწყობად სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით, დამონტაჟდა შუქნიშნის 71 ახალი ობიექტი, ღირებულებამ შეადგინა - 8,431.2 ათასი ლარი;

განხორციელდა არსებული 9 შუქნიშნის რეკონსტრუქცია, მათ შორის 5 ობიექტის ნაწილობრივ, ხიზანიშვილის - ვეკუას ქუჩებზე ჩატარდა შუქნიშნის ობიექტებისათვის საკაბელო არხების მოწყობის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგენა - 416.2 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის სამუშაოები დაფინანსებულია 55.1 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის ვიდეო კედლის საპროექციო ნაწილის (რომელიც შედგება 27 კუბისაგან) პროფილაქტიკური და ტექნიკური მომსახურება - 52.0 ათასი ლარი;

თბილისის ქუჩებზე და მაგისტრალებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, მარჯვენა სანაპიროზე - მარშალ გელოვანის მოედნიდან აბანოების მოედნამდე, 26 მაისის მოედანზე, ნ. ბარათაშვილის ქუჩაზე („კონკა“-ს მიმდებარედ), პ. მელიქიშვილის ქუჩაზე (ფილარმონიის მიმდებარედ) ქ. ჩოლოყაშვილის გამზირსა და გ. წერეთლის კვეთაზე, მოსკოვის გამზირის #3-ის მიმდებარედ, ბონაკოდან ხილიანის ქუჩის კვეთამდე მონაკვეთში, კ.მარჯანიშვილის გამზირის, უ.ჩხეიძის ქუჩისა და გ. ტაბიძის ხიდის კვეთაზე, სუხიშვილისა და ალექსიძის კვეთაზე, კუპრაძისა და სუხიშვილის კვეთაზე, გორგასლის მოედანზე, იუსტიციის სახლის მიმდებარედ, ორხევში, გ. მუხაძის ქუჩაზე, მ. თამარაშვილისა და გ. წერეთლის ქუჩების კვეთაზე განხორციელდა 31 ცალი კუნძულის, 58 პანდუსის, 5 ცალი ტროტუარის, 9 ცალი ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და 9 ცალი ავტობუსის მოსაცდელი ჯიხურების მოედნის მოწყობა - საერთო ჯამური დაფინანსება შეადგენს - 1,152.8 ათას ლარს;

დამონტაჟდა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის 4594,50 გრძ. მეტრი ხელოვნური დაბრკოლებები (ბორცვები), საერთო ღირებულებით 257.4 ათასი ლარი;

განხორციელდა ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ და ახლად დასამონტაჟებელ შუქნიშნებთან, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელ პუნქტებთან ავტობუსის მისვლის დროის აღმნიშვნელ ელექტრონულ ტაბლოებთან 12 826 გრძ/მ ელ. კაბელების გაყვანის სამუშაოები - 207.9 ათასი ლარის ოდენობით;

სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოების უზღუნველყოფის მიზნით, დამონტაჟდა დედაქალაქის ქუჩებისა და მაგისტრალების მრუდეებზე (მოსახვევებში) 15595,72 გრძივი მეტრი ლითონის ძელებიანი ზღუდარი, დემონტაჟი გაუკეთდა სხვადასხვა მიზეზით დაზიანებულ 2497 გრძ.მ ზღუდარს და 50 ცალ ბეტონის პარაპეტს (თვალამრიდებს) ღირებულებით - 1,897.9 ათასი ლარი;

9 ქუჩაზე განხორციელდა 1,000.0 ათასი კვ.მ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განცალკავებული ზოლების და დერეფნების დასაგეგმად საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა ღირებულებით 78.0 ათასი ლარი;

79 ქუჩაზე განხორციელდა 2,000.0 ათასი კვ.მ „სრული ქუჩების“ (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირების შედგენის მომსახურება ღირებულებით 600.0 ათასი ლარი;

ქეთევან დედოფლის გამზირზე (ბარათაშვილის ხიდიდან - ლეხ კაჩინსკის ქუჩის გადაკვეთამდე), აკაკი წერეთლის გამზირსა და ვაჟა ფშაველას გამზირზე განხორციელდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტრანზიტულ მარშრუტებზე ავტობუსების განცალკავებული ზოლების კვანძებისა და გაჩერებების დიზაინის შექმნა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სხვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის სავალი ნაწილის ზოლების ზომების შემცირება, ველო-

ბილიკების და საავტობუსე ზოლების გამოყოფა, ღირებულებით - 574.2 ათასი ლარი;

დედაქალაქის ქუჩებისა და მაგისტრალების საგზაო მონიშვნებისთვის (ცივი და თერმოპლასტი) დაფინანსდა შპს „თბილსერვის ჯგუფი“ 3,624.1 ათასი ლარით, დაახლოებით დატანილია ერთკომპონენტიანი (აკრილი) საღებავით 37328,9 კვ.მ და ცივი და თერმო პლასტით 27 743,89 კვ.მ საგზაო მონიშვნა;

ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ISS SecurOS ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფასთან თავსებადი 150 ცალი ლიცენზიების შესყიდვა ღირებულებით - 462.5 ათასი ლარი, ლითონის კონსტრუქციის ველო-პარკირების მოწყობის სამუშაოები - 39.1 ათასი ლარი, საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვის მიზნით 5 ლოკაციაზე დამონტაჟდა 100 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი მდგრადი ბომკინტი ღირებულებით - 71.0 ათასი ლარი და სხვა;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა მოძრაობის 961 დროებითი სქემა;

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე, საგზაო მოძრაობის ეფექტური ორგანიზების მიზნით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადების გამოკვლევა, რის შედეგადაც შემუშავდა მოძრაობის ორგანიზების ახალი სქემები. კერძოდ, სამსახურის მიერ დამუშავდა პოლიტკოვსკაიას, სანდრო ეულის (ნაწილობრივ), გორგასალის, კოტე აფხაზის, გაბრიელ სალოსის, დიმიტრი გულიას, კოსტავას, თამარაშვილის, ვასაძის ქუჩები, რუსთაველის გამზირის, ჩოლოყაშვილის, თამარ მეფის, მელიქიშვილის გამზირის და 26 მაისის მოედნის საგზაო მოძრაობის ახალი სქემები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ ქუჩებზე ძირეულად უნდა შეიცვალოს მოძრაობის მიმართულებები, გაკეთდეს სპეციალური ზოლები სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მათ შორის საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებით; მოდელირება გაუკეთდა შემდეგ 15 ობიექტს (ქუჩები და კვანძები): კოტე აფხაზის

ქუჩა, გორგასლის ქუჩა, გულუას ქუჩა, გულიას ქუჩა, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, ბოგდან ხმელინცკის გამზირი, თამარაშვილის ქუჩა, გ. წერეთლის ქუჩა, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, ი. ჭავჭავაძის გამზირი აგროჰაბის მიმდებარედ, რუსთაველის გამზირი, მარჯვენა სანაპირო, მირიან მეფის ქუჩა, ცინცაძის ქუჩა და გამრეკელი ქუჩა.

წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამდენჯერმე ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები;

სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის თანამშრომლები, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურ მონაწილებას იღებენ დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა (ე.წ. BUSLANE) და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევისა და დაგეგმვის პროცესში,

სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტო მერიის სხვა სამსახურებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებს, დედაქალაქის მასშტაბით ელექტრომობილებისთვის დამტენების მოსაწყობი ადგილების მოძიებისა და გამოვლენის პროცესში. შედეგად, ამ ეტაპისთვის გამოვლენილი და დამუშავებულია 36 ადგილი და დამონტაჟებულია 35 ელ. დამტენი;

დედაქალაქის მასშტაბით პარკირებისთვის, მათ შორის ტაქსებისათვის, პერიოდულად მიმდინარეობს ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. კერძოდ, მიმდინარე პერიოდში შერჩეული იქნა 37 ლოკაცია, სადაც მოეწყო დამატებით 188 ადგილი ტაქსების პარკირებისთვის, საბურთალოს რაიონში 587 ადგილზე და ვაკის რაიონში 1629 ადგილზე მოეწყო ზონალური საათობრივი პარკირება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს დამონტაჟდა 2476 ახალი საგზაო ნიშანი, დამონტაჟდა 3320 ცალი ახალი ბოწკინტი, დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა 1340 გრძ.მ დაზიანებული ზღუდარი, ახალ ადგილზე დამონტაჟდა 100 გრძ.მ ზღუდარი, 44 ცალი უსაფრთხოების სფერული სარკე, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილ იქნა შუქნიშნის 131 ობიექტზე. დამონტაჟდა 58 სატრანსპორტო და 21 ქვეითთა შუქნიშანი, დემონტაჟი გაუკეთდა 44 შუქნიშანს, შუქნიშნის 28 ობიექტზე შეიცვალა მუშაობის რეჟიმი. დამონტაჟდა მზის ენერგიაზე მომუშავე 10 ციმციმა, 14 ცალი ქვეითთა გამოსაძახებელი მოწყობილობა და 33 ცალი ხმოვანი სიგნალი უსინათლოებისათვის, 7000 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამონტაჟდება 2500 ცალი საგზაო ნიშანი, 110 ცალი შუქნიშნის მონტაჟი (მათ შორის 30 ცალი მზის ენერგიაზე მომუშავე მოციმციმე, 30 ხმოვანი სიგნალით (უსინათლოებისათვის); 800 ცალი ბოწკინტი, 14052 გრძ.მ. ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 20 ცალი ანტივანდალური სფერული სარკე (90 სმ დიამეტრი).

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა 3611 ახალი სტანდარტული საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3272 ცალი ბოწკინტი, 35 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 193 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 147 ობიექტზე, დამონტაჟდა 247 ცალი შუქნიშანი, მზის ენერგიაზე მომუშავე 6 მოციმციმე შუქნიშანი, 32 ცალი ხმოვანი სიგნალი-შუქნიშანი უსინათლოებისათვის, 15595,72 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, ხოლო დემონტაჟი გაუკეთდა სხვადასხვა მიზეზით დაზიანებულ 2497 გრძ.მ ზღუდარს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია ერთკომპონენტიანი საღებავით 27953 კვ.მ ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა, თერმო პლასტით 8812,98 კვ.მ და ცივი პლასტით 11642,61 კვ.მ საგზაო მონიშვნა, აღებულია თერმო და ცივი პლასტი 965,68 კვ.მ და ერთ კომპონენტიანი საღებავი 379,47 კვ.მ საგზაო მონიშვნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია ერთკომპონენტიანი (აკრილი) საღებავით 37328,9 კვ.მ და ცივი და თერმო პლასტით 27743,89 კვ.მ საგზაო მონიშვნა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ფრანგული კომპანია SYSTRA-ს მიერ შემუშავებული კვლევის შედეგად, დედაქალაქში ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტიზაციისათვის საჭირო ახალი თანამედროვე სისტემების დანერგვა, ტექნიკური გადაიარაღება, პროგრამული უზრუნველყოფა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 3 ქუჩაზე - საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტრანზიტულ მარშრუტებზე, ავტობუსების განცალკევებული ზოლების, კვანძებისა და გაჩერებების დიზაინის შექმნის მომსახურება; ქუჩის დიზაინის (საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემატური პროექტი) საპროექტო სამუშაოების შედგენის მომსახურება - 34 ქუჩა (2,000.0 ათასი კვ.მ); ტოპო გეგმის შედგენა - 24 ქუჩა (1,000.0 ათასი კვ.მ).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 ქუჩაზე - საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტრანზიტულ მარშრუტებზე ავტობუსების განცალკევებული ზოლების, კვანძებისა და გაჩერებების დიზაინის შექმნის მომსახურება; 79 ქუჩაზე - 2,000.0 ათასი კვ.მ „სრული ქუჩების“ (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირება; 9 ქუჩაზე - 1,000.0 ათასი კვ.მ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განცალკავებული ზოლების და დერეფნების დასაგეგმად საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა დამატებით ახალი მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა, 2019 წელს მოწყობილია 90 მგზავრთა მოსაცდელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ავტობუსის გაჩერებებზე მოეწყობა 100 მგზავრთა მოსაცდელი.

მიღწეული მაჩვენებელი - საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, განხორციელდა 31 ცალი კუნძულის, 58 პანდუსის, 5 ცალი ტროტუარის, 9 ცალი ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და 9 ცალი ავტობუსის მოსაცდელი ჯიხურების მოედნის მოწყობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ფრანგული კომპანია „SYSTRA"-ს მიერ წარმოდგენილი ახალი სამარშრუტო სქემის მიხედვით, შეცვლილი იყო ავტობუსის გაჩერებები და საჭირო იყო ხელახლა მისი შესწავლა, რადგან ტროტუარების გეომეტრიული პარამეტრებიდან გამომდინარე საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელებისთვის ერთიანი სტანდარტის შერჩევა ვეღარ ხერხდებოდა. შესაბამისად, სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნა ახალი ლოკაციები და ჩატარდა სამუშაოები რამდენიმე სახის დიზაინის შემუშავებაზე, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო მდგომარეობაში მოსაცდელის მოწყობის შესაძლებლობას. ჩატარებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, 2020 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა დაგეგმილი საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელების მოწყობა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა 32 ცალი შუქნიშნის ობიექტის დამონტაჟება და მართვის ცენტრთან მიერთების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დამონტაჟდა 23 ცალი საგზაო კონტროლერი, 24 ცალი ვიდეო კამერა, 57 ცალი სატრანსპორტო დეტექტორი, 80 ცალი შუქნიშნის დგარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შუქნიშნის 58 ახალი ობიექტის შეძენა (სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა).

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა შუქნიშნის 71 ახალი ობიეტი (სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა).

6.საბაზისო მაჩვენებელი - ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი: 3 945 გრძ.მ (შუა ნაწილის მონტაჟი), 250

გრძ.მ (დაბოლოებების მონტაჟი), 3 945 გრძ.მ (შუა ნაწილის მონტაჟი), 250 გრძ.მ (დაბოლოების მონტაჟი), 1949 გრძ.მ (არსებული უსწორმასწოროზის დემონტაჟი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ხელოვნური უსწორმასწოროზის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი: 4 880 გრძ.მ (შუა ნაწილის მონტაჟი), 600 გრძ.მ (დაბოლოებების მონტაჟი), 1080 გრძ.მ (არსებული უსწორმასწოროზის დემონტაჟი).

მიღწეული მაჩვენებელი - ხელოვნური უსწორმასწოროზის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი: 4 594,50 გრძ.მ.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2020 წლის გეგმა - 95,566.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 94,698.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე დიზაინით, კომფორტული სალონით და თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების ბაზაზე ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი საქალაქო ტრანსპორტით (ვაგონები, ავტობუსები) მგზავრთა გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 ივნისის N20.557.724 განკარგულების თანახმად, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დაფარვის მიზნით დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია 21,338.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2019 წლის 6 ნოემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „ელექტრომოძრავი შემადგე¬ნლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალს“ შორის გაფორმებული №0300/30/287 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ – 2,882.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული

ხელშეკრულების ფარგლებში დასრულდა 5 ერთეული ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონისა და 4 ერთეული ემა-81-714M ტიპის შუალედური ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით, შეიცვალა 40 ერთეული თვალწყვილის ცენტრი (24 ერთეული ემა-81-717M და 16 ერთეული ემა 81-714M ვაგონებზე), დაყენდა 4 ახალი ურიკის ჩარჩო (2 ერთეული ემა-81-717M და 2 ერთეული ემა 81-714M ვაგონებზე), კაპიტალურად შეკეთდა 17 ერთეული დკ-117ტიპის წევის ძრავი;

2020 წლის 28 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალს“ შორის გაფორმებული №0300/30/102 ხელშეკრულების (5,347.6 ათასი აშშ დოლარი) ფარგლებში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ 18,456.3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა 16 ერთეული ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონის და 12 ერთეული ემა-81-714M ტიპის შუალედური ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით. ასევე, კაპიტალურად შეკეთდა 43 ერთეული DK-117 ტიპის წევის ძრავი, შეიცვალა თვალწყვილის ცენტრები და ღერძი, საკისრები და განხორციელდა ახლი კონსტრუქციის კარდანული ქუროების მონტაჟი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 21 დეკემბრის N20.1536.1898 განკარგულებით - 16,000.0 ათასი ლარი გამოეყო შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას, მგზავრთა მეტროსადგურებში მოცდის დროის შემცირებისა და მათი გადაადგილების მომსახურების ეფექტურობისა და საიმედოობის გაუმჯობესების მიზნით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) მოძრავი შემადგენლობის მოძველებული ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით;

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე (80 მლნ ევრო) "თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში 2020 წლის 13 თებერვალს შპს „თბილისის სატრანსპორტო კოპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის, 12 მეტრიანი კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე (CNG) მომუშავე დაბალ

იატაკიანი M3 კატეგორიის ახალი საქალაქო ავტობუსების და მასთან დაკავშირებული სერვისის შესყიდვაზე გაფორმებული ხელშკრულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ფაქტობრივი მოწოდების შესაბამისად (126 ერთეული), შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 160-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის უზრუნველსაყოფად, კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო დაფინანსება 21,131.9 ათასი ლარი, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 აგვისტოს N 20.944.1175 განკარგულებით - 7,354.9 ათასი ლარი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 18 ნოემბრის N20.1370.1695 განკარგულებით - 13,777.0 ათასი ლარი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის №30.633.794 განკარგულების თანახმად, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" განახორციელა 300 ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვა და 2020 წლის 18 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება (NAT200010113) შპს „ჯი-თი მოტორსთან“ 9,915.8 ათას ევროზე, დღგ-ს ჩათვლით (გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაფარვა განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 სექტემბრის N20.1117.1403 განკარგულებით - 36,000.0 ათასი ლარი, ხოლო 1,969.7 ათასი ლარის უზრუნველყოფა განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 სექტემბერის N20.1123.1410 განკარგულების შესაბამისად, კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსების მიმდინარე ნაშთიდან. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 227.8 ათასი ლარი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ; 202886788) მიერ შესყიდული M2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 18 ერთეული მეტროს შუა ვაგონის (1 ერთეული 81-714M, 1 ერთეული 81-714.5M, 15 ერთეული-ემა 81-502 და 1 ერთეული ემა 81-714M) და 5 ერთეული სათაო ვაგონის (4 ერთეული ემა 81-502, ერთი ერთეული 81-717M) კაპიტალური და საშუალო შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით. თანამედროვე ევროპული სტანდარტების დიზელზე მომუშავე, ეკოლოგიურად სუფთა (90 MAN lions City M (A47) ტიპის და 220 ISUZU სერიის) M3 კატეგორიის ავტობუსების შესყიდვისას დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის მიზნით დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეძენილი იქნება თანამედროვე ევროპული სტანდარტების ავტობუსები, მოდერნიზაცია ჩაუტარდება 36 ერთეულ ვაგონს. „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში“ დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალო შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 16 ერთეულ ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონს და 12 ერთეულ ემა-81-714M ტიპის შუალედური ვაგონს; შეძენილია M2 კატეგორიის 300 ავტობუსი; გადახდილია „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში“ შეძენილი M3 კატეგორიის 126 ავტობუსის, დამატებული ღირებულების გადასახადი.

01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2020 წლის გეგმა - 6,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეტროს სადგურები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა ვაგზლის მოედანი N3 ვესტიბიულის აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები და ვაგზალი 3-ის გვირაბების დაგრძელების საპროექტო სამუშაოები. ასევე, განხორციელდა „ვაგზლის მოედანი 1“-ის, „ვაგზლის მოედანი 2"-ის და „სარაჯიშვილის“

კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის აუცილებელი კვლევითი სამუშაოები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და საქართველოში უცხოური საწარმოს შპს კაიზენის ფილიალს შორის გაფორმებული იქნა ხელშეკრულება მეტროსადგურ "გოცირიძის" რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. აგრეთვე, გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები მეტროს სადგურების „ვარკეთილი“ და “ავლაბარი” არქიტექტურული და ინტერიერ-ექსტერიერის დიზაინ-პროექტის მომსახურების შესყიდვაზე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 21 დეკემბრის N20.1536.1897 განკარგულებით - 4,000.0 ათასი ლარი გამოეყო შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას, მგზავრთა მეტროსადგურებში მოცდის დროის შემცირებისა და მათი გადაადგილების მომსახურების ეფექტურობისა და საიმედოობის გაუმჯობესების მიზნით, მეტროსადგურების ვესტიბულების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციი სამუშაოების განსახორციელებლად;

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ანგარიშზე არსებული ნაშთები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N20.1273.1583 განკარგულებით - 1,846.9 ათასი ლარი (2018 წლის 6 დეკემბრის N18.993.1409 განკარგულებით მიღებული) და 30 ნოემბრის N20.1411.1747 განკარგულებით - 2,000.0 ათასი ლარი (2020 წლის 4 ნოემბრის N20.1304.1608 განკარგულებით მიღებული) განისაზღვრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

01 02 05 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2020 წლის გეგმა - 72,085.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება; სატრანსპორტო კომპანიის ფუნქციონირების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 17 მარტის №20.330.437 განკარგულების საფუძველზე, 2020 წლის 18 მარტიდან დროებით შეჩერებულ იქნა საბაგირო გზებით მგზავრთა გადაყვანა, ხოლო საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების საფუძველზე, საგანგებო მდგომარეობის ვადით გაჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მათ შორის მეტროპოლიტენითა და საბაგიროთი გადაადგილება. ასევე, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლის 28 ნოემბრიდან შეჩერებულ იქნა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირება (მათ შორის მეტროპოლიტენი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია სრულყოფილი ფუნქციონირების (აუცილებელი მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დაფარვა, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი დავალიანების და სხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად) მიზნით, სუბსიდიის სახით - 70,666.0 ათასი ლარის ოდენობით;


ასევე, „სამგზავრო გადაყვანების მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ოქტომბრის N20.1256.1553 განკარგულების შესრულების მიზნით, დაფინანსდა, სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 175.5 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტიდან - 1,419.5 ათასი ლარით, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (ინტეგრირებულ სისტემაში ამ

ეტაპისთვის ჩართულია M2 კატეგორიის 85 ავტობუსი, რეისები ხორციელდება 17 ხაზზე, M3 კატეგორიის 98 ავტობუსი (ყოველდღე საშუალოდ), რეისები ხორციელდება 11 ხაზზე) ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადამყვანი კომპანიები, კერძოდ:

M3 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) მგზავრთა გადამყვანი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია - 1,057.1 ათასი ლარით;


M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები: შპს თბილ ლაინი - 167.1 ათასი ლარი, შპს ფაბლიქ ქარი - 65.0 ათასი ლარი, შპს „კაპიტალ გრუპი“ – 130.3 ათასი ლარი.

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება**




ათასი ლარი

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის პროგრამების 2018-2020 წწ შესრულების დინამიკა



	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	კეთილმოწყობის ღონისძიებები	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა…	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა	ღონისძიებების უზრუნველყოფა	2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები
2018 წლის ფაქტი	23 821,5	40 184,4	19 484,5	11 700,5	62 365,5	6 628,3	2 397,8	4 738,9	3 170,4
2019 წლის ფაქტი	30 723,3	59 807,6	25 442,7	13 970,0	71 981,4	5 566,5	2 416,8	8 639,3	192,5
2020 წლის ფაქტი	22 302,0	71 417,3	32 684,9	12 803,3	71 945,6	5 250,1	3 466,1	5 710,8	0,0

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის პროგრამების პროცენტული დაფინანსება



02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 38,942 2 ათასი ლარი დაფინანსდა 32,684 9 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: აღდგენილი და ახლად აშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტები; საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები: საბურთალოს რაიონში, ძმები ზალდასტანიშვილების ქ. N5-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; სარაჯიშვილის გამზ. N43-ის მიმდებარედ (გლდანის ხევი) რკინა ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილის ხევი, 9 (ს.კ. 01.14.14.002.124 მიმდებარედ) მდინარე ვერეს ნაპირი სამაგრი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ჭავჭავაძის გამზირი N17-ში (ს.კ.01.14.14.011.002 მიმდ.) მდებარე საოფისე შენობის მიმდებარედ არსებული ფერდის გამაგრებისთვის გაბიონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; გლდანის რაიონში, დ.სარაჯიშვილის გამზირზე, ახალი აშენებული ხიდების მიმდებარედ ფერდის დამცავი რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; დაბა კიკეთი, მაჟალო მიწების ქუჩაზე ბეტონის კიუვეტისა და ა/ბეტონის საგზაო სამოსს შორის რკინა/ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები; საბურთალოს რაიონში ბროწეულის ქუჩა N11 და N13-ის მიმდებარედ საავტომობილო გზის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ რკ/ ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (პკ 16+40 ; პკ 12+30; პკ 11+50 და 4+20); მ.მაჭავარიანის ქუჩის და ს.კ. 01.10.11.001.124-ის მიმდებარედ ფერდის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (II ეტაპი, პკ 14+30 -დან პკ 14+60 -ის ჩათვლით;

ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია: თამარ მეფის სახელობის ხიდზე ასასვლელი პანდუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები; კახეთის გზატკეცილზე, ე.წ. "დამპალოს ხიდზე" სადეფორმაციო ნაკერის სარეაბილიტაციო

სამუშაოები; ბარათაშვილის ხიდზე სადეფორმაციო ნაკერის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონი, ალექსეევკის დასახლებაში, მ.გრიგორაშვილის ქუჩაზე არსებულ ხიდზე მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები; საქვეითო ხიდის ლითონ კონსტრუქციების სამღებრო სამუშაოები; ნაძალადევის რაიონი, ქსნის ქუჩაზე არსებული გზაგამტარის სადეფორმაციო ნაკერის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები: სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; საფერავის I, II ჩიხების და ჩხავერის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; ელდარის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოები; გ.ლორთქიფანიძის ქუჩის (ყოფილი კაიროს დასახლების) მიმდებარედ მოწყობილ წყალარინების გარე ქსელზე დარჩენილი მოსახლეობის კანალიზაციის ქსელზე დაერთების მოწყობის სამუშაოები; სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, აბაშვილის ქ. N3 (მე-4 და მე-5 კორპუსების მიმდებარედ) სანიაღრე ქსელის მოწყობა; ნავთლუღის დასახლება, ქუჩა II, (ყოფ.კაიროს დასახლება) საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში, დ.უზნაძის ქუჩა N54-თან სანიაღვრე ჭების მოწყობის სამუშაოები; ივერთუბანში, ჯ.ბეთაშვილის, ზამთრიანის, ჯ.ბეთაშვილის I გასასვლელი, მ.შერვაშიძის, ხერხეულიძეების ქუჩების სანიაღვრე ქსელის მოწყობისსამუშაოები; მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარედ სანიაღვრე/სადრენაჟე ქსელის მოწყობის სამუშაოები; საბურთალოს რაიონი, სოფელ დიღომში ვაჟა-ფშაველას IV შესახვევში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები; სოფელ დიღომში გიორგი ბრწყინვალეს (I და II ეტაპი) ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; მუხიანი 2, 26 მაისის ქუჩის წყალარინების გარე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ო.ხიზანიშვილის ქუჩაზე, გლდანის II და IV მკ/რ-ის მიმდებარედ დაზიანებული სანიაღვრე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ავთანდილ ვარაზის ქუჩაზე (ს.კ.72.16.23.869 მიმდებარედ, სექტორი ლისი) სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; გლდანის რაიონში, რ.შენგელიას ქუჩის მიმდებარედ დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები; დ.ჯაბიძის ქუჩიდან, ნ.კეცხოველის ქუჩის გავლით, ო.ხიზანიშვილის

ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; აკაკი ბელიაშვილის ქუჩიდან (ს.ახმეტელის ქუჩის გავლით) გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე (I ეტაპი) საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები; ლორთქიფანიძის მე-4 და მე-6 ქუჩებზე (ყოფ. კაიროს დასახლება) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; გლდანის რაიონში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; კახეთის გზატკეცილზე, ჯორჯ ბუშის ქუჩის მიმდებარედ გამავალი დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ასევე, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: მთაწმინდის რაიონში კოსტავას ქუჩის N54-თან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის გაუქმების სამუშაოები; ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირი N17 - ის მიმდებარე ფერდის დამატებით გამაგრების სამუშაოები; 110 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ ,,დიღომი 101-102“-ის რეკონსტრუქცია, N2 და N5 საყრდენებს შორის უბნის გადატანის სამუშაოები; ზღვის უბნის IX კვარტალში, კორპუსი N23-ის და დავით გურამიშვილის გამზირი კორპ. N41-ის მიმდებარედ არსებული ფერდის გამაგრების სამუშაოები;

მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები; მაგისტრალური წყალსადენის კვანძების მოწყობის (მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის გამზირი) სამუშაოები; კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ, კერძოდ მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მხარეს (ლოკაცია 1) რკ/ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები; სამგორის რაიონში, ელენე მეტრეველის ქუჩის (ნავთლუღის II დასახლება) და მიმდებარე ჩიხების სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, კერძოდ გამშვები სათავისიდან K - 1/9 ჭის ჩათვლით (I ეტაპი); მზიურის პარკში მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს და გვირაბს, 12 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 5-მდე ხიდს და გვირაბს, მოხდება 10-მდე საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ხიდს, განხორციელდა 9 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ქალაქის მასშტაბით მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 31 სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 25-მდე (დაახლოებით, 10კმ-მდე) სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელს.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, არ განხორციელებულა და შეწყდა რამდენიმე პროექტი შესყიდვის ეტაპზე.

02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 13,098.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 12,803.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა. თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები დასრულდა შემდეგ ობიექტებზე: კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ბინა, კორპ.N3ა, საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; კახეთის გზატკეცილი N7-ში მდებარე მდებარე საცხოვრებელი სახლის წინსმწრებ დამზღვევი სამუშაოები, გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მელიქიშვილის

ქუჩა, კორპუსი N-6 და N-8 შენობების დაზიანებული ბეტონის ელემენტების მოხსნის, შემდგომში დაზიანებული-მოხსნილი ელემენტების გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის 3-10-დ. მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი-3, 3ა მ/რ კორპ N322-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინსმწრებ დამზღვევი საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვარკეთილის 3, 4მ/რ კორპ N13-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, IV მრ, N403-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (II ეტაპი); ვარკეთილი 3, IV მრ, N409-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (II ეტაპი); ვარკეთილი, ზპ N44-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი, მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპ. 3-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მოსკოვის გამზირი N36ბ-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მოსკოვის გამზირი, V კვ. კორპ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მოსკოვის გამზირი N46ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მოსკოვის გამზირი, V კვ. კორპ. N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; დიდ დიღომში, ფარნავაზ მეფის გამზირის დასაწყისში, (ანბანის სკვერში) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოები; თევდორე მღვდლის ქუჩა N38-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინსმწრებ დამზღვევი სამუშაოები, საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზირზე N30 კორპუსი N2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინსმწრებ დამზღვევი სამუშაოები, საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ზღვის უბნის დასახლება, IV მრ, კორპ. N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ც.დადიანის II მრ, კორპ. N3-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გალიერების სამუშაოები; ც.დადიანის II მრ, კორპ. N2-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების

სამუშაოები; კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი N263-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო მომსახურება; ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ. 84-86-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო მომსახურება; ქეთევან წამებულის გამზ. 88-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო მომსახურება; ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N145-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; გლდანის რაიონი, გლდანის ხევი, მე-8 მრ, მე-2 კორპ. 1 სადარბაზო, მე-4 სართულზე მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; V მრ, N8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; წულუკიძის ქუჩა N35-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაკის რაიონი, დ.არაყიშვილის ქუჩა N9-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; თევდორე მღვდლის ქუჩა N15-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; საბურთალოს რაიონი, პეკინის N33ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონი, პეტრიაშვილის ქუჩა N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პეკინის N23-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; წულაძის ქუჩა N22-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

მიმდინარე პერიოდში ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზირი N70, კორპ. N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონი, ნიკოლაძის ქუჩა N5ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გამაგრება-გაძილიერების სამუშაოები ჩაუტარდა 49 შენობა-ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 50 შენობა-ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება-გაძილიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყნის მასშტაბით არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთი პროექტის შეფერხება.

02 03 საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 5,250.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,174.3 ათასი ლარის 85%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 407.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 343.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ჩუღურეთის რაიონში, წმინდა ვახტანგ III-ის ქუჩაზე მდებარე ხიდი-გზაგამტარის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაკის რაიონში, ნუცუბიძის IV მ/რ. კვ. III, კორპ. №35-ში მდებარე დაუსრულებელი კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერება-კონსერვაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; დიდუბის რაიონში, ა.ბელიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; საბურთალოს რაიონში, ს.ცინცაძის ქუჩაზე (ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის მიმდებარედ ს/კ 01.10.15.025.087) საავტომობილო გზის გასწვრივ არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების

მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ს.ს.ი.პ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ - სთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება (ქ.თბილისში, აეროპორტთან, ს/კ 01.19.26.002.015 განთავსებული მშვიდობის თემაზე შექმნილი კომპოზიციის (გორელიეფი) კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ; სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩისა და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე განთავსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; გლდანის რაიონში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის მომსახურება; შეშელიძის ქ. ს/კ. 01.11.12.022.006 ნაკვეთზე განთავსებული შენობის საბაზრო ღირებულების დადგენის საექსპერტო მომსახურება; ზღვის უბნის დასახლება, IX კვ. კორპ. N23-ის მიმდებარედ არსებული 01.12.03.001.026.04.500 და 01.12.03.001.026.05.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულების დადგენის საექსპერტო მომსახურება; მზიურის პარკის ტერიტორიაზე მდებარე ძველი საბაგიროს მიმღები პუნქტის კონსტრუქციული მდგრადობის დადგენის საექსპერტო მომსახურება; მდინარე მტკვარზე „მშვიდობის ხიდის“ ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის დადგენის საექსპერტო მომსახურება; ვ.დოლიძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; სამგორის რაიონში, აკეთის, ელენე მეტრეველის ქუჩის (ნავთლუღის II დასახლება) და მიმდებარე ჩიხების სანიაღვრე ქსელის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; კოჯორის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საჭირო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - საჭირეობისამებრ მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2020 წლის გეგმა - 5,767.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,906.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით; ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება და შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებელი; სპეციალური ლაბორატორიული ახალი მანქანა–დანადგარების შეძენის შედეგად გაუმჯობესებული და თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა: 3 მექანიკური და ერთი ელექტრონული ბეტონის მარკის საზომი ჩაქუჩი, უკაბელო ციფრული დეფლექტომეტრი (ბლუთუზით), ელექტრონული ტექეომეტრის აკუმულატორი, კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა და სხვა. მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა 1513 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 560, ხოლო გამგეობების ობიექტი – 953,

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 450, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 573 კერნი,

სისქეების - რაოდენობა 7 824 კვლევა, ტკეპნის კოეფიციენტი - 7 308 დარტყმა, ბეტონის ნარევის კვლევა - 292.

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 236 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 33, ხოლო გამგეობების ობიექტი – 203,

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 729 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 479, ხოლო გამგეობების ობიექტი – 250,

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 521 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 204, ხოლო გამგეობების ობიექტი – 317,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 1877 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 1320, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 432, აღდგენა-გამაგრებითი ობიექტების რაოდენობა - 125,

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია ტექ.ზედამხედველობის სამუშაოები 12 ობიექტზე, აქედან: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტები – 6, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტები - 2 და გამგეობების ობიექტი - 4.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 10 დღე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - კვლევის პერიოდის შემცირება 5 დღემდე.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 22,302.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობას (ექსპლოატაციას) უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს, ახორციელებს საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს. საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 131 359 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 116 880 სანათი, მხატვრული მინათება – 14 479 სანათი. ასევე, დამონტაჟდა 1072 განათების ბოძი და 1964 ახალი სანათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 281.8 ათასი ლარი, შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ (ს/კ: 206267494), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატელევიზიო ანძის მინათების დაზიანებული პროჟექტორების აღსადგენად.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ექსპლოატაცია გაეწია 129943 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 115620 სანათი, მხატვრული მინათება – 14323 სანათი;

დაგეგმილი მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწევა 131359 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 116880 სანათი, მხატვრული მინათება – 14479 სანათი;

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 3,477.3 ათასი ლარი დაფინანსდა 3,466.1 ათასი ლარით. გეგმის 99.7%.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელების გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით 300 კმ); სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების გაწმენდა – 36808ც; კიუვეტების გაწმენდა – 44205 გრძ.მ.; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გადამაერთებელი ქსელების მექანიკური დამუშავება - 9200 გრძ.მ.;სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 155972 გრძ.მ.; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 435 ც.; სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემების აღდგენა, მოწყობა - 577 ც. (მ/შ: სანიაღვრე ჭების შეკეთება - 243 ც; თუჯის ოთხკუთხა ჩარჩო - 113 ც; გვერდმიმღების ჩარჩო - 25 ც; რ/ბ ჭის რგოლი დ=1000მმ - 35 ც; რ/ბ ფილა (თუჯის ჩარჩო ხუფით) – 126 ც; ახალი ჭების მოწყობა (თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) – 35 ც).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2020 წლის გეგმა - 7,695.0 ათასი ლარი დაფინანსდა 5,710.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 74.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა; სხვადასხვა ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა და ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება; ახალი ობიექტები, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლები, მემორიალები, საფლავები; საქართველოში მოღვაწე ხელოვანების ჩართულობის ზრდა კულტურულ სივრცეში და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და დაბრენდილი დროშების შესყიდვა, სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა, საკონცერტო და ღონისძიებებისათვის საჭირო მონიტორებით, სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, პროფესიონალური გახმოვანების საკონცერტო აპარატურით, სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიორებით, კოშკებით, დეკორაციებით, ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით მომსახურება, ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარით (მათ შორის გენერატორებით) მომსახურება, სხვადასხვა კონსტრუქციების შესყიდვა, დამზადება-აღდგენა, სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და თაიგულებით მომსახურება, ბანერების, სტიკერების მომსახურება, დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, შემზღუდავი ჯებირების შეძენა, მოწყობა და ალაგება, კარვების მოწყობის მომსახურება და კარვების რეცხვა, ბიოტუალეტებით მომსახურება და სხვა.

თბილისში არსებული ძეგლების და პანთეონებში არსებული საფლავების აღდგენა-რესტავრაციის ფარგლებში დაფინანსდა რუსთაველის გამზირზე

მდებარე „ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარების მიერ უდანაშაულოდ დაღუპულ ქართველთა ხსოვნის მემორიალის“ გაწმენდის მომსახურება, დავით აღმაშენებლის ძეგლის კვარცხლბეკის რესტავრაციისა და გაწმენდის მომსახურება, გიორგი სააკაძის ძეგლის კვარცხლბეკის რესტავრაციისა და გაწმენდის მომსახურება, მემორიალური დაფების დამზადება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებას საშუალოდ 5000 ადამიანი ესწრება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის ზრდა - 6000 ადამიანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრე - 500 ადამიანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გავრცელებული კორონა ვირუსით გამოწვეული შეზღუდვები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებაზე დაახლოებით 400 განცხადება შემოდის, რომლის 20% დაკმაყოფილებულია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაკმაყოფილებული განაცხადების 25%-მდე გაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 24 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა და ღონისძიებაში ჩაერთო 18 განმცხადებელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გავრცელებული კორონა ვირუსით გამოწვეული შეზღუდვები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ტიპის ტექნიკური აღჭურვილობით მომსახურების ხარისხის კონტროლი, ჩატარებული ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ყველა ჩატარებული ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა 1 ძეგლს და 1 სკულპტურულ კომპოზიციას, დამონტაჟდა 7 მემორიალური დაფა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა 4 მემორიალური დაფა, დამზადდა და განთავსდა 1 მონუმენტი, განხორციელდა 3 ძეგლის კვარცხლბეკის სარესტავრაციო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მემორიალური დაფების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია შემოსული განაცხადებების რაოდენობაზე, ხოლო ახალი ძეგლების და მონუმენტების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევ კონკურსებზე.

5.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში ხელოვნების სფეროს დაახლოებით 700-დე ცნობილი წარმომადგენელი და 150 დამწყები ხელოვანი იღებს მონაწილეობას (მომღერალი, მსახიობი, მოცეკვავე, რეჟისორი, დირიჟორი და ა.შ.).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებებში ჩართული - 500 ხელოვანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი კორონა ვირუსით (COVID 19) გამოწვეული შეზღუდვების გამო, მასშტაბური ღონისძიებების გამართვა აკრძალული იყო.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 71,417.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 73,503.1 ათასი ლარის 97.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 14,020.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,963.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: „მშვიდობის ხიდი“-ს მოვლა-პატრონობა; გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი); კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; ქ.თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ობიექტების კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ქ.თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა სხვადასხვა სახის სამუშაოები: მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მოეწყო 28500 კვ.მ ქვაფენილი და 950 გრძ/მ ლითონის მოაჯირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2020 წელს განხორციელდება სხვადასხვა სახის სამუშაოები: მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მოეწყობა 40000 მ2-დე ქვაფენილი და1200 გრძ/მ-მდე ლითონის მოაჯირი).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 31955 კვ.მ ქვაფენილი და 1300 გრძ/მ ლითონის მოაჯირი.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2020 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი დაფინანსდა 158.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, შენობა-ნაგებობების არამონოლითური და არაბეტონის ფილით (ე.წ.სინკარით) კონსტრუქციით გადახურვის დემონტაჟი, შენობა-ნაგებობების მონოლითური ფილის დემონტაჟი, შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლების და საძირკვლის დემონტაჟი, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დაშლა, რკინა-ბეტონის საძირკვლის დაშლა მთლიანობაში 3 630 კვ.მ. ასევე, მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა 7 000 გრძ.მ სამუშაოების შესრულებისას (დემონტაჟის შედეგად) წარმოქმნილი ნარჩენების 2 380 კუბ.მ გატანა-განთავსება მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სადემონტაჟო სამუშაოები 3 630 კვ.მ

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 3 800 კვ.მ სადემონტაჟო სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 3 630 კვ.მ.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 1 155 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 2 500 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 2 380 კუბ.მ

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 6,598.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,402.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურება (დამუშავდა 3303 ხე-მცენარე), ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა, სკვერების (13 მისამართზე დასრულდა და 1 მისამართზე მიმდინარეობს, მინი სკვერები 18 მისამართზე საბავშვო ატრაქციონებით) და ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები (16 მისამართი), დასასვენებელი პავილიონის (ფანჩატური) მოწყობის სამუშაოები (6 მისამართი), სპორტული მოედნების შეკეთების სამუშაოები (29 სპორტული მოედანი), ერთ მისამართზე ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლის და გზასთან დაკავშირებული ბეტონის კიბე-ბილიკის (21 მისამართზე) მოწყობის სამუშაოები, საკანალიზაციო სისტემის მოწყობის და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (3 მისამართი), შენობის ავარიული ელემენტების გამაგრების სამუშაოები (ერთი მისამართი), უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობის სამუშაოები (1128.9 გრძ/მ), ბუნებრივი აირის ქსელზე დაერთების სამუშაოები (15 ოჯახი), ეკლესიების ფინანსური დახმარება (11 ეკლესია). ასევე, გაწეულია წინა წლებში დაკავებული (ხარისხის გარანტიის) 2,5%-ის დაბრუნების, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და 2019 წელს გარე ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, წინასაახალწლოდ მოწყობილი ბაზრობის ორგანიზების ხარჯები 1.3 ათასი ლარი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 24.2 ათასი ლარი მუხიანის 3

მ/რ-ში 6 კორპუსის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და სპორტული ობიექტების რაოდენობა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. 2019 წელს 31 მისამართზე მოეწყო მცირე სკვერები (საბავშვო ატრაქციონებით), 9 მისამართზე დასრულდა სკვერების მოწყობის სამუშაოები, 3 მისამართზე მოეწყო ახალი, ხოლო 24 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი; 24 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 34 სკვერს; მოეწყობა 5 ახალი სპორტული მოედანი და დამონტაჟდება სპორტული ტრენაჟორების 16 კომპლექტი.

მიღწეული მაჩვენებელი - 18 მისამართზე მოეწყო მცირე სკვერი (საბავშვო ატრაქციონებით), 13 მისამართზე დასრულდა სკვერის მოწყობის სამუშაოები, 6 მისამართზე მოეწყო დასასვენებელი პავილიონი; ერთ მისამართზე მოეწყო ახალი, ხოლო 29 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი; 16 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს 5 მისამართზე დასრულდა, ხოლო ერთ მისამართზე დაიწყო კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები

დაგეგმილი მაჩვენებელი - 5 მისამართზე მოეწყობა ახალი საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 3 მისამართზე მოეწყო კანალიზაციის ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 1700 კუბ.მ საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1059 კუბ.მ საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 1100 კუბ.მ საყრდენი კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია 150 სოციალურად დაუცველი ოჯახი, მათ შორის 2019 წელს 13 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 125 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 15 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 20 ჰექტრამდე გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა). 2019 წელს დაირგო 360 ძირი ხე-მცენარე, გადაიბელა და მოიჭრა 2990 ძირი ხე, განხორციელდა 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 200-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა და 1500 ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 3 303 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 5,438.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,071.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების გადაბელვის, დაჭრა-დამუშავება-გატანის, მოჭრისა და კუნძების ამოღების სამუშაოები (5609 ძირი), სკვერებში არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჟარების მოვლა-პატრონობის მათ შორის კომუნალური ხარჯები, რაიონის გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში შესყიდულია და ტერიტორიაზე გაშენდა სხვადასხვა სახეობის (ლეილანდი, ევროპული მუხა და ირმის რქა) ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (სამუშაოები შესრულდა 14 ჰა ფართობზე), შეძენილი და დამონტაჟებულია 212 ერთეული საპარკე სკამი, რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (58 მისამართი), საკანალიზაციო და

სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები (9 მისამართი), 14 მისამართზე 864.5 კუბ.მ - გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, 6 მისამართზე - სკვერების მოწყობის სამუშაოები და 11 მისამართზე - გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვა/მონტაჟის სამუშაოები, კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონების 10 კომპლექტის მოწყობის სამუშაოები და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (9 მისამართი), სატრანსპორტო კვანძთან დამაკავშირებელი კიბეების მოწყობის სამუშაოები, ბუნებრივი გაზის გარეშე დარჩენილი 99 ოჯახის გაზმომარაგების ქსელზე მიერთების სამუშაოები, 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები, დაფარულია 2019 წლის შესრულებული სამუშაოების 2,5%. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 14.2 ათასი ლარი, შშმპ პირისათვის პანდუსის მოწყობისა და დ. ჟღენტის ქუჩა N 45-ში პანდუსის მიმდინარე შეკეთების სამუშაოებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 30 სკვერი და 99 სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად, მათ შორის 2019 წელს მოეწყო 2 ახალი სკვერი, 5 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 სპორტულ მოედანს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 7 ახალი სკვერი და რეაბილიტირებული იქნება 4 ერთეული სკვერი, 7 ობიექტზე მოეწყობა სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 6 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სპორტულ მოედანს; 11 მისამართზე დამონტაჟდა გარე გამოყენების ფიტნეს სპორტული ტრენაჟორები, მოეწყო 10 კომპლექტი კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები შესრულდა 5 მისამართზე - 399,6 გრძ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 6 მისამართზე - მოეწყობა 1030 გრძ.მ. ახალი სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 7 მისამართზე - 3859 გრძ.მ.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 23 მისამართზე 1771კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 23 მისამართზე 1698 კუბ.მ საყრდენი კედელი

მიღწეული მაჩვენებელი - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 14 მისამართზე 864.5 კუბ.მ.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირდა 424 ოჯახი, მათ შორის 2019 წელს - 61 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 100 ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 99 ოჯახს.

5. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 150000 კვმ გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა-ფორმირება, თიბვა). 2019 წელს დაირგო 195 ერთეული სხვადასხვა სახეობის ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 14 ჰექტარ ფართობზე, სხვლა-ფორმირება - 2488 ძირ ხეს, მოიჭრა - 341 ძირი ხე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2395-მდე ძირის და 140 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიების სხვლა ფორმირება, 132 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ნერგების შეძენა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 358 ერთეული სხვადასხვა სახეობის ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 14 ჰექტარ ფართობზე (19 მისამართი), ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 4504 ძირი, მოიჭრა - 649 ძირი).

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 4,816.6 ათასი ლარი დაფინანსდა 4,093.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 85%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობა და აღდგენა/შეკეთების სამუშაოები (15 მისამართი) – 1475.3 გრძ.მ; ახალი ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვა/მონტაჟის სამუშაოები (2 მისამართი), ახალი სკვერების მოწყობის სამუშაოები (12 მისამართი), არსებული სკვერების (44 მისამართი) და არსებული სპორტული მოედნების (46 მისამართი) მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, ახალი (29 მისამართი) და არსებული (20 მისამართი) ლითონის დეკორატიული უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობის სამუშაოები, რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება, გამწვანებული ტერიტორიების ნიადაგის მულჩით მულჩირების სამუშაოები, დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებები, დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის ელექტროენერგიის ხარჯი, სახელმწიფო დროშების შეძენის ხარჯი, 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების (თევდორე მღვდლის ქ. N38-ში გაზის აფეთქების შედეგად, დიღმის მასივის პირველი კვარტალის N14ა კორპუსში ხანძრის შედეგად, დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის ბინების სასაქონლო და საინჟინრო ექსპერტის ზარალის დასადგენად, გ. ცაბაძის N9-ში ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ ბინა N20-ში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების

ღირებულებისა და ჭიაურელის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის დადგენის საინჟინრო ექსპერტიზა) ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 267 ერთეული პარკი, სკვერი და სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად, მათ შორის 2019 წელს რეაბილიტირებული იქნა 44 სკვერი და 26 სპორტული მოედანი, მოეწყო 7 ახალი სკვერი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 14 ახალი სკვერი და ერთი ახალი მოედანი; რეაბილიტირებული იქნება 22 სკვერი და 20 სპორტული მოედანი, მოეწყობა 4 სპორტული ტრენაჟორი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა 44 ერთეული სკვერი და 46 ერთეული სპორტული მოედანი. მოეწყო 12 ახალი სკვერი და 2 სპორტული ტრენაჟორი.

2. საბაზისო მაჩვენებელი: 2019 წელს მოეწყო და შეკეთდა 3003 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება და მოეწყობა 1700 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 15 მისამართზე 1475.3 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის დარგვები, სხვლა-ფორმირება, თიბვა). 2019 წელს განხორციელდა 759-მდე ძირი მცენარის და 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1547-მდე ძირი მცენარის და 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1904-მდე ძირი მცენარის და 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, დაირგო 357 ძირი ხემცენარე და ბუჩქი.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 4,190.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,899.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები (210 გრძ/მ); სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; ახალი სკვერების მოწყობისა და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები; არსებული სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები; ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი და აღდგენა-რეაბილიტაცია; გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანა, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების შეძენა-დარგვა, მულჩირება, ძვირადღირებული დეკორატიული ხეების შეძენა და გამწვანებული ღონისძიებების მოვლა-პატრონობა); ქუჩის ავეჯის (სანაგვე ურნები, საჩრდილობელი და საპარკე სკამები) მონტაჟი; საჩრდილობლელის განთავსება მონტაჟით; ახალი მოაჯირებისა და რკინა-ბეტონის ინსტუქციების მოწყობის სამუშაოები; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება; 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფეტური აქტების, ესკიზური ნახაზების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 40.4 ათასი ლარი, 2020 წლის 8 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონში, გოგოლის

ქუჩა #10-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში იატაკის ჩამონგრევის შედეგად, შენობის დაზიანებული ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე ირიცხება 47 სკვერი და 22 სტადიონი და 22 სპორტული ტრენაჟორების კომლექტი, მათ შორის: 2019 წელს მოეწყო 4 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 6 მისამართზე სპორტული ტრენაჟორები, განხორციელდა 42 სკვერის და 21 სტადიონის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 7 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 5 მისამართზე სპორტული ტრენაჟორები; განხორციელდება 28 სკვერის და 14 სტადიონის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 6 ახალი სკვერი და 3 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი; განხორციელდა 35 სკვერის, 22 სტადიონის და 11 სპორტული ტრენაჟორის რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 39 ახალი საყრდენი კედელი 2281 კუბ.მ, შეკეთდა 92 გრძ.მ კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 3 633 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი (48 მისამართზე) და 450 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, შეკეთდება 300 გრძ.მ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 44 ახალი საყრდენი კედელი 3 330 კუბ.მ და 7 მისამართზე სანიაღვრე ქსელი (190 გრძ.მ), განხორციელდა 3 მისამართზე 210 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2019 წლის განმავლობაში სხვადახვა უბნების მიხედვით გაზიფიცირდა 78 ოჯახი, მათ შორის 2019 წელს გაზიფიცირდა 5 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 2 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

4.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 18 000 კვ.მ. გამწვანებულ ტერიტორიას, 2019 წელს დარგულია 200-მდე ძირი ხე და განხორციელდა 600 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 180-მდე ძირის ხის დარგვა და 1000 ძირი ხის გასხვლა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დარგულია 82 ძირი ხე და განხორციელდა 1301 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 5,886.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,745.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: სკვერების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია და მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთება; სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცი და მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთება; გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა; საყრდენი კედლების მოწყობა; კიბეების და ახალი ღობეების მონტაჟი (770 გრძ.მ), ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; მცირეფასიანი საპარკე სკამების შესყიდვა-მინტაჟი (233 სკამი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, 17 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რაინის ტერიტორიაზე განთავსებულია 74 სპორტული მოედანიდა 134 სკვერი, მათ შორის: 2019 წელს მოეწყო 9 ახალი სკვერი, 2 ახალი სპორტული მოედანი და 18 ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 14 არსებულ სკვერს და 2 სპორტულ მოედანს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 11 ახალი სკვერის და 10 ახალი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა; რეაბილიტაცია ჩუტარდება 7 არსებულ სპორტულ მოედანს და 14 არსებულ სკვერს.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 10 ახალი სკვერი და 10 ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 არსებულ სკვერს და 7 არსებულ სპორტულ მოედანს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს 5 მისამართზე მოეწყო 694 კუბ.მ საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 7 მისამართზე მოეწყობა 536 კუბ.მ საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შერულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია 56 ოჯახი, მათ შორის 2019 წელს გაზიფიცირდა 8 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 4 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 3 ოჯახი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 170 000 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 2506 ძირ ხეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2066-მდე ძირის და 218 750 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 218 750 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 2850 ძირ ხეს.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 7,760.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 7,738.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, საკანალიზაციო (ცინცაძის ქ-ზე და დიდ დიღომში არქანჯელო ლამბერტის ქუჩაზე) და სანიაღვრე ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სკვერებისა და სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები და სკვერებში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა, გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მინტაჟის სამუშაოები, დამცავი ღობეების და უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, კიბეების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ დიღომში ვაჟა ფშაველას ქ-ზე, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელ გზაზე, მიცკევიჩის 17-21-ში, დ.დ. სკოლა „ფესვებთან“, ყაზბეგის გამზ.N27-ში, ზაქარიაძის ქუჩაზე, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე (2 სკვერი) მდებარე სკვერების წყალმომარაგების და ელექტროგანაწილების სისტემებზე ახალ მომხმარებლებად მიერთება, შშმ პირებისათვის ლიფტებისა და ამწე პლატფორმების სამონტაჟო სამუშაები, სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზაფიცირების სამუშაოები (7 ოჯახი), 14 ეკლესიისა და 1 მუსლიმანთა სამლოცველოს ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის, ექსპერტიზის, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სკვერების აღდგენა/რეაბილიტაცია განხორციელდა 33 მისამართზე, სპორტული მოდნების აღდგენა/რეაბილიტაცია - 18 მისამართზე, ტრენაჟორების კომპლექტის მოწყობა 7 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 10 ახალი სკვერი და დამონტაჟდება 3 ცალი ფიტნეს ტრენაჟორის კომპლექტი, განხორციელდება 14 მისამართზე სკვერისა და 25 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 50 სკვერში მოხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 10 ახალი სკვერი და დამონტაჟდა 7ც ახალი ფიტნეს ტრენაჟორის კომპლექტი; განხორციელდა 14 მისამართზე სკვერებისა და 28 მისამართზე სპოტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია და 50 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 2 მისამართზე სანიაღვრე ქსელის, 6 მისამართზე საყრდენი კედლის, 9 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია. მოეწყო 2150 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 5 მისამართზე სანიაღვრე ქსელის, 2 მისამართზე საკანალიზაციო ქსელის, 8 მისამართზე 1075 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 6 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია; მოეწყობა 716 გრძ.მ უსაფრთხოების ღობეი და მოაჯირი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4 მისამართზე სანიაღვრე ქსელის, 2 მისამართზე საკანალიზაციო ქსელის, 8 მისამართზე 1130 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 6 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია; მოეწყო 650 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია 5 სოციალურად დაუცველი ოჯახი; დამონტაჟებულია შშმ პირებისათვის 3 ცალი ამწე პლატფორმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 5 ოჯახის გაზიფიცირება და შშმ პირებისათვის 3 ცალი ამწე პლატფორმის დამონტაჟება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 1955-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 910.9 ათას კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 5928 -მდე ძირის სხვლა ფორმირება და 900 ათას კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2602 ძირის სხვლა ფორმირება და 870 ათას კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 6,289.8 ათასი ლარი დაფინანსდა 6,285.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა, საყრდენი კედლების მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული კიბე-პანდუსის მიმდინარე შეკეთება, სპორტული მოედნების, სკვერების მოწყობა, დაიდგა საჩრდილობებლი ფანჩატური-ტრენაჟორებით და საბავშვო ატრაქციონები, დაზიანებული შენობა-ნაგებობის კონსტუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების, არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, დაზიანებული სახურავების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, დაიდგა საბაღე სკამები, სოციალურად

დაუცველი ოჯახების საცხოვრებლის გაზიფიცირება, შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოწყობა, 13 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია გამწვანებულ ზოლებში გარე სანათების მიმდინარე შეკეთების, კონტეინერის დაქირავების, საინჟინრო-საპროექტო მომსახურების, დეფექტური აქტების შედგენის, ზედამხედველობის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე არსებობს 157 სკვერი და 89 სპორტული მოედანი. აღსადგენია 90 სკვერი და 25 სპორტული მოედანი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 43 სკვერი და 16 სპორტული მოედანი, დაიდგმება 15 ერთეული ფიტნეს-ტრენაჟორი ფანჩატურით.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 56 სკვერი, 6 სპორტული მოედანი და 15 ერთეული ფიტნეს-ტრენაჟორი ფანჩატურით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ნაკლები სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი – მოსაწყობი და აღსადგენია 7500 გრძ/მ სანიაღვრე, 3500 გრძ/მ წყალსადენის და 3000 გრძ/მ კანალიზაციის ქსელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება - 1664 გრძ.მ სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა - 1782 გრძ.მ სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 6 ერთეული (350 კუბ.მ) საყრდენი კედელი და 6 ერთეული პანდუსი

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 8 ერთეული (633 კუბ.მ) საყრდენი კედელი და მოეწყობა 8 ერთეული პანდუსი

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულ იქნა 7 ერთეული (400 კუბ.მ) საყრდენი კედელი და მოეწყო 6 ერთეული პანდუსი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება სოციალურად დაუცველი 30 ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი.

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 35 000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა ფორმირება და თიბვა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 14470-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4092-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირების სამუშაოების განხორციელება გამოიწვია ნაკლებმა მომართვიანობამ.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 8,425.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,421.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების მოჭრა და ფორმირება, სკვერებშის მიწის ნაზავის შეტანა, სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობა, შეძენილი და დამონტაჟებულია ფიტნესტრენაჟორები, დამონტაჟდა ლიფტები შშმ პირებისათვის, ახლადმოწყობილ სკვერებში დამონტაჟდა 100 ცალი ვიდეოკამერა,

სკვერში წყალმომარაგების გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთება, 17 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რკინა-ბეტონის მოაჯირების, საყრდენი კედლების და კიბეების მოწყობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებლის გაზიფიცირება. ასევე, გაწეულია საპროექტო სამუშოების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 14 სკვერი და 17 სპორტული მოედანი, მიმდინარეობს 3 სკვერის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2020 წელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 24 სკვერი და 11 სპორტული მოედანი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 23 სკვერი და 11 სპორტული მოედანი, მიმდინარეოს 5 სკვერის და 3 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2021 წელს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო სანიაღვრე ქსელი 9 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 22 მისამართზე და წყალსადენის ქსელი 3 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 16 მისამართზე მოეწყობა საკანალიზაციო, 3 მისამართზე წყალსადენის და 6 მისამართზე სანიაღვრე ქსელი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 8 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 25 მისამართზე და წყალსადენის ქსელი 2 მისამართზე

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 1 საყრდენი კედელი (300 კუბ.მ) და 200 გრძ.მ მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება - 400 კუბ.მ საყრდენი კედელი, 175 გრძ.მ მოაჯირები და კიბეები 333 კუბ.მ

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულ იქნა ერთი საყრდენი კედელი, მოეწყო 8 მისამართზე მოაჯირი და კიბეები 6 მისამართზე.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 20 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 25 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე განხორციელდა 31 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 4,841.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,668.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების დამუშავება-გატანა, მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა, ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების სამუშაოები, გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობა, რკინა-ბეტონის კიბის მოწყობის სამუშაოები, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები, წყალსადენის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სკვერის მოწყობის სამუშაოები, საბავშვო ატრაქციონების შეკეთებითი სამუშაოები, მცირეფასიანი საპარკე სკამების დამზადება-მონტაჟი, სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები, სასმელი წყლის სოკოების შეძენა, მორწყვისა და ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა, ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები, სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, 300 არაგველია სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯები, ზემო ფონიჭალაში ღოღობერიძის ქ-დან №28 კორპუსამდე ს/ქ №7022 და ს/ქ №7023 შორის ახალი საჰაერო საკაბელო ხაზის

მოწყობის სამუშაოები, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, 11 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე განთავსებულია 53 დიდი და მცირე სკვერი და 28 სპორტული მოედანი, სადაც განთავსებულია 10 სპორტული ტრენაჟორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 18 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია და 2 სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 12 მისამართზე ახალი სკვერის მოწყობა, 4 მისამართზე სკვერისა და 2 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 1367 გრძ.მ სანიაღვრე და 1860,5 გრძ.მ კანალიზაციის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, 1223,31 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1725 გრძ/მ სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა- რეაბილიტაცია განხორციელდება 608 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 640 გრძ.მ სანიაღვრე ქსელის, 506 გრძ.მ კანალიზაციის ქსელის და 680 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 5 ოჯახის გაზიფიცირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება დამატებით 5 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 2 ოჯახი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (დარგვა, სხვლა-ფორმირება) უწევს 15000 კვმ გამწვანებულ ტერიტორიას, 2019 წელს განხორციელდა 1442 ძირის სხვლა ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1542-მდე ძირის და 25 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1275-მდე ძირის სხვლა-ფორმირება, 257 ძირის მოჭრა გატანა, ჩატარებულია 25 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 5,036.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,969.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, ავარიული ელემენტების აღდგენის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები, გრუნტის დამჭერი რკინა-ბეტონის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (14 მისამართი), არსებული სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები (14 მისამართი), შესყიდული და დამონტაჟებული იქნა 6 კომპლექტი ფიტნესის ტრენაჟორები, 8 ერთეული ხის საჩრდილობელის (ფანჩატური) მოწყობის სამუშაოები,ერთი შადრევნის მოვლა-პატრონობის/ექსპლოატაციის ხარჯები, მოაჯირების მოწყობის/შეკეთების სამუშაოები (8 მისამართი), 200 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის და 310 ცალი საბაღე სკამის მონტაჟი, ქვეითად მოსიარულეთა ზონების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (310 კვ.მ), არსებული სპორტული მოედნების შეკეთების სამუშაოები (7 მისამართი), ვეძინის ქ.N23-ში და დიმიტრი ყიფიანის ქ.N24-ში მდებარე ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის შეკეთების სამუშაოები, დაზიანებული წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-შეკეთებისა და საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები,

გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობისა და ხეების სხვლა-ფორმირების სამუშაოები, შეძენილი და დარგულია 120 ძირი ხე-მცენარე, შშმ პირებისათვის მოეწყო 12 ობიექტზე ელექტრო პანდუსი, 13 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 50 ერთეული პარკი, სკვერი და სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად, 2019 წელს რეაბილიტირებული იქნა 11 ერთეული სკვერი და 4 ერთეული სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 7 სკვერი და 6 სპორტული მოედანი, მოეწყობა 7 ახალი სკვერი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა 14 სკვერი და 7 სპორტული მოედანი, მოეწყო ერთი ახალი სკვერი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 556 გრძ.მ სანიაღვრე და შეკეთდა 1035 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1300 გრძ.მ ახალი სანიაღვრე და შეკეთდება 1250 გრძ.მ. წყალკანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 544 გრძ.მ სანიაღვრე და შეკეთდა 1833 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 150.92 კუბ.მ 2 ერთეული ახალი და შეკეთდა 492.32 კუბ.მ 6 ერთეული არსებული საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1556 კუბ.მ ახალი და შეკეთდება 575 კუბ.მ. საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 1051 კუბ.მ ახალი და შეკეთდა 585.5 კუბ.მ საყრდენი კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში გასული წლების განმავლობაში, როგორც საგზაო ისე კეთილმოწყობითი სამუშაოების დროს შშმპ-

სათვის მოეწყო 35 პანდუსი (მათ შორის 2019 წელს 10 ელექტრო პანდუსი), რომლითაც ასევე სარგებლობენ ბავშვიანი ქალები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 12 ობიექტზე პანდუსი

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

5. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა), 2019 წელს განხორციელდა ხეების სხვლა ფორმირების 1500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2020 წლის გეგმა - 72,240.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 71,945.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა; უძრავი ქონების ღირებულების ზრდა; შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე, მათ შორის:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ექსპერტიზის ხარჯები, სამშენებლო ობიექტებზე დენის და წყლით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია 406 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 59 ოჯახი, გუდიაშვილის მოედანზე

არსებული სახლებიდან - 152 ოჯახი, წინამძღვრიშვილის N1-დან - 77 ოჯახი, ჯავახიშვილის N14-დან - 10 ოჯახი, ყავლაშვილის N3-11-დან - 7 ოჯახი, ერეკლეს მოედანი N6-7 – 13 ოჯახი, რომის N4 – 30 ოჯახი, ანტონ კათალიკოსის - 12 ოჯახი, სხვადასხვა ობიექტებიდან - 59 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში (სულ განხორციელდა 963 რეისი) და სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯები.

ცხრილი ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) შესახებ ინფორმაცია თვეების მიხედვით

#	მისამართი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
1	აბესაძის ქუჩა	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	**144**
2	აბო თბილელის ქუჩა	38	42	44	44	44	44	44	46	46	46	48	46	**532**
3	ათონელის ქუჩა	12	13	13	12	12	12	12	12	12	12	12	12	**146**
4	ანტონ კათალიკოსის ქუჩა	0	0	0	0	0	0	8	8	10	12	12	12	**62**
5	ახოსპირელის ქუჩა	42	44	45	48	48	48	47	49	49	49	49	49	**567**
6	ბოტანიკური	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	**48**
7	გოგირდის შესახვევი	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	**48**
8	გუდიაშვილის მოედანი	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	**48**
9	ერეკლე მეორეს მოედანი	13	13	13	13	13	13	13	13	13	13	13	13	**156**
10	ლერმონტოვის ქუჩა	10	11	13	13	13	14	14	20	20	20	20	25	**193**
11	ორბელიანის ქუჩა	14	14	14	14	14	14	14	15	17	17	17	16	**180**
12	რომის ქუჩა	15	15	16	16	16	17	28	28	28	28	28	30	**265**
13	საიათნოვას ქუჩა	2	4	6	11	16	19	19	19	19	19	19	19	**172**
14	სამღებროს ქუჩა	4	4	4	4	4	4	4	5	5	5	4	4	**51**
15	ფურცელაძის ქუჩა	24	23	23	23	23	23	23	23	23	28	28	29	**293**
16	ყავლაშვილის ქუჩა	7	7	7	7	7	7	7	5	5	5	5	5	**74**
17	წინამძღვრიშვილის ქუჩა	76	74	74	74	74	74	75	76	76	77	77	77	**904**
18	ჯავახიშვილის ქუჩა	7	7	7	7	7	7	8	9	10	10	10	10	**99**
19	ჯიბლაძის ქუჩა	14	15	16	15	16	16	16	17	17	17	17	17	**193**
20	თაბუკაშვილის ქუჩა N46												6	**6**
21	ლაღიძის ქუჩა N2												5	**5**
	ჯამი	**302**	**310**	**319**	**325**	**331**	**336**	**356**	**369**	**374**	**382**	**383**	**399**	**4186**

პროექტირების მიმართულებით საპროექტო სამუშაოები დასრულდა შემდეგ მისამართებზე: ანტონ კათალიკოსის N30-32-34-ზე, რ. ლაღიძის N6-ში და რ. თაბუკაშვილის N42, 46-ში, რუსთაველის გამზირი N6, სანაპიროს N23 და სკუდიერის ქუჩის საფარის პროექტირება, აბესაძის N23-ზე, ფურცელაძის N30-32-34-ზე, გუდიაშვილის მოედანზე ელექტრომომარაგების ქსელების პროექტირება, გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაციის პროექტების მომზადება,

სპეციალური კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 26,412.4 ათასი ლარი, მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები, დასრულდა გუდიაშვილის მოედნისა და სარეკრეაციო ზონების რეაბილიტაციის ფარგლებში - დედაენისა და 9 მარტის ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ფურცელაძის ქ. N16-ში და წინამძღვრიშვილის N1-ში;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, მიმდინარეობს სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1 რეაბილიტაცია, რომის N4 რეაბილიტაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია, ორბელიანის N19-23 რეაბილიტაცია, ფურცელაძის N30-32-34 რეაბილიტაცია, თაბუკაშვილის N46, ერეკლე მეორის N6-7, ანტონ კათალიკოსის N30-32-34, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ორბელიანის N31 და 33, ყავლაშვილის N3-11, ჯავახიშვილის N14 ობიექტებზე;

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობს ათონელის N17, N18, N21, N23, N29, N31 და ჯავახიშვილის N14-ის სადარბაზოების რეაბილიტაცია;

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობს აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო დასრულდა დარეჯანის სასახლის რეაბილიტაცია;

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6034-GEO - „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში გახარჯულია 627.2 ათასი ლარი (გადასახადების ჩათვლით), საიდანაც თანადაფინანსების ფარგლებში „მდინარე მტკვარზე საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო მომსახურების განვითარების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურებისთვის გადახდილი დღგ-68.9 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის შემუშავების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურებისათვის გადახდილი დღგ - 24.7 ათასი ლარი. ასევე, გადახდილია

შრომითიხელშეკრულებით მომუშავე პირთა საშემოსავლო გადასახადი 3.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო 2000 საცხოვრებელი სახლი, მ.შ. 1700 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრიაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით;

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 31 საცხოვრებელ სახლს, მათ შორის 20 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, 2 ბაღის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 საცხოვრებელ სახლს, მათ შორის 12 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს; დასრულდა მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის, დარეჯანის სასახლის, 9 მარტის და დედაენის ბაღების რეაბილიტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილ სამუშაოებზე, კერძოდ, სახლებზე გაიზარდა შესრულების ვადები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს-2000-2500 ლარს, ხოლო კომერციული საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება - 2500-3000 ლარს;

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება შეადგენს 4000-4500 ლარს, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება - 4500-5000 ლარს;

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა


3.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში 2019 წლის განმავლობაში მოეწყო რამდენიმე ადაპტირებული ობიექტი, მათ შორის: 5 ქუჩა ტროტუარით და გადასასვლელებით, 1 მიწისქვეშა ავტოსადგომი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში 2020 წლის განმავლობაში მოეწყობა რამდენიმე ადაპტირებული ობიექტი. მათ შორის: 3 ქუჩა ტროტუარით და გადასასვლელებით, ავტომობილების გასაჩერებელი ადგილებით.


მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა


❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

ათასი ლარი



ათასი ლარი





03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 44,380.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 41,788.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

საანგარიშო პერიოდში შესყიდული იქნა 71 64 ძირი მაღალტანოვანი ხე, 34 513 ძირი დეკორატიული ბუჩქი, 15 000 ბალახოვანი ბუჩქი, აგრეთვე დამხმარე მასალები - 26 479 ცალი მცენარის დასამაგრებელი ჭიგო, 18 907 მეტრი კანაფის თოკი, 803 კვ.მ ჯვალოს ნაჭერი და 6 250 მეტრი რეზინის ზონარი, ჩატარდა ფიტოკვლევა 79 837 ხესა და 20 000 მდე ბუჩქზე, შეწამლულ იქნა 88 851 ხე და 16 760 ბუჩქი;

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ხმელი და ხმობადი ხეების სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოიჭრა 26619 ხმელი და ხმობადი ხე, ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, კოჯრის, ოქროყანის, ბაგების და წყნეთის გზატკეცილის ტერიტორიებზე, ხე-მცენარეების

დარგვის მიზნით ამოღებულ იქნა 840 კუნძი, 540 ორმო და მოეწყო 1700 მ ბორდიური;

განხორციელდა 145000კვ.მ. ფართობზე ჰიდროთესვის მეთოდით ბალახის თესვა და 12710 კვმ. ტერიტორიაზე მწვანე გაზონის მოწყობა, თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 18000-მდე კბმ. ნოყიერი მიწა, მოჭრილ და გატანილ იქნა 7500 კბმ. ძველი საფარი და ინერტული მასა;

განხორციელდა 11 176,15 კვ.მ სხვადასხვა ტერიტორიის მულჩირება, კერძოდ: ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში, გ. სააკაძის დაღმართსა და ლ. გოთუას ქუჩის კვეთაზე არსებულ კუნძულებზე, გ. სააკაძის დაღმართის მონაკვეთზე არსებულ კუნძულზე, ვარკეთილის 3, მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 310-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე (ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რამიშვილის ქუჩის კუთხემდე), ი.ჭავჭავაძის გამზირზე N30-ის მიმდებარე თარგებში, რამიშვილის ქუჩის კუთხიდან ჩოლოყაშვილის გამზირამდე არსებულ თარგებში, ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერში, ნ. ბარათაშვილის ქუჩა N10 - 12-ის მიმდებარედ არსებულ თარგებში, ზ. გამსახურდიას სანაპირო საპატრიარქოს წინ არსებულ თარგებში, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალთან, კახეთის გზატკეცილი #67-ს მიმდებარე თარგებში, მეტრო ვარკეთილის მიმდებარედ არსებულ გზაგამყოფი კუნძულში, გოძიაშვილის სახ. პარკი, ჟ. შარტავას ქ. განაპირა თარგებში, მ. კოსტავას #70-ის მიმდებარედ, ქეთევან მეფის გამზირი (გმირთა მოედნიდან ხიდამდე არსებული განაპირა თარგებში); მოსკოვის გამზირზე არსებული შუა გამყოფი ზოლში, ბელიაშვილის ქ #119-121 მიმდებარედ, გმირი კურსანტების ქ #4, თამარ მეფის გამზირიდან მარჯვენა სანაპიროზე ჩასასვლელი გზის კუთხესთან და მიმდებარედ არსებულ გზაგამყოფ კუნძულზე, გ. ცაბაძის ქუჩაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში, ვახუშტის ხიდის ორივე მხარეს არსებულ კუნძულებზე, პეკინის გამზირზე (არქივის შენობიდან გ. ფანჯიკიძის ქუჩის კვეთამდე), შანდორ პეტეფის ქუჩაზე არსებულ წრიულ კუნძულზე, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გვირაბის მიმდებარედ, კ. მარჯანიშვილის და დ. უზნაძის ქუჩების კვეთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა

სანაპიროზე (გ. კვინიტაძის ქუჩიდან გ. ცაბაძის ქუჩის დასაწყისამდე), ნ. მუსხელიშვილის სახელობის სკვერში, მ. კოსტავას ქუჩის მონაკვეთებზე არსებულ თარგებში, დასახლება ვარკეთილი-3 მიკრო/რაიონი I, ი.სუხიშვილის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ სკვერში.

თბილისის მაშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსდა საბაღე ფურნიტურა, მათ შორის: 297 ერთეული დეკორატიული სანაგვე ურნა განთავსდა არტოს ბაღში, ლონდონის სკვერში, ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე, N23-ის მიმდებარედ არსებულ სკვერი, დ.ალექსიძის ქუჩაზე არსებულ სკვერში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში, მოსკოვის გამზირზე არსებულ შუა გამყოფი ზოლში, კახეთის გზატკეცილზე, მონუმენტის „ადამიანი და მზეს“ მიმდებარედ არსებულ თარგებში, დიღმის მასივში კლუბ ,,დინამო"-ს საწვრთნელი ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, იეთიმ გურჯის ძეგლთან, სუხიშვილის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ სკვერში, გაბრიელ სალოსის გამზ. 151-ის მიმდებარედ, მ. ასათიანის ქუჩაზე და ი. ჭავჭავაძის გამზ. N27-ში;

538 საპარკე სკამი (მათ შორის 100 ერთეული ,,თბილისი“-ს წარწერის მქონე თუჯის საპარკე სკამი, 150 ერთეული ლითონის საპარკე სკამი, 198 ერთეული ლითონის (ხის დასაჯდომით) საპარკე სკამი და 90 ერთეული რკალისებრი სახელურით საპარკე სკამი) განთავსდა შემდეგ გამწვანებულ სივრცეებში: ნაძალადევის მეტროს მიმდებარედ, გურამიშვილის გამზირზე, მოსკოვის გამზირის მონაკვეთებზე, მოსკოვის გამზირზე არსებულ შუა გამყოფი ზოლში, ორხევის დასახლებაში ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ს. ზაქარიაძის ქუჩა, ლუბლიანას ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ თარგებში, ბოტანიკური ბაღში, ქერჩის ქუჩა N6, კახეთის გზატკეცილი N67 (თბილსერვისის ცენტრალური ოფისი), ვარკეთილი-3, მე-2 მიკრო/რაიონი, კორპუსი 7/8-ის, 23-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორია, ვარკეთილი-3, მე-3 მიკრო/რაიონი, კორპუსი 310-ის მიმდებარედ არსებული სკვერში, ვარკეთილი 3, III ა მიკრო რაიონი, კორპუსი 325-ის მიმდებარედ არსებულ პარკში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ გელოვანის სკვერის ტერიტორიაზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე შუა

გამყოფ ზოლში, მ. ასათიანის ქუჩაზე, პირველი რესპუბლიკის ბაღში, გრიგოლ ორბელიანის მოედანზე, მ. თამარაშვილის გამზირის შუა გამყოფი ზოლში, ჭაბუა ამირეჯიბის გამზირზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული სკვერი, დ. ალექსიძის ქუჩაზე არსებულ სკვერში, ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე, N 23-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N27-ში, ბერი გაბრიელ სალოსის #151-ში, დიღმის მასივში მაიაკოვსკის სახელობის სკვერში, სუხიშვილის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ სკვერში, ლონდონის სკვერში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, იეთიმ გურჯის ძეგლთან, მეტრო ,,ისანი“-ს მიმდებარედ არსებულ სკვერში, მეტრო ,,ავლაბარი“-ს მიმდებარედ, ვახტან გორგასალის ქუჩაზე შუა გამყოფ ზოლში;

61 ერთეული სათამაშო ატრაქციონის მონტაჟი განხორციელდა შემდეგ ლოკაციაზე: ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ სკვერში (4 ერთეული), მოსკოვის გამზირზე შუა გამყოფი ზოლი (14 ერთეული), არტოს ბაღი (8 ერთეული), ლონდონის სკვერი (5 ერთეული), ბერი გაბრიელ სალოსისი #151 (4 ერთეული), კოსტა ხეთაგუროვის სკვერი (2 ერთეული), ვაჟა ფშაველას გამზირზე გელოვანის სკვერი (4 ერთეული), ვაჟა ფშაველას გამზირზე შუა გამყოფი ზოლი (4 ერთეული), დ.ალექსიძის ქუჩაზე არსებული სკვერი (7 ერთეული), სუხიშვილის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ სკვერში (5 ერთეული), ბერი გაბრიელ სალოსისი #47/49 (2 ერთეული), პირველი რესპუბლიკის ბაღი (2 ერთეული);

19 ერთეული სავარჯიშო მოწყობილობა განთავსდა შემდეგ მისამართებზე: მოსკოვის გამზირზე შუა გამყოფი ზოლი (15 ერთეული); დ.ალექსიძის ქუჩაზე არსებული სკვერი (4 ერთეული).

ქალაქ თბილისში არსებული შუა გამყოფი ზოლების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: დ. ალექსიძის ქუჩაზე არსებული შუა გამყოფი და განაპირა ზოლები, კახეთის გზატკეცილისა და ჯავახეთის ქუჩების კვეთაზე არსებული ფერდობები (ვარკეთილის ხიდებთან), ვ. კუპრაძის ქუჩაზე შუაგამყოფ ზოლში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე N38-ის მიმდებარედ არსებულ განაპირა ზოლში, სარაჯიშვილის გამზირზე (გლდანის გამგეობის შენობის მიმდებარედ) არსებულ შუა გამყოფ

ზოლში, მარცხენა სანაპიროზე მეტეხის გვირაბიდან შუაგამყოფ ზოლში, კახეთის გზატკეცილისა და მ. გახოკიძის ქუჩის კვეთაზე არსებულ ფერდობები და კუნძულები, დ. უჯარმელის ქუჩისა და ზ. გამსახურდიას სანაპიროს კვეთაზე არსებული კუნძული, გ. სააკაძის დაღმართზე შუაგამყოფ კუნძულებზე, ა. ბაქრაძის ქუჩაზე, ვარკეთილის მე-3 მასივში, ვარკეთილის ხიდებთან, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის კვეთაზე არსებულ წრიულ კუნძულზე, ა. მიცკევიჩის ქN25-ის მიმდებარე თარგებში, მეტრო სამგორის მიმდებარე თარგებში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, მ.თამარაშვილის გამზ. N9 კორპუსის მიმდებარედ არსებული გზაგამყოფი კუნძულები, გ.ცაბაძის ქუჩა N15 კორპუსის მიმდებარედ არსებული გზაგამყოფი კუნძულები, ი.ჭავძავაძის გამზ. N39ა, N41, N72, N30, N39, N78 და გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ არსებული განაპირა თარგები, ნ. ბარათაშვილის ქუჩა N10 კორპუსის მიმდებარედ არსებული განაპირა თარგები, ო. ხიზანიშვილის ქუჩა N6 კორპუსის მიმდებარედ არსებული გზაგამყოფი კუნძულები, 26 მაისის მოედანზე არსებული გზაგამყოფი კუნძულები, გორგასლის მოედანზე არსებული გზაგამყოფი კუნძულები.

თბილისში არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები განხორციელდა: ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ შუა ზოლში, ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერში, განხორციელდა ილია ჭავჭავაძის გამზირზე, N23, N33 და N35 - ის მიმდებარედ არსებული სკვერების რეაბილიტაცია, მოსკოვის გამზირზე არსებული შუა ზოლის რეაბილიტაცია, კახეთის გზატკეცილი #67-ის მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორის რეაბილიტაცია, გაბრიელ სალოსის გამზირი N47-ის მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორის რეაბილიტაცია, ილია ჭავჭავაძის გამზირზე დ. გურამიშვილის სკვერი, ვარკეთილი-3, I მიკრო/რაიონში არსებული სკვერის რეაბილიტაცია, ვარკეთილის დასახლება -3 მიკრო/რაიონი I ი. სუხიშვილის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია, ი.ჭავჭავაძის გამზირზე გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ არსებული სკვერი და გორგასლის მოედანზე არსებული ახლადმოწყობილი კუნძულები, ჟინვალის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილზე არსებულ ფართობზე (5.7ჰა) განხორციელდა მწვანე ნარგავების აღდგენის სამუშაოები,

კერძოდ: გაშენების მიზნით მოეწყო ტერასები, ამოღებულია ორმოები და დაირგო 9460 ძირი ხის ნერგი (2523 ცალი მინდვრის ნეკერჩხალი, 2523 ცალი კავკასიური აკაკი, 2522 ცალი ჩვეულებრივი ნუში და 1892 ცალი ჰიმალაის კედარი), ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით შემოიღობა 5.7 ჰა ფართობი, მოეწყო 7 596 გრძ.მ ღობე, გადამუშავდა 7 000 კვმ. (აჩიჩქვნა) ტერიტორია,

სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე: დიდუბის ხიდის მიმდებარედ არსებული ფერდები, კახეთის გზატკეცილისა და ჯავახეთის ქუჩების კვეთაზე არსებული ფერდები, ლევილის სანაპიროს მიმდებარედ არსებული გზა გამყოფი კუნძული, მარშალ გელოვანის გამზირისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ არსებული ფერდები, ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებული თარგები, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებული ფერდები, ბაქრაძის შუა გამყოფი ზოლი (მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო) და არსებული ფერდები, ბარათაშვილის ხიდთან არსებულ ფერდი, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული გამწვანებული ფერდი, რობაქიძის გამზირზე (დიდუბის გამგეობის წინ) არსებული გამწვანებული თარგები, დ. უჯარმელის ქუჩისა და ზ. გამსახურდიას სანაპიროს კვეთაზე არსებული კუნძული, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული შუა ზოლი, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი, ჟინვალის ქუჩაზე არსებულ ფერდზე, ალექსიძის ქუჩაზე (ვარკეთილში) არსებული განაპირა თარგები, ვაჟა-ფშაველას გამზირზე და ი. უჩანეიშვილის ჩიხში (ვაკე, ბაგები) არსებული გამწვანებული თარგები, ევროპის ქუჩის შუა გამყოფ ზოლში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის თარგებში, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირზე არსებული თარგებში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე (ვაკის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან, „ილიას“ ბიუსტთან), კახეთის გზატკეცილის გარკვეულ მონაკვეთზე, შოთა რუსთაველის გამზირზე (პარლამენტის მიმდებარედ), ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე, ჯავახეთის ქუჩაზე განაპირა თარგები, ნ. ბარათაშვილის ქ. N10 კორპუსის მიმდებარეთ არსებული თარგები, 26 მაისის მოედანზე, მირიან მეფის გამზირზე არსებულ განაპირა თარგებში, ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ შუაგამყოფ ზოლში, კ.მარჯანიშვილისა და უ.ჩხეიძის ქუჩების კვეთაზე

ახლადმოწყობილ კუნძულებში, ვარკეთილი-3 მე-2 მიკრო 25 ა კორპუსის მიმდებარედ, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა და ჯავახეთის ქუჩების კვეთაზე არსებულ გზაგამყოფ კუნძულში, ჯავახეთისა და ი.სუხიშვილის ქუჩების კვეთაზე არსებულ განაპირა თარგებში.

განხორციელდა ვეტერანთა, კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები, კახეთის გზატკეცილის განაპირა თარგების და ბუშის ქუჩის მიმდებარედ არსებული თარგების რეაბილიტაციის სამუშაოები, მონუმენტის ,,ადამიანი და მზე'' მიმდებარედ არსებული თარგების რეაბილიტაციის სამუშაოები, კახეთის გზატკეცილის და ევროპის ქუჩის შუა ზოლში არსებული გამწვანებული ტერიტორიის აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში: ევროპის ქუჩის შუა ზოლში მოეწყო სარწყავი სისტემა და დაითესა 6940 კვ.მ ბალახი, კახეთის გზატკეცილის შუა ზოლში შეტანილ იქნა 2407 კბმ. ნიადაგის ნოყიერი ნაზავი, გადამუშავდა 34244 კვ.მ. ტერიტორია, 32608 კვმ. ფართობზე გაიშალა გეოტექსტილი და 1985 კბმ. მარმარილოს დეკორატიული ქვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაირგო სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მაღალტანიანი ხე-მცენარე - 11109 ნერგი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაირგვება 8130 დიდი ზომის ხე, 31 211 ძირი ბუჩქი და 15 000 ბალახოვანი მცენარე.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 7164 ძირი მაღალტანოვანი ხე, 34 513 ძირი დეკორატიული ბუჩქი, 15 000 ბალახოვანი ბუჩქი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ფერდობებზე ტყის ფართობის მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების პროექტი ფარგლებში დაირგო 7 600 ნერგი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ტყის ფართობის გაშენების ფარგლებში დაირგო 7164 ნერგი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მოეწყო 90000 კვ. მ ფართობის თარგები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 70000 კვ. მ ფართობის თარგები

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 166258 კვ. მ ფართობის თარგები

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 3 სკვერის და 2 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 პარკს და 4 სკვერს, განხორციელდება 2 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოების და ერთი საქალაქო პარკის რეაბილიტაციის ნაწილი, ერთი შუა გამყოფი ზოლის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 67,365.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო პოლიგონის პრობლემური საკითხების მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები. სისტემატურად ხორციელდებოდა ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები - 12 340 951 კვ.მ, შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 5 508 017 კვ.მ, სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 3 601 896 კვ.მ, ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 001 200 კვ.მ, მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 12 930 კვ.მ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 381 818,34 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. გარდა ამისა, სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში შეძენილ იქნა 1,300.2 ათასი ლარის ღირებულების 4000 ცალი სხვადასხვა ზომის (2000 ცალი - 1100 ლიტრიანი, 750 ცალი - 120 ლიტრიანი, 750 ცალი - 240 ლიტრიანი, 500 ცალი - 50 ლიტრიანი) პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი და

სპეც. ტექნიკის (ტრაქტორი, ასფალტის საშრობი დანადგარი, ამწე კალათა) შესაძენად შპს თბილსერვის ჯგუფისათვის გადარიცხულია 1,699.8 ათასი ლარი.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5,423.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,832.9 ათასი ლარის 93%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2020 წლის გეგმა - 3,600.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,306.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში; მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით; საერთაშორისო დონის ზოოპარკის ეტაპობრივი მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

არსებული ზოოპარკის მოდერნიზაციისა და ცოცხალი კოლექციის შენახვის მიზნით, განხორციელდა ცხოველთა საკვები პროდუქტისა და მედიკამენტების შეძენა; კამერუნის თხების, ფაფრიანი ცხვრების, აქლემის, ალპაკების, ზებრებისა და მარტორქის ვოლიერების ღობეების რეაბილიტაციის სამუშაოები; ტაპირისა და ლამების ვოლიერში გაიჭრა სადრენაჟე არხი; ბეჰემოტის ვოლიერში შეიცვალა აუზის დამცლელი სისტემა;

ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განხორციელდა 365.2 ათასი ლარის შემდეგი სამუშაოები: დასრულდა ავიარიუმის მშენებლობა; განხორციელდა შესასვლელი ჭიშკრის რეკონსტრუქცია; დათვების, მგლების, ირმებისა და ნიამორების ვოლიერის რეაბილიტაცია; აფრიკული

მოხატული ძაღლების ვოლიერში აშენდა ზამთრის შენობა; მოეწყო სამეურნეო ანგარი; მომზადდა ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოებისთვის საინჟინრო, საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელდა ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟების სამუშაოები; მომზადდა ელექტრო ენერგიის საჰაერო ხაზის საკაბელო ხაზით შეცვლასთან დაკავშირებული საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაცია და დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელდა საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის საკაბელო ხაზით შეცვლის სამუშაოები; შესყიდულ იქნა სამშენებლო მასალები სხვადასხვა ვოლიერის რეაბილიტაციისთვის; ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე ვოლიერისათვის ,,აფრიკული სავანა“ მომზადდა საინჟინრო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში ღონისძიების ფარგლებში, წითელ ნუსხაში შეტანილი და ადგილობრივი ფაუნის წარმომადენლების ზოოპარკში გამრავლებაზე განხორციელდა 111.6 ათასი ლარის შემდეგი სამუშაოები: ორი დასავლეთკავკასიური ჯიხვისა და ორი ევროპული დომბის ჩამოყვანა; ჯიხვების ვოლიერში ე.წ. გადასარეკისა და საჩრდილობლის მოწყობა; ცხოველთა კონსერვაციის, მონიტორინგისა და სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა პროექტი - „შავი ზღვის ვეშაპისნაირების შესწავლა“, რომლის ფარგლებშიც სამეცნიერო მივლინებით გრიგოლეთში იმყოფებოდნენ ზოოპარკის თანამშრომლები;

მოსწავლე-ახალგაზრდობაში ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნა ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირება და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის გაკვეთილ-სემინარების მოწყობა, ასევე ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

საანგარიშო პერიოდში ზოოლოგიურ პარკს ესტუმრა 120372 ვიზიტორი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2019 წელი - 312847) შედარებით 192475-ით ნაკლები, რაც განპირობებულია Covid-19 ინფექციით გამოწვეული პანდემიით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერები და ნაწილობრივ მოწყობილია ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი ვოლიერების პროექტირება, მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა დაწყებული ვოლიერების მშენებლობა, მოხდა ახალი ვოლიერების პროექტირება და ნაწილობრივ განხორციელდა შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - COVID 19-ის ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ შეაფერხა დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული პროცედურები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკში არიან გასამრავლებელი ცხოველები (აღმოსავლეთ და დასავლეთკავკასიური ჯიხვი, ევროპული დომბა, ნიამორი; ირემი, აფრიკული მოხატული ძაღლები) და აშენებულია შესაბამისი სტანდარტების ვოლიერები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამრავლების მიზნით დამატებით ცხოველების შემოყვანა და ვოლიერების სტანდაარტების შესაბამისად აღჭურვა.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩამოყვანილია ცხოველები და მოხდა ვოლიერების შესაბამისად აღჭურვა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - COVID 19-ის ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ შეაფერხა ცხოველების სრულად ჩამოყვანა (ხონთქრის ქათმები, კეთილშობილი ირმები).

3.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკი და სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს როგორც ახალ, ასევე ძველ ტერიტორიაზე

დაგეგმილი მაჩვენებელი - ცხოველთა არსებული კოლექციის შენარჩუნება და გამრავალფეროვნება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასწავლო ცენტრში საგანმანათლებლო წრეებისა და სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულ იქნა ზოოპარკის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ცხოველთა კოლექცია, საგანმანათლებლო ცენტრი ფუნქციონირებდა შეფერხებებით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - COVID 19-ის ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ შეაფერხა სასწავლო ცენტრის ფუნქციონირება და სამეცნიერო სამუშაოები.

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2020 წლის გეგმა - 2,232.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,117.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული, მოვლილი, განახლებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები; წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა; დამთვალიერებელთა და შემოსავლების გაზრდილი ოდენობა; მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ჩატარდა ნაწილი დაგეგმილი აგროტენიკური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, სარწყავი სისტემის დაზიანებული უბნების სარემონტო სამუშაოები, მცენარეთა დარგვებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები, ზაფხულის პერიოდში მოხდა ზეხმელი ხეების მოჭრა და ტერიტორიიდან გატანა, უწყვეტად მიმდინარეობს რიგი სეზონური საველე სამუშაოები, ტერიტორიის წმენდა, მცენარეთა სხვლა-ფორმირება, დეკორატიული გაფორმება და ბაღისათვის სასიცოცხლო ფუნქციის მქონე სხვადასხვა სამუშაოები; საშემოდგომო რგვების ფარგლებში ბაღის ტერიტორიაზე, მათ შორის რამდენიმე საკოლექციო ნაკვეთზე და საპარკე ნაწილში დაირგო 350-მდე მერქნიანი მცენარე; ბუნებრივი გავრცელების ადგილებში მოხდა სამი მოწყვლადი სახეობის მცენარის რეინტროდუქცია, ესენია: Galanthus Kemulariae Kuth. (ზედაზენი) Aquilegia colchica kem.-Nath (ჭიათურის მუნიციპლაიტეტი) Campanula Kachetica Kantshch.

(დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი); ყვავილოვანი გაფორმების ნაკვეთებში დაირგო 28442 ერთეული საგაზაფხულო ერთწლოვანი და მრავალწლოვანი დეკორატიული მცენარე, მათ შორის 1744 ერთეული წვრილყვავილა და მსხვილყვავილა ქრიზანთემა; ბაღის ყვავილოვან-დეკორატიული მცენარეთა კოლექციის ასორტიმენტს შეემატა 30 ახალი სახეობა და ჯიში; განხორციელდა 250-მდე ახალი მცენარის ეტიკეტირება;

მიმდინარე წელს დასრულდა 4 გრძელვადიანი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომელთა ფარგლებში მომზადდა 8 სამეცნიერო სტატია, რომელთაგან 6 უკვე გამოქვეყნდა. დასრულდა ორენოვანი გზამკვლევის ტექსტზე მუშაობა, რომელიც ასახავს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის წარსულსა და დღევანდელობას, მისი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის;

შემუშავდა გამრავლების პროტოკოლები 4 მოწყვლადი სახეობისთვის. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სტრატეგული განვითარების გეგმის შესაბამისად, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დამთავრდა გამრავლების პროტოკოლები (კოლხური წყალიკრეფიას, კეცხოველის და აწყურის მიხაკის, კახეთის მაჩიტას) ადგილობრივი, საფრთხის წინაშე მყოფი, მოწყვლადი 4 სახეობისათვის (თესვის დროის, გამოყენებული სუბსტრატების, დამუშავებების, ტემპერატურული რეჟიმის, გახარების პროცენტის მითითებით);

სანგარიშო პერიოდში ჩატარდა საგრანტო პროექტის "Prunus microcarpa C. A. Mey. (მცირენაყოფიანი ბალამწარა) in situ და ex situ კონსერვაცია“ ფარგლებში დავით გარეჯის მიდამოებში შექმნილი in situ სარეინტროდუქციო და სადემონსტრაციო ნაკვეთების მონიტორინგი, ხორციელდებოდა ქართული ნუშის in situ ნაკვეთის მონიტორინგი და მოვლა-პატრონობა;

განხორციელდა ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, გაიმართა საძირკვლის ჩაყრის ცერემონია, დამუშავდა სატენდერო და ტექნიკური პირობები ბოტანიკური ბაღის საქმიანი და სამეურნეო ეზოს მოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, წინადადებები დამუშავდა ასევე, მებაღეთა ხის სადგომების მოწყობასთან დაკავშირებით, რისი შესყიდვაც განხორციელდა 2020 წლის ბოლოს.

ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით მიმდინარეობდა სარწყავი წყლის ქსელის, სატუმბი სადგურებისა და აგრეგატების პერიოდული შეკეთება, რაც გამოწვეულია სისტემის ინტენსიური მუშაობით. გარდა ამისა, მომზადდა ბაღის სარწყავი წყლის მომარაგებისათვის საჭირო მაგისტრალური ხაზისა და ახალი სამარაგე აუზის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაიგეგმა მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში, ასოციაცია „ატუს“ მიერ.

გაგრძელდა მუშაობა მეცნიერების სტრატეგიის დოკუმენტზე, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ორგანიზაციაში წარმოებული სამეცნიერო კვლევის მიმართულებებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ინფრასტრუქტურული პროექტების განცხორციელებისას, შედგა ბაღის ცოცხალი კოლექციების საერთო სია, რომელიც მონაცემთა მართვის პროგრამის შერჩევის შემდეგ საფუძვლად დაედება კოლექციების აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ ბაზას, გაგრძელდა მუშაობა პარტნიორ ბოტანიკურ ბაღებთან თანამშრომლობის და საერთაშორისო ქსელებში წევრობის უზრუნველყოფის მიმართულებით, მარტის თვეში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საქართველოს ბოტანიკური ბაღების ხელმძღვანელების მონაწილეობით, რომელზეც ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს ბოტანიკური ბაღების ქსელის შექმნაზე, დაგეგმილია კონსულტაციების დაწყება პარტნიორ ორგანიზაციებთან სამომავლოდ კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვის გეგმის დასამუშავებლად, დასრულდა მუშაობა და დამტკიცდა ბოტანიკური ბაღის 2021-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და ლანდშაფტური განვითარების გეგმა;

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ჩატარდა ყველა საჭირო სადეზინფექციო სამუშაო, შეძენილი იქნა სადეზინფექციო საშუალებები პერსონალის უსაფრთხო მუშაობის მიზნით. ამავე მიზეზით გადაიდო სხვადასხვა საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო ღონისძიება, ხოლო ზაფხულის პერიოდში, სათანადო რეკომენდაციების დაცვით, აღდგა ზოგიერთი საგანამანთლებლო აქტივობები: შემეცნებითი ტურები, საექსკურსიო მომსახურებები, ახალგაზრდებისათვის დაიწყო ეკოლაშქრობები და ა.შ. 2020 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 68861, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

(2019 წელს - 293446) შედარებით 224585-ით ნაკლებია, რაც განპირობებულია Covid-19 ინფექციით გამოწვეული პანდემიით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალო აგრო-ტექნიკით მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია მაღალი აგრო-ტექნიკით მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები.

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალო აგრო-ტექნიკით მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მაღალი აგროტენიკა კვლავ გამოწვევაა, რაც დაკავშირებულია სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებთან, კვალიფიცირებული მებაღეების მიღებასთან და არსებულის გადამზადებასთან.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 1 500 ცალი, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 100 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 3 000 ცალი, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 100 სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია კოლექცია - 250 ცალი, განახლებულია მცენარეთა კოლექცია - 30 სახეობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ეტიკეტირების დასრულება დაგეგმილია მცენარეთა მიმდინარე ინვენტარიზაციის დასრულებასთან ერთად (სამეცნიერო პერსონალის ვარაუდით ეს უფრო ეფექტურია), ხოლო მცენარეთა გარკვეული სახეობები აშშ-დან მიღებული იქნა დაგვიანებით წლის ბოლოს, პარტნიორი არნოლდის არბორეტუმიდან.

3.საბაზისო მაჩვენებელი - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 5 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 5 ცალი.

მიღწეული მაჩვენებელი - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 6 ცალი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 5 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 4 სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემუშავდა 5 სახეობა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება - 4.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება - 4.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

6.საბაზისო მაჩვენებელი - გამწვანების, ეკოლოგიის, გარემოზე ზეომოქმედებისა და მავნებელ დაავადებათა საკითხებზე გაცემული დასკვნები - 150 ერთეული დაკვნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 250 ერთეული დაკვნა.

მიღწეული მაჩვენებელი - შესრულდა 180 ერთეული დაკვნა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირდა საექსპერტო დასკვნებთან დაკავშირებული მომართვიანობა.

7.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 293 446 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 310 000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა - 68861 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო.

8.საბაზისო მაჩვენებელი - საკუთარი შემოსავლები - 1 608 395 ლარი;

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია - 1 350 000 ლარი;

მიღწეული მაჩვენებელი - მიღებულია - 768 610 ლარი;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო.

9.საბაზისო მაჩვენებელი - ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა განახლების მიზნით, მოწესრიგდა გზის საფარი ვარდების საკოლექციო ნაკვეთიდან პარტერამდე, ჩატარდა სარწყავი სისტემის მიმდინარე რემონტი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რამდენიმე შიდა სარწყავი სისტემის მაგისტრალურ ხაზს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ახალი ტურისტული მარშუტების გახსნა და სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი მარშრუტების გახსნა ვერ განხორციელდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, ხოლო სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია გადაიდო 2021 წელს.

10.საბაზისო მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, შეძენილი იქნა 4 ელექტრომობილი, ავტობუსი, საექსპედიციო სატრანსპორტო საშუალება და მცირე სატვირთო მანქანა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეძენილი იქნება სამეურნეო დანიშულების სატრანსპორტო საშუალებები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სამეურნეო დანიშულების სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ვერ განხორციელდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო.

11.საბაზისო მაჩვენებელი - ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, დასრულდა იასამნების ნაკვეთის ძირითადი ნაწილის რეკონსტრუქცია, ახალი სალარო პუნქტის გახსნა, მომზადდა ლანდშაფტური განვითარების გეგმა, დაიწყო ადმინისტრაციული და ლაბორატორული შენობის მშენებლობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 5 სარეაბილიტაციო პროექტი (სამეურნეო ეზოს მოწყობა, მებაღეთა ხის სადგომები, ვარდების საკოლექციო


ნაკვეთის რეკონსტრუქცია, ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეის რემონტი, სანიაღვრე სისტემის მოწყობა).

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო მებაღეთა ხის სადგომები, გრძელდება ადმინისტრაციული და ლაბორატორული შენობის მშენებლობა.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ განხორციელდა ორანჟერეის მიმდინარე რემონტი საპროექტო დოკუმენტაციის არასრულყოფილებისა და სამუშაობის სპეციფიკური, შემჭიდროვებული ვადების გამო, სამეურნეო ეზოს მოწყობა გადაიდო 2021 წლისთვის, რადგან პროექტის დასრულება ვერ მოხდა წლის ბოლომდე, სანიაღვრე სისტემის მოწყობა ვერ განხორციელდა საპროექტო დოკუმენტაციის არასრულყოფილების გამო, ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეკონსტრუქიის ხელშემშლელი ფაქტორი ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია აღმოჩნდა.


- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**

ათასი ლარი



ათასი ლარი





04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 1,029.4 ათასი ლარი დაფინანდა 888.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, მოეწყო საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „თბილისის საშობაო ბაზარი“, „Taste Tbilisi/დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა, გამოფენა-გაყიდვების სერია „თბილისური ბაზარი“, ინოვაციური იდეების კონკურსი დამწყები ბიზნესებისთვის (ღონისძიება - „Startup Week“). ჩატარდა კვლევა COVID 19-ის გავლენა მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე, შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა. ასევე, ორგანიზება და ტექნიკური უზრუნველყოფა გაეწია შემეცნებით თამაშს „აღმოაჩინე ისტორიული თბილისი“;

ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში გაწეულია: ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ გაწეულია მომსახურების ხარჯები, ბიზნეს აქსელერატორის საქმიანობის სარეკლამო მომსახურების და ბრენდირებული საქონლის შეძენის, ბიზნეს აქსელერატორისათვის სასმელი წყლის, ბეიჯის, სტიკერის, სერთიფიკატის, სავიზიტო ბარათების ბეჭდვის და ფაქსიმილიის დამზადების, დოკუმენტაციის თარგმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ფეისბუქის დიზაინის შექმნის და ვებ-გვერდის საძიებო სისტემის რედაქტირების, შენობის გაგრილების სისტემის მიმდინარე შეკეთების და სხვა ხარჯები, მომზადდა 15 ბიზნეს გეგმა დამწყები და მოქმედი ბაზნესმენებისათვის, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირება დაიწყო ათმა საწარმომ;

COVID 19 -ის პანდემიის გათვალისწინებით, ბიზნეს აქსლერატორ სპარკის მიერ შეიქმნა სამი მიმართულების პლატფორმა: Accelerate.ge, Touismmentor.ge და Findouttbilisi.com, რომელიც ქალაქში არსებულ მეწარმეებს იმ ციფრულ სერვისებს სთავაზობს, რაც მათი ბიზნესის განვითარებაში ეხმარებათ (აღნიშნული პლატფორმების გამოყენებით ბიზნესს საშუალება აქვს: დაჯავშნოს მენტორი,

გაიაროს ტრეინინგი, აიმაღლოს ცოდნა, განათავსოს პროდუქცია, შეხვდეს მომხმარებელს); წლის განმავლობაში ბიზნეს აქსელერატორ სპარკის სერვისებით ისარგებლა 1000-მდე ადამიანმა, ჩატარდა 48 დამხმარე ტრენინგი და ვორქშოპი, სადაც 600-მდე მსურველმა მიიღო მონაწილეობა, ჩატარდა 4 გამოფენა-გაყიდვის ტიპის ღონისძიება (მათ შორის 4 დამოუკიდებელი სამუშაო შეხვედრათა ციკლი, რომლებიც შეეხებოდა Amazon export და Etsy –ის პლატფორმების გამოყენებას);

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ბიზნეს აქსელერატორი, ხოლო 2019 წელს შეიქმნა 14 ბიზნეს-გეგმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 30 ბიზნეს გეგმის შექმნა.

მიღწეული მაჩვენებელი - შეიქმნა 15 ბიზნეს-გეგმა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2020 წელს ევროკავშირის მიერ არ მოხდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშის სრულად ჩარიცხვა. შესაბამისად, სრულყოფილად ვერ განხორციელდა ყველა ღონისძიება.

2. საბაზისო მაჩვენებელი - ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, უნდა გადამზადდეს სავარაუდოდ 120 მეწარმე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 48 დამხმარე ტრენინგი და ვორქშოპი, სადაც 600-მდე მსურველმა მიიღო მონაწილეობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდა განსხვავებულ ფორმატში.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლიდან ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, პერმანენტულად ტარდება გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში დაახლოებით 30 ერთეული გამოფენა-გაყიდვის და 4-ჯერ ინოვაციური კონკურსის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 6 მასშტაბური გამოფენა-გაყიდვა და ღონისძიება Startup Week.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა სრულად.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2007 წლიდან თბილისის მერია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას, სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები, ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას.

	ჯამი	**9**	**850**		**6**		**8842**

სსიპ თსსუ ლაბორატორია	ივლისი		4				40
	აგვისტო		24				240
	სექტემბერი		25				266
	ოქტომბერი		19				190
	ნოემბერი		7				70
	ჯამი		**79**				**806**

შპს "აკად ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	2019 წლის დეკემბერი					54	1026
	ჯამი					**54**	**1026**

შპს "ავერსის კლინიკა"	მარტი	117					2480
	მაისი	34					724
	ივნისი	48					1028
	ჯამი	**199**					**4232**

სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"	2019 წლის დეკემბერი					4	48
	ჯამი					**4**	**48**

შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა	2019 წლის დეკემბერი	4	3	7		8	392
	იანვარი	1	4	1		1	116
	თებერვალი	4	2			3	234
	ჯამი	**9**	**9**	**8**		**12**	**742**

შპს "ჩიჩუების	2019 წლის	3	2		1		101

სამედიცინო ცენტრი მზერა"	დეკემბერი						
	ივლისი		5				55
	აგვისტო	2	3				61
	სექტემბერი	5	3				155
	ოქტომბერი	5	5				156
	ნოემბერი		4				45
	ჯამი	**15**	**22**		**1**		**573**

შპს "N8 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი"	2019 წლის დეკემბერი		7				126
	იანვარი		9				162
	ივნისი		5				50
	ივლისი		8				90
	აგვისტო		4				40
	სექტემბერი		10	3			127
	ოქტომბერი		10	3			132
	ნოემბერი		8				80
	ჯამი		**61**	**6**			**807**

სულ	ჯამი	27479	27375	4998	5703	20778	1450587

დანართი N2: ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების ერთეულის ღირებულებები (2020 წლის 1 ივნისამდე დაწყებულ შემთხვევებზე):

	მომსახურების დასახელება	ერთეულის ღირებულება
1.1.	ძუძუს კიბოს სკრინინგი – მამოგრაფიული გამოკვლევა (2 რადიოლოგის მიერ წაკითხ	**20**
1.2.	ძუძუს კიბოს სკრინინგი – მამოგრაფიული კვლევა (2 რადიოლოგის წაკითხვით), ფიზიკალური გასინჯვა, ძუძუს ექოსკოპია	**23**
1.3.	ძუძუს კიბოს სრული სკრინინგი: მამოგრაფია, ფიზიკალური გასინჯვა, ექოსკოპია, ბიოფსიური მასალის აღება და ციტოლოგიური კვლევა	**31**
2.1.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – გინეკოლოგის გასინჯვა, პაპ-ტესტის ჩატარებ ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით	**18**
2.2.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – გინეკოლოგის გასინჯვა, პაპ-ტესტის ჩატარებ ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით, საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი	**33**
2.3.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სრული სკრინინგი: გინეკოლოგის გასინჯვა, პაპ-ტესტის ჩატარება ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით, კოლპოსკოპიური სკრინინგი ბიოფსიურ მასალის აღებით და ჰისტოლოგიური კვლევით	**59**
3.	პროსტატის კიბოს სკრინინგი – სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლ	**9**
4.1.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი – ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOB ჩატარება	**5**
4.2.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი – ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOB ჩატარება, კოლონოსკოპია	**62**
4.3.	კოლორექტული კიბოს სრული სკრინინგი – ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტეს (FOBT) ჩატარება, კოლონოსკოპიური სკრინინგი ბიოფსიური მასალის აღებით და ჰისტოლოგიური კვლევით	**88**
5.1.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა	**12**
5.2.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერით გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა	**27**
5.2.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლის	**45**

	თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა	
5.3.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სრული მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლი თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა, ბიოფსიური მასალის აღება და ციტოლოგიური კვლევა	70

აღსანიშნავია, რომ დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №58-61 დადგენილების შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ვრცელდება მხოლოდ 2020 წლის 1 ივნისიდან დაწყებულ შემთხვევებზე:

- ქვეპროგრამით განსაზღვრული ლაბორატორიული კვლევები (ძუძუს ბიოფსიისას აღებული მასალის ციტოლოგიური კვლევა, pap - ნაცხის ციტოლოგიური კვლევა, კოლპოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის და კოლონოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიური კვლევა) ხორციელდება ცენტრალიზებულად, ქვეპროგრამის ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლების მიერ,
- პროსტატის კიბოს სკრინინგის ნაცვლად, შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის მამაკაცებში ხორციელდება პროსტატის კიბოს მართვა - პროგრამით განსაზღვრული კვლევა ტარდება მხოლოდ სპეციალისტის მიმართვის საფუძველზე, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებზე.
- ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის, პროსტატის კიბოს მართვისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგის ქვეკომპონენტების ფარგლებში შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა.
- შეიცვალა ერთეულის ღირებულებები

დანართი N3: ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების ერთეულის ღირებულებები (2020 წლის 1 ივნისიდან დაწყებულ შემთხვევებზე):

	მომსახურების დასახელება	ერთეულის ღირებულება
1.1.	ძუძუს კიბოს სკრინინგი – ძუძუს ფიზიკალური გასინჯვა და მამოგრაფიული გამოკვლე რადიოლოგის მიერ წაკითხვით)	25
1.2.	ძუძუს კიბოს სკრინინგი –ძუძუს ულტრაბგერითი გამოკვლევა ბიოფსიური მასალის აღების გარეშე	6
1.3.	ძუძუს კიბოს სკრინინგი –ძუძუს ულტრაბგერითი გამოკვლევა ბიოფსიური მასალის აღებით	10
1.4.	ძუძუს კიბოს სკრინინგი: ციტოლოგიური კვლევა	10
2.1.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, პაპ-ტესტის ჩასატარებლად ნაცხის აღება	10
2.2.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – პაპ - ტესტის ჩატარება ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით	10
2.3.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი :კოლპოსკოპია საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებით	15
2.4.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: კოლპოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიური კვლევა	26
3.	პროსტატის კიბოს მართვა – სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევა	9
4.1.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი – ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT ან უფრო მაღალი სტანდარტით) ჩატარება	7

4.2.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი –კოლონოსკოპია საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებით	**57**
4.3.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი –კოლონოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიური კვლევა	**26**
5.1.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა	**11**
5.2.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერით გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა	**24**
5.2.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა	**41**
5.3.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სრული მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა, ბიოფსიური მასალის აღება და ციტოლოგიური კვლევა	**65**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა 91554 კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 84800 კვლევის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 86333 კვლევა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფიქსირდა მაღალი მომართვიანობა, შესაბამისად გაიზარდა ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული თანხები.

06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

2020 წლის გეგმა - 572.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 530.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ

დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა, ინფექციების გავრცელების შეზღუდვების ღონისძიებების განხორციელება, დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია - დეზინსექცია, იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა, სამედიცინო საგანმანათლებრო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2020 წლის იანვარ-დეკემბრის აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილი N1-ში მითითებული ნოზოლოგიები:

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავედუნედამბლა/მწვავეპოლიომიელიტი/გიენ-ბარეს სინდრომი	2	ლეიშმანიოზი	19
წითელა	9	ექინოკოკოზი	35
წითურა	0	ფასციოლოზი	16
ყივანახველა	16	ამებიაზი	2
ყბაყურა	2	ტრიქინელოზი	2
ტუბერკულოზი	377	სიფილისი	360
ბაქტ.მენინგიტი	13	თანდაყოლილი სიფილისი	0
ტუბ.მენინგიტი	8	სიფილისი ორსულებში	21
მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB	0	გონორეა	77
ვირ.მენინგიტი	1	ქლამიდიოზი	295
მენინგოკოკცემია	4	სამარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	30
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური პნევმონია	165
streptococcuspneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	35
streptococcuspneumonae –თ გამოწვეული ინფექცია	0	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	26

ენტეროჰემორაგიულიეშერიხიოზი	22	15-49 წ.ქალთასიკვდ.	29
სალმონელოზი	121	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	47
შიგელოზი	385	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	6
ბოტულიზმი	4	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	0
სავ.ინფ.წარ.დიარეა	1217	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	18
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	828	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	157
სოკოთი მოშხამვა	14	ჰეპატიტი C	293
ჯიღეხი	3	მწვავე ჰეპატიტი E	0
ბრუცელოზი	5	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	1
აივ –შიდსზე ტესტირებული	68843	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	1
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	7920	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	3
ლაიმის დაავადება	111	დენგეს ცხელება	0
ტულარემია	1	Q ცხელება	3
ჩუტყვავილა	635	ლეპტოსპიროზი	25
ქუნთრუშა	100	აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	0
ცოფისრისკის მქონე ექსპოზიცია	13677	შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	5

გრიპის აქტიური სეზონი იწყება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან (მე-40 კვირა) და მთავრდება მომდევნო წლის 20 მაისისთვის (მე-20კვირა). შესაბამისად, 2020 წლის ანგარიში მოიცავს 2019-2020 წლების გრიპის სეზონის მეორე ნახევარს (1 იანვრიდან 20 მაისასმდე) და 2020-2021 წლების გრიპის სეზონის პირველ ნახევარს (1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით).

2020 წლის 1 იანვარიდან - 20 მაისამდე პერიოდში თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში, დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსგავსი დაავადებების ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა სულ 471794, მათ შორის: გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების (ILI) – 61036 ამბულატორიული შემთხვევა, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობა - 50238 (მ.შ. მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციის (SARI) - 4 108 ჰოსპიტალური შემთხვევა).

2020 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებში დარეგისტრირდა ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა - სულ: 131621, მ.შ. გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების (ILI) - 8691 ამბულატორიული შემთხვევა, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობა სულ -15444 (მ.შ. მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციის (SARI) – 889 ჰოსპიტალური შემთხვევა).

სეზონი	სულ ამბ. ვიზიტი	მ.შ.ILI	სულ ჰოსპიტალ	მ.შ. SARI
01.01.20-20.05.20	471 794	61 036	50 238	4 108
01.10.20-31.12.20	131 621	8 691	15 444	889
სულ	**603 415**	**69 727**	**65 682**	**4 997**

კორონავირუსის ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა ყველა გადმოცემული შესაძლო შემთხვევის ეპიდზედამხედველობა, კერძოდ უცხო ქვეყნიდან შემოსულ, თვითიზოლაციაში მყოფ და ცენტრში გადმოცემულ კოვიდ დადებით პაციენტებთან კონტაქტში მყოფ პირებზე (დღემდე მიმდინარეობს კოვიდდადებითთან კონტაქტში მყოფთა ,,მიდევნება“). შესაბამისი ბრძანების და პროტოკოლის მიხედვით ცენტრის გადამზადებული ეპიდემიოლოგები ახორციელებენ რისკის კონტიგენტში ცხვირ-ხახის ნაცხის აღებას და სათანადოდ ტრანსპორტირებას შესაბამის ლაბორატორიამდე. მაისს - დეკემბერში პსრ ტესტირებისთვის გატესტილია ცენტრის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი პროტოკოლით გათვალისწინებული რისკის ჯგუფის (მოხუცთა თავშესაფარი, შ.შ.მ პირები, ცენტრის თანამშრომლები) 5193 პირი, ნოემბერ-დეკემბერში სწრაფი ანტიგენტესტირებით გატესტილია 180 პირი, ხოლო სწრაფი ანტიგენ-ანტისხეულით 55 პირი. პროგრამის ფარგლებში მონაწილე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ხდება PCR კვლევისთვის საჭირო კრიო სინჯარების, აპლიკატორების და სწრაფი ანტიგენტესტების განაწილება. მიმდინარეობს ჩატარებული სწრაფი ტესტების ყოველდღიური ანგარიშგება. ასევე, მიმდინარეობს სეზონური გრიპის ვაქცინაციისათვის საჭირო ასაცრელი მასალის განაწილება და ყოველდღიური ანგარიშგება აცრების ჩატარების შესახებ დაწესებულებების მიხედვით.

ზემოაღნიშნულ თვეებში მიუხედავად წითელას შემთხვევების მკვეთრი კლებისა, გრძელდება აქტიური ეპიდზედამხედველობა და 40 წლამდე ასაკის მოსახლეობაში პროფესიული დატვირთვის შესაბამისად სავალდებულო აცრებში ჩართვის რეკომენდაციების გაცემა და წითელაზე აცრაგამოტოვებულ პირთა პროფილაქტიკურ აცრებში ჩართვის სამუშაოები. გრძელდება წითელას ეპიდჩვენებითი აცრების ეპიდზედამხედველობა. ასევე, გრძელდება გოგონებში ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო აცრები. კერძოდ, იცრებიან 10-11-12 წლის გოგონები. მიმდინარე წელს აიცრა V1-1555 გოგონა, V2-1415 გოგონა.

COVID19-თან ბრძოლის პარალელურად გრძელდება C ჰეპატიტის სკრინინგკვლევებისათვის, ტანდემტესტირებისათვის და ორსულთა კომბინირებული ტესტირებისთვის საჭირო მასალის - ტესტების მიღება-განაწილება სამედიცინო დაწესებულებებში და შესაბამის პროგრამაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებში სათანადო ანგარიშგებით.

2020 წელს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით, ლექცია-საუბრები ჩატარდა ვაკე-საბურთალოს რაიონში სილამაზის სალონში „პერლა“ თემაზე არტერიული ჰიპერტენზია და მისი პროფილაქტიკა, ისანი-სამგორის სილამაზის სალონში „გიო“ ჩატარდა ლექცია თემაზე ტყვიით მოწამვლის შესახებ, დიდგორის რაიონის ჯგუფმა საქიმო ამბულატორიის ტაბახმელას ფილიალში ჩაატარა ლექცია საუბრები თემაზე სარძევე ჯირკვლის კიბო და მისი პროფილაქტიკა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის, აბასთუმნის 8 მდებარე სილამაზის სალონში ჩატარდა საუბრები თემაზე „ვილსონის დაავადება“, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში რეგიონალური ჯგუფის მიერ ჩატარდა ლექცია სილამაზის სალონში „მარი“ ჭარბი წონა რისკფაქტორები და პრევენცია, გლდანი-ნაძალადევის რაიონში პოლიკლინიკა შპს „დეა“-ში ჩატარდა ლექცია თემაზე ჭარბი წონა, რისკფაქტორები და პრევენცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი იყო 55.4%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2020 წელს ივარაუდება ხვედრითი წილი 77.6 %.

მიღწეული მაჩვენებელი - ხვედრითი წილმა შეადგინა 80%.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით, გადამდებ დაავადებათა შემთხვევის 80%-მა გაიარა სტაციონალური მკურნალობა

2.საბაზისო მაჩვენებელი - პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინებით იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი 2019 წელს იყო - BCG-99%, ჰეპატიტი-96; ჰექსავალენტური ვაქცინა-95,6; წწყ1-99; წწყ2-99%; როტა 2-79; პნევმოკოკ. ვაქც. 3-85%; დყტ4-97%; ოპვ3-98%; ოპვ-4-99%; ოპვ-5-99%; დტ-93%; ტდ-98%;

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2020 წელს დაგეგმილი იყო - BCG-98%, ჰეპატიტი-98; ჰექსავალენტური ვაქცინა-95.5; წწყ1-99; წწყ2-99%; როტა 2-85; პნევმოკოკ. 3-85%; დყტ4-97%; ოპვ3-98 ოპვ-4-99%; ოპვ-5-99%; დტ-93%; ტდ-98%.

მიღწეული მაჩვენებელი - მიღწეულია - BCG-98%, ჰეპატიტი-97.1; ჰექსავალენტური ვაქცინა-87.3; წწყ1-93; წწყ2-77.5%; როტა 2-74.4; პნევმოკოკ..3-83%; დყტ4-34%; ოპვ3-30.3; ოპვ-4-60%; ოპვ-5-69%; დტ-36%; ტდ-74%.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებული ზოგადი შეზღუდვები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2019 წელს მონიტორინგი ჩატარდა 1204 დაწესებულებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მონიტორინგი ჩატარდება 1153 დაწესებულებაში.

მიღწეული მაჩვენებელი - მონიტორინგი ჩატარდა 1005 დაწესებულებაში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებული ზოგადი შეზღუდვები.

06 01 05 გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 956.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 717.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 75%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამკურნალო მედიკამენტები „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ, ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში), გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს).

ცხრილი N1: დაფინანსების მოცულობა და როადენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

მედიკამენტის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებული ფლაკონების /აბების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
	მარტი	12	43200
	აპრილი	18	62400
	მაისი	6	19200
	ივნისი	20	98400

ოკრელიზუმაბი	ივლისი	8	50400
	აგვისტო	4	38400
	სექტემბერი	8	19200
	ოქტომბერი	8	50400
	ნოემბერი	8	62400
	ჯამში	**92**	**444000**
ფინგოლიმოდი	მარტი	420	17721,6
	აპრილი	588	23259,6
	მაისი	168	11076
	ივნისი	924	35443,2
	ივლისი	588	37658,4
	აგვისტო	504	9968,4
	სექტემბერი	1260	58702,8
	ოქტომბერი	1008	47626,8
	ნოემბერი	756	32120,4
	ჯამში	**6216**	**273577,2**
ჯამი			**717577,2**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა N/A.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 180 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 75 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო დაფიქსირდა დაბალი მომართვიანობა

06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 5,210.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,792.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 92%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი,

ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობა, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს არანაკლებ 14 სეანსს, ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ ¾, სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს და თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1230 ბენეფიციარი. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, რომლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით

ცხრილი N1. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული და ანაზღაურებული კვლევების ჯამური რაოდენობა

მომსახურების დასახელება	წარმოდგენილი სეანსების რაოდენობა	ანაზღაურებული სეანსების რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია-01	185277	185277	3705540
მეტყველების თერაპია-02	16649	16649	332980
ოკუპაციური თერაპია-03	554	554	11080
სენსორული თერაპია-04	6189	6189	123780
აკადემიური უნარების განვითარება -05	12202	12202	244040
ფიზიკური თერაპია - 06	12979	12979	259580
ხელოვნებითი თერაპია - 07	5797	5797	115940
სულ	**239647**	**239647**	**4 792 940**

ცხრილი N2. პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა, ანაზღაურებული სეანსების რაოდენობების მიხედვით

მიმწოდებელი დაწესებულება	სეანსების რაოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“	87360	440	1747200
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის “ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“	20057	110	401140
რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“	29991	151	599820
შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“	17759	91	355180

ა(ა)იპ პირველი ნაბიჯი საქართველო	25374	150	507480
შპს ,,ფაზლი“	45732	221	914640
ვალეო 2011	13374	67	267480
სულ ჯამი:	**239647**	**1230**	**4 792 940**

***შენიშვნა:** ცხრილში შესულია 2019 წლის დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2020 წლის ბიუჯეტიდან

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 955 ბავშვს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია თვეში საშუალოდ 1000 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1230 ბავშვს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობის ლიმიტი 1000-დან 1230-მდე, შესაბამისად გაიზარდა ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები.

06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 3,720.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,693.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე განკურნება; HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი სამკურნალო მედიკამენტები: ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან ჰორმონუარყოფითი და დადებითი ნოდალური სტატუსის შემთხვევაში-ტრასტუზუმაბს+პერტუზუმაბი, ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს

შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი, გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს – 80%-ით, გარდა „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრასტუზუმაბის დაფინანსების შემთხვევისა, როდესაც მედიკამენტი-ტრასტუზუმაბი ფინანსდება ღირებულების – 50%-ის მოცულობით (ასეთ შემთხვევაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ს).

ცხრილი N1: დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

მედიკამენტის დასახელება	ბენეფიციარების რაოდენობა	დაფინანსებული ამპულების/აბების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტრასტუზუმაბი	266	781	1252800
ტრასტუზუმაბი პერტუზუმაბი	171	1082	2354444
ლაპატინიბი	21	82,74	69489.56
ჯამი			**3676734**

შენიშვნა: დამატებით, სახელფასო ფონდმა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეადგინა 16800 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წლის განმავლობაში დაფინანსდა 158 შემთხვევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაფინანსდება 144 შემთხვევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 158 შემთხვევა.

06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 600.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 587.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში.

ცხრილი N1. წარმოდგენილი და ანაზღაურებული სამუშაო დაწესებულებების შესაბამისად

პროგრამის ფარგლებში 2020 წლის ბიუჯეტით ანაზღაურებული თანხა					**586998,66**
მ.შ. აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობის კომპონენტი					**292898,66**
მ.შ. მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში" კომპონენტი					**294100**
კომპონენტის დასახელება	**დაწესებულების დასახელება**	**საანგარიშგებო თვე**	**მოსარგებლეთა რაოდენობა საანგარიშგებო თვის მიხედვით**	**ინტერვენციების რაოდენობა**	**ანაზღაურებული თანხა**
აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	2019 წლის დეკემბერი	100		24064,5
		იანვარი	100		24088,7
		თებერვალი	100		24146,55
		მარტი	100		24459,67
		აპრილი	100		24008,33
		მაისი	100		24629,03
		ივნისი	100		24900
		ივლისი	100		24629,03
		აგვისტო	100		24387,1
		სექტემბერი	100		24558,33
		ოქტომბერი	100		24677,42
		ნოემბერი	100		24350,0
		ჯამი	**1200**		**292898,66**
	შპს	2019 წლის დეკემბერი	30	540	13500
		იანვარი	30	540	13500
		თებერვალი	30	540	13500
		მარტი	30	540	13500
		აპრილი	30	540	13500

ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში	თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	მაისი	30	540	13500
		ივნისი	30	540	13500
		ივლისი	30	540	13500
		აგვისტო	30	540	13500
		სექტემბერი	30	540	13500
		ოქტომბერი	30	540	13500
		ნოემბერი	30	540	13500
		ჯამი	**360**	**6480**	**162000**
	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	2019 წლის დეკემბერი	30	455	11 375,00
		იანვარი	30	469	11 725,00
		თებერვალი	30	420	10 500,00
		მარტი	45	345	8 625,00
		აპრილი	45	451	11 275,00
		მაისი	45	475	11 875,00
		ივნისი	45	445	11 125,00
		ივლისი	45	450	11 250,00
		აგვისტო	0	0	0
		სექტემბერი	45	449	11 225,00
		ოქტომბერი	45	471	11 775,00
		ნოემბერი	45	410	10 250,00
		ჯამი	**450**	**4840**	**121000**
	საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	ივნისი	6	15	375
		ივლისი	14	91	2275
		აგვისტო	0	0	0
		სექტემბერი	15	99	2475
		ოქტომბერი	14	130	3250
		ნოემბერი	15	109	2725
		ჯამი	**64**	**444**	**11100**
		ჯამი მულტისისტემური ინტერვენცია	**874**		**294100**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 170 ბენეფიციარს (მათ შორის 38% ქალი, 62 % კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა თვეში საშუალოდ 182 ბენეფიციარისათვის.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 170 ბენეფიციარს.

06 01 13 ტრანსპლანტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 9,450.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 9,374.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, თბილისში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებები: ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია, ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა, ღვიძლის ტრანსპლანტაცია. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 191 შემთხვევა, მათ შორის: 185 - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში, ხოლო 6 - ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში.

ცხრილი N1 იანვარი-დეკემბრის თვეებში დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა

მომსახურების სახე	რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი)
წინასატრანსპლანტაციო კვლევა	64	625 495
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია	56	1 120 000
აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია	51	4 845 000
ალოგენური ტრანსპლანტაცია	13	2 158 803
ჰაპლოიდენტუერი ტრანსპლანტაცია	1	205 000
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	6	420 000

სულ	**191**	**9 374 297**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსდა143 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო 92 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 191 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფიქსირდა მოთხოვნის ზრდა, შესაბამისად გაიზარდა ქვეპროგრამის ასიგნება.

06 02 სოციალური დაცვა დაფინანსებულია 125,000.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 127,379.8 ათასი ლარის 98.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 01 კომუნალური სუბსიდირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 7,202.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,591.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თბილისში რეგისტრირებულ 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის/აბონენტებისათვის განხორციელდა ელექტროენერგიის, წყლის გადასახადზე და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის დარიცხვა. კერძოდ:

ცხრილი №1. საანგარიშო პერიოდში მოსარგებლე აბონენტთა რაოდენობა, მომსახურე კომპანიების მიხედვით

კომპანია	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	დეკემბერი
თელასი	43287	43371	43346	16210	8694
თბილსერვის ჯგუფი	46035	45715	45801	16620	8847
ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	42867	42043	42114	14751	7757
ენერგო-პრო ჯორჯია	1 873	1 901	1 905	474	522

ცხრილი #2. საანგარიშო პერიოდში მომსახურე კომპანიებში გადარიცხული თანხები

კომპანია	იანვარი (ლარი)	თებერვალი (ლარი)	მარტი (ლარი)	აპრილი (ლარი)	დეკემბერი (ლარი)
თელასი	1 213 996.08	1 338 790.70	1 305 115.37	808 539.66	369 622.91
თბილსერვის ჯგუფი	220 618.50	221 907	222 097.50	81 927	45300
ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	166 752.63	163 547.27	163 823.46	57 381.39	30174.73
ენერგო-პრო ჯორჯია	43 930.96	48 368	45 688.90	21 637.57	22017.11

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა თვეში საშუალოდ 46191 ოჯახის სუბსიდირება (5 თვის განმავლობაში).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 40075-მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 32604 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - COVID19 პანდემიის პირობებში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა მოქალაქეებზე სუბსიდიის დარიცხვა (200 კვტ/სთ-ზე ქვემოთ მოხმარების მქონე ოჯახებისათვის).

06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება


განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 10,230.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 10,225.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 18 წლამდე ასაკის

თითოეულ ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია საშუალოდ თვეში 4861 ოჯახს - 16 870 ბავშვზე.



	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოჯახი	4 617	4 666	4 724	4 738	4 797	4 820	4 854	4 924	4 966	5 020	5 076	5 133
ბავშვი	16 019	16 180	16 388	16 446	16 654	16 742	16 845	17 069	17 380	17 392	17 567	17 753

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 15648 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თვეში საშუალოდ 16500 ბავშვის დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 16870 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ზრდა განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულთა ცვლილებამ.

06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკუროორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია დაფინანსებულია 1,097.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,152.2 ათასი ლარის 95.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 04 01 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკუროორტო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 1,152.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,097.6 ათსი ლარით, რაც გეგმის 95.3%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება, ხოლო საკურორტო მომსახურების ნაწილში ანაზღაურებული იქნა 1353 ვაუჩერი, რომლითაც ისარგებლა ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და მინიმუმ ერთმა გამყოლმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გაიცა 1387 ვაუჩერი, მათ შორის 37,6% გოგონა, 62.4% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 1295 ვაუჩერების გაცემა, მათ შორის 37.6% გოგონა, 62.4% ბიჭი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 1353 ვაუჩერი, მათ შორის 43.6% გოგონა, 56.4% ბიჭი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პროგრამაში დამატებით ჩართული იქნა მომლოდინე ბენეფიციარები.

06 02 05 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 38.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ 38 მოქალაქეს.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსდა 33 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 38 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 02 06 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება დაფინანსებულია 2,021.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,069.0 ათასი ლარი) 97.7%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა უფასო სწავლება ყოველთვიურად ფინანსდება ხელოვნების სკოლებში (32 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში (9 ფილიალი) და სასახლეში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (29 სკოლა/ცენტრი/აუზი/ფედერაცია).





	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელოვნების სკოლები	2519	2532	2532	2532	2532	2532			2467	2545	2540	2551
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლე	1972	1971	1971	1971	1971	1971			1328	1626	1777	1767
სპორტული სკოლები და საცურაო აუზები	1506	1650	686	686	1185	675	81		704	1272	1236	567

შენიშვნა: ივლისში სწავლობს ზოგიერთი სპორტული სკოლა და საცურაო აუზი

06 02 06 01 უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 567.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 556.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1833 თვეში).

ცხრილი №1. საანგარიშო პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში და სახლებში გადარიცხული თანხები

ლარი

დაწესებულება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	8780	8695	8695	8695	8695	8695	0	2735	5415	5415
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები	51120	51180	51180	51180	51180	51180	39840	46530	48600	48300

ცხრილი №2. საანგარიშო პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში და სახლებში სერვისით მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა

დაწესებულება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	268	265	265	265	265	265	0	75	157	157
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები	1704	1706	1706	1706	1706	1706	1328	1551	1620	1610

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელის დაფინანსებით ისარგებლა თვეში საშუალოდ 1927 ბავშვმა, (საშუალოდ 51.4% გოგონა, 48.6% ბიჭი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1987 ბავშვის სწავლების დაფინანსება საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 54.1% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა თვეში საშუალოდ 1833 ბავშვის უფასო სწავლება, მათ შორის საშუალოდ 51.4% გოგონა, 48.6% ბიჭი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: შემცირება განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილებამ და COVID19 პანდემიის გამო წარმოქმნილმა შეფერხებებმა.

06 02 06 02 უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 988.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 985.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ხელოვნების სკოლებში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 2528 თვეში).

ცხრილი N1 საანგარიშო პერიოდში ხელოვნების სკოლებში გადარიცხული თანხები

ლარი

დაწესებულება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელოვნების სკოლები	98200	98600	98600	98600	98600	98600	96215	99360	99195	99635

ცხრილი №2. საანგარიშო პერიოდში ხელოვნების სკოლებში სერვისით მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა

დაწესებულება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელოვნების სკოლები	2519	2532	2532	2532	2532	2532	2467	2545	2540	2551

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 2 524 ბავშვმა, (მათ შორის საშუალოდ 59% გოგონა, 41% ბიჭი.)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 2 574 ბავშვის დაფინანსება, (მათ შორის საშუალოდ 59% გოგონა, 41% ბიჭი.)

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებით ისარგებლა 2 528 ბავშვმა, საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 59% გოგონა, 41% ბიჭი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: შემცირება განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილებამ და შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ.

06 02 06 03 უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 433.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 401.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სპორტულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება სპორტის სხვადასხვა წრეებში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 932 თვეში).

ცხრილში მოცემულია საანგარიშო პერიოდში სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში გადარიცხული თანხები და სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა

საანგარიშგებო თვე	დაწესებულება	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	დაფინანსების ოდენობა (ლარი)
იანვარი	სპორტული სკოლები და საცურაო აუზები	1506	55708.85
თებერვალი		1650	66408.40
მარტი		686	37247.79
აპრილი		686	42000.99
მაისი		1185	25490.99
ივნისი		675	25490.99
ივლისი		81	2430
სექტემბერი		704	22350
ოქტომბერი		1272	48290.56
ნოემბერი		1236	46268.20
დეკემბერი		567	29463.17

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 1584 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია საშუალოდ თვეში 1647 ბავშვის სწავლის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 932 ბავშვმა .

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირება განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილებამ და COVID19 პანდემიის გამო წარმოქმნილმა შეზღუდვებმა.

06 02 06 04 სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 80.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 78.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების, სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის საქალაქო ტრანსპორტზე შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის უკონტაქტო პლასტიკური ბარათების (22055 ცალი) გაცემის, სერვისცენტრის კომუნალური ხარჯების, სერვის-ცენტრში არსებული საბეჭდი მოწყობილობებისათვის სახარჯი და საწმენდი მასალების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გაიცა 81792 პლასტიკური ბარათი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 81734 პლასტიკური ბარათის გაცემა

მიღწეული მაჩვენებელი - გაიცა 22055 პლასტიკური ბარათი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირება გამოწვეულია Covid 19 პანდემიასთან დაკავშირებით, საქალაქო ტრანსპორტზე დაწესებული შეზღუდვებით.

06 02 07 სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტო

2020 წლის გეგმა - 1,683.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,255.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 74.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, საკომუნიკაციო, საბუღალტრო პროგრამის, ელექტრონული შტამპის, საოფისე ინვენტარის და ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების შეძენის ხარჯები და სხვა. აღსანიშნავია, რომ COVID 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და ბავშვთა თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები ვერ განხორციელდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალურ მუშაკთა ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა

დაგეგმილი მაჩვენებელი - სოციალურ მუშაკთა ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა (გადანაწილდება 120 სოციალური მუშაკი (მათ შორის 25 უფროსი სოციალური მუშაკი) 10 სამოქმედო უბანზე მდებარე 30 საბავშვო ბაგა-ბაღში).

მიღწეული მაჩვენებელი - შეიქმნა სოციალური მუშაკთა ქსელი და განისაზღვრა მათი სამოქმედო უბნები (116 სოციალური მუშაკი (მათ შორის 25 უფროსი სოციალური მუშაკი) გადანაწილდა 10 სამოქმედო უბანზე მდებარე 30 საბავშვო ბაგა-ბაღში.

06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 13,781.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,209.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ასევე, იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების ხელშეწყობის კომისიის ინფორმაციის თანახმად, ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ გადარიცხულია 11,151.1 ათასი ლარი. აქედან, დაფინანსდა საშუალოდ 3187 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 2,839.5 ათასი ლარით, საშუალოდ 4996 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა - 4,451.2 ათასი ლარით და საშუალოდ 4333 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები - 3,860.5 ათასი ლარით. გარდა ამისა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 2,217.1 ათასი ლარიდან, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად გადარიცხულია 2,058.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსდა 17469 განცხადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 16000-მდე განცხადების დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 12516 განცხადება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება განპირობებულია COVID 19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით, გეგმიური სამედიცინო მომსახურების შემცირების გამო.

06 02 10 ომის ვეტერანების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 105.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 104.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ამ ომში მარჩენალდაკარგულების მატერიალური მხარდაჭერა.

06 02 18 16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 2,206.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,112.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 11912 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 712 მოქალაქეს, მედიკამენტებით დახმარება 5436 მოქალაქეს, უკიდურესად უმწეო და სოციალურად დაუცველ 113 ოჯახის გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის 1885 ოჯახს გაეწია დამარება, სამშენებლო მასალით დახმარება გაეწია 11 ოჯახს, სოციალურად დაუცველ 370 ოჯახს მიეწოდა შეშა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1630 ბენეფიციარისთვის, ხოლო საახალწლოდ - 1700 ბენეფიციარს სასაჩუქრე ნობათის შეძენა, პ. იაშვილის ქ.№4-ში მცხოვრები 55 ახალი მომხმარებლის ელ. ენერგიის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 168.2 ათასი ლარი კოჯორში იუნკერების ქუჩა N38-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების (80 ოჯახი) მიერ მოხმარებული სასმელი წყლის ღირებულების დავალიანების დასაფარავად და ვეძინის ქ.№23-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (5 ოჯახი), დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება, 2019 წელს დახმარება გაეწია 12546 ბენეფიციარს (მათ შორის 92 ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან).

დაგეგმილი მაჩვენებელი: შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი: დახმარება გაეწია 11997 ბენეფიციარს (მათ შორის 85 ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან).

06 02 20 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში

დაფინანსებულია 4.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 11.5 ათასი ლარის 34.8%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 20 01 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 1.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი 3 ოჯახის წყალსადენის ქსელზე დაერთების საფასური.

06 02 20 02 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 5.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 50%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი 5 ოჯახის წყალსადენის ქსელზე დაერთების საფასური.

06 02 20 04 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 5.0 ათასი ლარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მომართვიანობის არ არსებობის გამო, საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა.

06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“

2020 წლის გეგმა - 1,310.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,234.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით (პალიატიური ზრუნვა) გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისისათვის“ – 94.0 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 1,140.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში თავშესაფარში იმყოფებოდა საშუალოდ თვეში 115 ბენეფიციარი, მათ შორის კაცი - 65, ქალი - 50.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მომსახურებით (თავშესაფარი, ჰოსპისი) ისარგებლა საშუალოდ თვეში 143 ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია საშუალოდ 158 ბენეფიციარის მომსახურება (თავშესაფარი, ჰოსპისი).

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 129 ბენეფიციარმა (თავშესაფარი, ჰოსპისი).

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 884.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 871.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ მოწოდებული, ქ.თბილისში „სოციალურად

დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, დადგენილი წესით 1049 ბენეფიციარისათვის გაიცა 2020 წლის მაისის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარი, ხოლო დეკემბერში დაფინანსდა 1069 ბენეფიციარი. ასევე, გაცემულია 2019 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 61 ბენეფიციარისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსდა საშუალოდ თვეში 941 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 1010 ბენეფიციარის დაფინანსება (წელიწადში ორჯერ).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1059 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ზრდა განაპირობა სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილებამ.

06 02 23 ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 75.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება (თვეში საშუალოდ 6 520 ლარი). 03.01.2020 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში

ხორციელდებოდა ცენტრში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა (არაუმეტეს 25 ბავშვისა თვეში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 24 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა 22 ბავშვმა

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 545.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 534.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 2019 წლის კუთვნილი ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 7 ბენეფიციარს, ხოლო 591 ბენეფიციარისათვის გაიცა 2020 წლის მაისის, 594 ბენეფიციარისთვის აგვისტოს, 588 ბენეფიციარისთვის დეკემბრის კუთვნილი ფულადი დახმარება 300 ლარი, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა ნაკლებია 150 001-ზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ 587 ბენეფიციარს, წლის განმავლობაში სამჯერ ერიცხება კუთვნილი დახმარება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 628 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა სამჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 591 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირება განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილებამ.

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 593.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 573.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 1168 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი, (მათ შორის: 755 ოჯახს - პირველი ან მეორე შვილის შეძენისთვის, 230 ოჯახს - მე-3 შვილის შეძენისთვის, 112 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 71 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დახმარება გაეწია 643 ბავშვის ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 891 ბავშვის ოჯახის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 1168 ბავშვის ოჯახს

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ზრდა განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილებამ.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 400.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 378.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 35.1 ათასი ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 141.8 ათასი ლარი, „ერთად მოყვასისათვის“ – 100.3 ათასი ლარი, წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის - 90.3 ათასი ლარი და პროგრამაში ჩართული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 11.3 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 846 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 590 ქალი, 256 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება საშუალოდ თვეში 900 ბენეფიციარის მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 630 ქალი, 270 კაცი)

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 780 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 544 ქალი, 236 კაცი).

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 1,050.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 912.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 46.2 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (14 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება, კერძოდ: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - 3154.60 ლარი, ა(ა)იპ კავშირი ია - 4591.40 ლარი, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 5122 ლარი, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 6163 ლარი, ა(ა)იპ კავშირი ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ - 11168.20 ლარი, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - 4453 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 1393 ლარი, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - 1007.80 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - 5139 ლარი, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - 6639.60 ლარი, ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 5504.80 ლარი, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი - 318.80 ლარი, ა(ა)იპ თაობა - 470.40 ლარი, ა(ა)ი.პ მშობლების თანადგომა - 177 ლარი, ჯამში 14 დღის ცენტრი დაფინანსდა - 55,3 ათასი ლარით. ასევე, დაფინანსდა საგარანტიო შესრულებები სხვადასხვა საჭიროებებისათვის - 718.3 ათასი ლარით (104 განცხადება), ხოლო საპროექტო განაცხადის საფუძველზე გაცემული დაფინანსებები - 92.6 ათასი ლარით, მათ შორის: ა(ა)ი.პ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 18.0 ათასი ლარით, ა(ა)ი.პ საქართველოს ყრუთა კავშირი - 39.3 ათასი ლარით, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების

დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია - 15.4 ათასი ლარით, ა(ა)იპ კავშირი ია - 4.0 ათასი ლარით და ა(ა)იპ სამართლისა და თანასწორობის ცენტრი - 15.9 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსდა 79 განცხადება/პროექტი


დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 69 განცხადება/პროექტის დაფინანსება


მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 112 განცხადება/პროექტი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცვლილება განაპირობა მომართვიანობის ზრდამ.

- **განათლება**







07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 134,317.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 138,935.1 ათასი ლარის 96.7%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

2020 წლის გეგმა - 138,935.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 134,317.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ახალი ბაღების მშენებლობის დასრულება; ავარიული საბავშო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა; ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია 122,767.5 ათასი ლარი. მათ შორის: ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები. მომსახურება გაეწია 185 ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა-ბაღში 61100-მდე აღსაზრდელს. ასევე, დაფინანსებულია ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ფუნქციონირების ხარჯები და სხვა ღონისძიებები.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

2018 წელს დაიწყო და გრძელდება შემდეგი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა: საინგილოს ქუჩაზე - 2020 წელს ანაზღაურებულია - 711.0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში ორთაჭალის N90-ში - 2020 წელს ანაზღაურებულია 795.9 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს დაიწყო და დასრულდა შემდეგი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა: მ.ჭიაურელის ქუჩაზე - 2020 წელს ანაზღაურებულია - 798.1 ათასი ლარი, გლდანის მე-6 მ/რ-ში - 2020 წელს ანაზღაურებულია 765.9 ათასი ლარი, გლდანის მე-8 მ/რ-ში - 2020 წელს ანაზღაურებულია 598.8 ათასი ლარი;

2019 წელს დაიწყო და გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა: ლილოს დასახლებაში - 2020 წელს ანაზღაურებულია - 296.2 ათასი ლარი, მუხიანის პირველ მ/რ-ში - 2020 წელს ანაზღაურებულია - 959.3 ათასი ლარი, N19 ავარიული (სადემონტაჟო) საბავშვო ბაგა-ბაღის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, 2020 წელს ანაზღაურებულია - 684.6 ათასი ლარი, ხოლო 2019

წელს დაიწყო და დასრულდა ვარკეთილის მე-3 მასივში, ზემო პლატოზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა - 2020 წელს ანაზღაურებულია 491.9 ათასი ლარი;

2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს N2 და N155 საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება/რეკონსტრუქციის სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 1,090.4 ათასი ლარი, მათ შორის: N2 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის - 470.4 ათასი ლარი, N155 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის - 620.0 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს დაიწყო და დასრულდა N4, N100 და N55 საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება/რეკონსტრუქციის სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 1,018.4 ათასი ლარი, მათ შორის: N4 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის 526.4 ათასი ლარი, N100 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის - 62.8 ათასი ლარი, N55 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის - 429.2 ათასი ლარი;

2020 წელს დაიწყო და გრძელდება ვაზისუბანში, აშოტ კურაპალატის ქუჩის მიმდებარედ ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა და ანაზღაურებულია 250.0 ათასი ლარი, ვარკეთილის ავარიული (სადემონტაჟო) საბავშვო ბაგა-ბაღის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და ანაზღაურებულია - 300.0 ათასი ლარი, N125 ავარიული (სადემონტაჟო) საბავშო ბაგა-ბაღის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და ანაზღაურებულია - 300.0 ათასი ლარი.

მშენებლობის ხარისხის გარანტიის 2,5 % ანაზღაურებულია 59.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: კრწანისის რაიონში სოფელ ფონიჭალაში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის ხარისხის გარანტია - 33.4 ათასი ლარი და №10-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიწის ნაკვეთზე, მდებარე პაატა სააკაძის ქ.№21-ში შენობების სამშენებლო სარეკონსტრუქციო, სამუშაოების (ძველი ფლიგელის დემონტაჟისა და ახალი ფლიგელის აშენება) ხარისხის გარანტია - 25. 7 ათასი ლარი;

საბავშვო ბაგა-ბაღების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია - 475.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დასრულდა ერთი ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11-მდე ავარიულ საბავშვო ბაგა- ბაღის შენობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 7-მდე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის დასრულება, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდება 11 ავარიულ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას და დაიწყება ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ცალკე ფლიგელის მშენებლობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ავარიულ საბავშვო ბაგა- ბაღის შენობას.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ზოგიერთმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულების ვადებში სამუშაოების დასრულება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წლის ბოლოსთვის 185 საბავშვო ბაგა-ბაღში რეგისტრირებულია 62000- მდე აღსაზრდელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 64 000- მდე აღსაზრდელის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბავშო ბაგა-ბაღები მოემსახურა 185 ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა-ბაღში 61 100-მდე აღსაზრდელს (ჯგუფებში აღსაზრდელთა დაკომპლექტება მოხდა სტანდარტებთან მიახლოების მიზნით).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა ბაღებში არსებულ ადგილებზე.

07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა დაფინანსებულია 13,072.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 16,612.6 ათასი ლარის 64%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 20.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 17.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 86%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოსწავლეებისთვის კანონის შესაბამისად ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 14 მოსწავლის მე-13 წელის დაფინანსების ხარჯები. ასევე, დაფინანსდა ორგანიზაცია „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისათვის“ პროექტი - „ინკლუზიური ბანაკი „მე კარგად, შენ?!“ ქობულეთის სანაპიროზე“, რომლის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობებისა და ტიპური განვითარების მქონე სასკოლო ასაკის 30 ბავშვის შემეცნებით და სათავგადასავლო აქტივობებში ჩართვა, მათი პიროვნული უნარების განვითრების ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს 4 მოსწავლისთვის დამატებითი სასწავლო წლის დაფინანსება ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - 13 მოსწავლისთვის დამატებითი სასწავლო წლის დაფინანსება ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2020 წლის გეგმა - 11,924.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 10,170.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინფორმირებული თბილისის მოქალაქეები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის მიწოდებული ელექტრონული სერვისები;

მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამართული ძირითადი და სარეზერვო სერვერული ინფრასტრუქტურა; საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სისტემების დანერგვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სატელეფონო მართვის სადგურისა და გამოძახებათა ცენტრის პროგრამული ლიცენზიის შესყიდვა 16 მომხმარებელზე, პაროლების ავტომატური გენერირების და აღნიშნულის დაშიფრულად ბაზაში შენახვის პროგრამის ლიცენზიის განახლება, Barracuda Spam Firewall 400 Vx, Barracuda Spam Firewall 600 V და Barracuda Web App Firewall 660 Vx ლიცენზიების ერთი წლის ვადით გაგრძელება, Manage Engine Service Desk პროგრამის ლიცენზიის განახლება, დიზაინერული პროგრამის განახლება, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელება, არსებული პროექტების მართვის პროგრამის (JIRA) ერთწლიანი ლიცენზიის განახლების შესყიდვა 50 მომხმარებელზე, ქსელების პაკეტების არსებული კოდების ვერსიების კონტროლის პროგრამული უზრუნველყოფა bitbucket-ის (პროგრამის) განახლება, კომპიუტერული პროგრამის Red Hat OpenShift Container Platform ის მეოთხე ვერსიის შეძენა-დაინსტალირება, DYNATRACE პროგრამის რესურსის გაზრდა/განახლება/ერთწლიანი ლიცენზიის გაგრძელების შესყიდვა, ერთი წლის ვადით სამომხმარებლო ინტერფეისების დიზაინზე სამუშაო აპლიკაციის ლიცენზიის განახლება, Apple Developer Membership აპლიკაციით ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლების შესყიდვა, zoom meeting pros ერთწლიანი ლიცენზიის შესყიდვა, Check Point 5900-ის ლიცენზიის განახლება, ანტივირუსული პროგრამული პაკეტის ლიცენზიის განახლება, Barracuda Spam Firewall 400 ლიცენზიის გაგრძელება. დასრულდა 8 სერვისცენტრის რეაბილიტაცია, შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ტექნიკა და ინვენტარი, 4 მსუბუქი ავტომობილი Renaulat Logan, სასერვეროსთვის

9 ცალი მყარი დისკი. ასევე, გაწეულია სასერვეროს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოვლა-შენახვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები და სხვა;

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ახალი core სერვისები: smsc - სმს ცენტრის სერვისი (მასობრივი მესიჯების გასაგზავნად), id ბარათით ვერიფიკაციის სერვისი, payment-gateway კომერციული ბანკებისთვის და ხაზინისთვის, scheduler-master, subscribe/notifier messaging, მოხდა public-api-ში push notifications service gateway-ის ინტეგრაცია, არსებულ user management, id card, contacts და ბიზნეს აპლიკაციების სერვისებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. სულ შეიქმნა 7 ახალი core სერვისი.

ცხელი ხაზის მოდულის მიმართულებით მოხდა როლების მიხედვით გრიდების დალაგება და აცილებული ზარების გადაწერის ფუნქციონალის შექმნა, შეიქმნა მოქალაქეთა დახმარების მოდული, პარკინგ თბილისის იურიდიული პირების მოდული და გადახდის ერთიანი მოდული.

განხორციელდა ქალაქ თბილისის (ადმინისტრაციული საზღვრების ურბანული სივრცე - 210 კვ.კმ) ობლიქ გადაღება და დამუშავება, მომზადდა თბილისის ფოტორეალისტური 3D მოდელი, მოხდა თბილისის 2020 წლის აერო ფოტოს მომზადება, დამუშავება და განთავსება რუკაზე.

ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ გამოკვლეული და გასწორებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპიუტერულ ქსელში წარმოქმნილი პრობლემები და მოხდა ყველა ვებ-გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა და სიახლეების დამატება,

მომსახურების ცენტრების მართვის სამსახურის სერვის ცენტრებში მომსახურება მიიღო 427618 მოქალაქემ, ხოლო დისტანციური მომსახურების სამსახურის მიერ განხორციელდა 670628 სატელეფონო ზარის მომსახურება,

ტრენინგ ცენტრის მიერ განხორციელდა მოკვლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრენინგ კურსების საჭიროებებზე და მოთხოვნის შესაბამისად ჩატარდა ტრენინგები: მომსახურების ფსიქოლოგია, სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, გუნდური მუშაობა, კონფლიქტების მართვა და ეფექტური მომსახურეობა, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების

პროგრამა, რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი, ინგლისური ენა, Linux მოდული - LPIC 1 Linux Administrator, საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა „მოხელის მენეჯერული უნარები“, Microsoft Installation, Storage, and Compute with Windows Server 2016 (70-740), CISCO მოდული: CCNP Route 300-101, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (სსბასს) (IPSAS). 11 მოდულში ტრენინგები გაიარა თბილისის მუნიციპალიტეტის 216 თანამშრომელმა. ასევე, ჩატარდა ერთი ონლაინ ტრენინგი - „რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 თანამშრომელმა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 48 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2796 გადამზადებული თანამშრომელი, მ.შ. კაცი - 1 118 , ქალი - 1 678.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 13 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 1000-მდე გადამზადებული თანამშრომელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 12 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 220 გადამზადებული თანამშრომელი, მ.შ. კაცი - 122 , ქალი - 98.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კორონა (COVID – 19) ვირუსით გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, ინტერესის ნაკლებობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სასერვერო კარადაში ჩამონტაჟებული 2 შემნახველი მასივი განახლება/ჩანაცვლება/გაფართოებით გაიზარდა 6 შემნახველ მასივამდე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სასერვერო კარადაში ჩამონტაჟებული 6 შემნახველი მასივის განახლება/ჩანაცვლება, სასერვეროს მშენებლობა და აღჭურვა შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

მიღწეული მაჩვენებელი - მასივების განახლება/ჩანაცვლება არ გახდა საჭირო, ხოლო სასერვეროს მშენებლობა შეჩერდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიმდინარეობს სასერვეროს მშენებლობის და სასერვეროს ინფრასტრუქტურის პროექტის განახლება.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018-2019 წწ განმავლობაში შექმნილია და გაშვებულია შემდეგი პროგრამები: idea.tbilisi.gov.ge, urban.tbilisi.gov.ge, Apps.municipal.gov.ge, Maps.Tbilisi.gov.ge, youth.municipal.gov.ge, Taxi.Tbilisis.gov.ge, parking.tbilisi.gov.ge, build.tbilisi.gov.ge, Budget.Tbilisi.gov.ge, Help.Tbilisi.gov.ge, Charger.tbilisi.gov.ge, Ms.gov.ge.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამების გამართულად ფუნქციონირებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის 30-მდე ლიცენზიის განახლება/შესყიდვა.

მიღწეული მაჩვენებელი - 25 პროგრამული ლიცენზიის განახლება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პროგრამირების/სასერვეროს მიმართულებით საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემებისთვის ოპტიმიზირებული ლიცენზიების გამოყენება.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2014 წელში გადაღებული თბილისის რუკა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2020 წელს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრების ციფრული აეროგადაღების განხორციელება 516 კვ.კმ-ზე, თბილისის ურბანული ნაწილის (210 კვ.მ) ობლიქ გადაღება, დამუშავება და ფოტო რეალისტური 3D მოდელის დამზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ციფრული აეროგადაღება 516 კვ.კმ-ზე, ნაწილობრივ განხორციელდა ურბანული ნაწილის (210 კვ.მ) ობლიქ გადაღება/დამუშავება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ფოტო რეალისტური 3D მოდელის დამზადების ვადის გაგრძელება (პროექტი გარდამავალია).

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

2020 წლის გეგმა - 4,667.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,884.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 61.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების

დროული და სრულყოფილი ინფორმირება; სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: რეკლამის ხარჯები - 58.1 ათასი ლარი (სოციალურ ქსელის facebook საშუალებით მოხდა მოსახლეობის ინფორმირება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის შესახებ), სხვა საინფორმაციო ხასიათის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები - 885.0 ათასი ლარი, კერძოდ: განხორციელდა რამდენიმე ტელევიზიის სატელევიზიო ეთერში შემდეგი საინფორმაციო ვიდეო/აუდიო რგოლების განთავსება: საახალწლო პროგრამა 1, გარე ვაჭრობა ახალი წლის დღესასწაულის ფარგლებში, თბილისის მერია გილოცავთ ახალ წელს, საახალწლო პროგრამა 2, ი. ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი, დამზადდა თბილისის შესახებ საიმიჯო ვიდეო კლიპი. ასევე, შესყიდულ იქნა ხმის ტექნიკოსის მომსახურება სააგენტოს მიერ დამზადებული ვიდეო რგოლების გახმოვანების მიზნით (ბარათაშვილისა და თაბუკაშვილის ქუჩებზე ზონალურ-საათობრივი პარკირების პროექტების ამოქმედებასთან დაკავშირებით, ჭავჭავაძის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის მიმართულების ცვლილებასთან დაკავშირებით, ეროვნული სკრინინგ ცენტრის - ცხელი ხაზის ავტომოპასუხისთვის (ორი სახის) აუდიო ჩანაწერის დამზადებისთვის და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას „კორონავირუსის თავიდან აცილების მიზნით მიღებული რეკომენდაციები“-ს აუდიო ჩანაწერის დამზადებისთვის), ასევე, განხორციელდა მერიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების პირდაპირი ეთერით გადაცემა (დედაქალაქის მერიის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების 80 ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი, ავტომანქანის გადაცემა, ISUZU-ს მარკის ახალი 40 ერთეული ავტობუსის წარდგენა, 2020-2021 წლებში დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული

პროექტების პრეზენტაცია, დამატებით ახალი ავტობუსების პრეზენტაცია, „სვეტის“ შეჩერებული ობიექტების მშენებლობის დაწყება, მთაწმინდის ფერდობზე არსებული დაზიანებული ნარგაობების აღდგენის სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებული პროექტის პრეზენტაცი, მზიურის პარკის გახსნა, ოლიმპიური ვარსკვლავის შეჩერებული მშენებლობებს M2 განაახლებს პრეზენტაცია, რეაბილიტირებული კიკვიძის პარკის გახსნა, თბილისის ავტობუსის სატრასპორტო დერეფანი - TBT, თბილისობა - 2020, ახალი ავტობუსებისა და მიკროავტობუსების გადაცემა, თბილსის ცენტრალური პარკის პრეზენტაცია, საფეხბურთო ტურნირი მასტერლიგა 2020 დაწყება, თბილისის ურბანული ტყის პრეზენტაცია).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატელევიზიო და რადიო ეთერში ინფორმაციის განთავსების მიზნით, 2019 წელს დამზადებულია 11 აუდიო და ვიდეო რგოლი, რომელიც განთავსდა 9 სატელევიზიო და 7 რადიო არხზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 14 აუდიო და ვიდეო რგოლის დამზადება და განთავსდება 4 სატელევიზიო არხზე.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წლის განმავლობაში ინფორმაცია განთავსდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების Facebook - 33 გვერდზე და ერთ Instagram გვერდზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს პირდაპირ ეთერით გადაცემულია 16 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პირდაპირი ეთერით გადასაცემი 22 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - პირდაპირი ეთერით გადაცემულია 15 ღონისძიება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კორონა ვირუსით (COVID – 19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, გასაშუქებელი ღონისძიებების ნაკლებობა.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 3,341.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,865.8 ათასი ლარის 86.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2020 წლის გეგმა - 3,865.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,341.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 86.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფარგლებში მოექცა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა (34 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 1 ბიბლიოთეკა - სულ 35 ფილიალი) და თბილისის მედიათეკების გაერთიანება (ვაკის, ვარკეთილის და ნაძალადევის ფილიალი). მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში 2020 წელს გაწევრიანდა 12540 ადამიანი, მიუხედავად პანდემიის პერიოდისა, როდესაც ბიბლიოთეკა გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. ამასთან, გაწეულია 5 ფილიალის (N6, N9, N18, N25 და N26 ფილიალის პირველი სართულის (სასაწყობე მეურნეობის მოწყობისთვის)) შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

დაიწყო N9 და N25 ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ინტერიერის დიზაინის და შენობის აღჭურვის პროექტის მომზადება, N9 და N25 ფილიალებისთვის წიგნების თაროების (რკინის სტელაჟები) შეძენისათვის

სატენდერო სამუშაოების განხორციელება, ხოლო ელექტროენერგიის მიწოდების სიმძლავრის გაზრდის მიზნით განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები; დასრულდა ვარკეთილის და ვაკის მედიათეკების სახურავის რეაბილიტაცია, ვაკის მედიათეკის ინტერიერის რეაბილიტაცია (სველი წერტილების მოპირკეთება და მოწყობა, დამატებითი ელექტროგაყვანილობის მოწყობა, შიდა კედლების შეღებვა);

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა წიგნადი ფონდის გაუმჯობესების მიმართულებით. ჩამოიწერა და აუქციონის წესით გაიყიდა 45 ტონა დაზიანებული და მაკულატურად ქცეული წიგნები, განხორციელდა წიგნადის ფონდის შევსებისათვის საჭირო სამუშაოები (შეივსო როგორც უცხოური, ისე საბავშვო და ზრდასრულთათვის განკუთვნილი ლიტერატურის ფონდები). კერძოდ, განხორციელდა ხუთი ათასზე მეტი ეგზემპლარის შესყიდვა;

გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის: განხორციელდა გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროექტი - კინო სახელოსნო და კინო კლუბი მოზარდებისთვის „სარკმელი კინო სამყაროში“, საბავშვო პროექტი „ზღაპრის დღე ბიბლიოთეკაში", განახლდა პროექტი „ვკითხულობთ ბიბლიოთეკაში“, საჯარო ლექციათა ციკლი და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მოსაწესრიგებელია ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გასარემონტებელია და თანამედროვე ტექნიკით აღსაჭურვია სივრცეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - გარემონტებული და თანამედროვედ აღჭურვილი სივრცეები

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2 მედიათეკის სახურავის და ერთი მედიათეკის შიდა ინტერიერის განახლება, მომზადდა 5 ფილიალის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დაიწყო 2 ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 660.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 659.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროფესიული მომზადება/გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებთან (სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – 355 ბენეფიციარი, სსიპ „პროფესიული კოლეჯი „მერმისი“ – 405 ბენეფიციარი, სსიპ „პროფესიული კოლეჯი „სპექტრი“ – 660 ბენეფიციარია, (ა)იპ „პროფესიული კოლეჯი იკაროსი“ – 621 ბენეფიციარი) თანამშრომლობით დაფინანსდა პროექტის - „ისწავლე და დასაქმდი“ განხორციელებისას თბილისში ყველაზე მოთხოვნადი 34-ზე მეტი სპეციალობა (მათ შორის ელექტრიკოსი, მშენებელი, შემდუღებელი, მზარეული, სასტუმრო საქმე, სარესტორნო საქმე, სამკერვალო საქმე, ტურიზმი, მომსახურების, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფერო და ა.შ).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს გადამზადება გაიარა 657 კურსდამთავრებულმა 20 სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 3 პროფესიული ორგანიზაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გადამზადებას გაივლის 2000 კურსდამთავრებული 30 სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 4 პროფესიული ორგანიზაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადება გაიარა 2041 კურსდამთავრებულმა 34 სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 4 პროფესიული ორგანიზაცია.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 1,186.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,274.3 ათასი ლარის 93.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 84.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისში; ქალაქში თემატურ ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა; თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლების მხარდაჭერა; სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო"-ს პროექტი - „საერთაშორისო ზამთრის სკოლა საერთაშორისო მიგრაციისა და ლტოლვილთა სამართალში", რომლის მიზანია ქართველი და უცხოელი სტუდენტებისა და სპეციალისტების ჩართულობით, საერთაშორისო მიგრაციისა და ლტოლვილთა სამართლის შესახებ სადისკუსიო პლატფორმის ჩამოყალიბება, ა(ა)იპ მაბო - ს პროექტი - Tbilsis Arch Week, რომლის მიზანია სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამედროვე მიდგომებისა და ცოდნის გაზიარება და კვალიფიკაციის ამაღლება, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტი - „კონსერვატორიელები კონსერვატორიისთვის" და პროექტი - მუსიკოსები კონსერვატორიისთვის, რომლის მიზანია კონსერვატორიის საშემსრულებლო მიმართულებებზე სწავლების ხარისხის ამაღლება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, სტუდენტებისთვის ევროპულ სამუსიკო სფეროში დამკვიდრებული გამოცდილების გაზიარება, თეორიული და საშემსრულებლო პრაქტიკის

თვალსაზრისით, სტუდენტების საშემსრულებლო ტექნიკის დახვეწა ჩასაბერი საკრავების მიმართულებით, სწავლების ევროპული მეთოდოლოგიის დახვეწა, ა(ა)იპ ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის პროექტი „სამეცნიერო ჟურნალი Scientia“, რომლის მიზანია სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიული განვითარების წახალისება და უცხოელი და ქართველი ავტორების კვლევების გაცნობა ქართველი მკითხველისთვის, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „ეტიუდების საერთაშორისო ფესტივალზე უცხოელი ექსპერტების მოწვევა“, რომლის მიზანია უცხოელი პროფესორების მიერ, მასტერკლასების ორგანიზება და სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის საერთაშორისო თეატრალური მეთოდების და სწავლების სტრუქტურის გაცნობა-გაზიარება, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროექტი „საერთაშორისო პროფესორების ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში“, რომლის მიზანია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საჯარო ლექციებისა და მასტერ კლასების ორგანიზება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროექტი „Transforming the Banal to the Magical - ბანალურის ჯადოსნურად გარდასახვა“, რომლის მიზანია უცხოელი პროფესორების მიერ, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, ობიექტის დაგეგმარებისა და პროექტის შექმნის შესახებ, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, „ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი”-ს პროექტი „სამეცნიერო ჟურნალი Scientia“, რომლის მიზანი იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიული განვითარების წახალისება და უცხოელი და ქართველი ავტორების კვლევების გაცნობა ქართველი მკითხველისთვის, ა(ა)იპ "სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების" პროექტი - „თბილისის მერიის სტიპენდიანტთა გასვლითი სამუშაო შეხვედრა“, რომლის მიზანია სტიპენდიანტთა ასოციაციის სტრუქტურისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, „საქართველოს სტომატოლოგ დილერთა ასოციაციის“ პროექტი - „GDDA Expo 2020“, პროექტის მიზანი იყო სიახლეების და თანამედროვე

ტექნოლოგიების გაცნობა ახალგაზრდა პროფესიონალი სტუდენტებისთვის, მათთვის სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის ლექცია-მასტერკლასების ჩატარების გზით, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ პროექტი - „სტუდენტთა ხელმისაწვდომობის კვლევა სასწავლო ლიტერატურაზე“, პროექტის მიზანი იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შესწავლა სტუდენტებში, „ფორსეტი“-ს პროექტი - „Data Fest Tbilisi 2020“, პროექტის მიზანი იყო მონაცემთა ტექნოლოგიების მიმართულებით, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და მათთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის პროექტი - „John H. Jackson Moot Court Competition“, რომლის მიზანი იყო John H. Jackson-ის იმიტირებულ სასამართლო პროცესში ქართველი სტუდენტების მონაწილეობა და სავაჭრო სამართლისა და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის სპეციფიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილე 500 სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილე 200 სტუდენტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე შეიზღუდა ღონისძიებების განხორციელება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს კონფერენციებში, მასტერკლასებში, ვორქშოფებში მონაწილე -500 სტუდენტი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - კონფერენციებში, მასტერკლასებში, ვორქშოფებში, მონაწილე - 400 სტუდენტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე შეიზღუდა ღონისძიებების განხორციელება.

3. საბაზისო მაჩვენებელი - სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოწვეული 12 უცხოელი სპეციალისტი და ლექციებში ჩართული 1000 სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მოწვეული 4 უცხოელი სპეციალისტი და ლექციებში ჩართული 400 სტუდენტი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე შეიზღუდა ღონისძიებების განხორციელება.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2020 წლის გეგმა - 590.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 537.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 90.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ჩემი ადვოკატის ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ინვენტარი, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით თითოეულ უბანზე განხორციელდა შუშის ტიხრების მონტაჟი, პერსონალისათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა სადეზინფექციო-დამცავი საშუალებები, ჩემი ადვოკატის საქმიანობის პოპულარიზაციისათვის გაკეთდა ვიდეო კლიპი.

საანგარიშო პერიოდში „იურიდიული კლინიკა“-ს უფასო სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 10637 ფიზიკურმა პირმა. „იურიდიულ კლინიკის“ ცხელ ხაზზე სამართლებრივი დახმარების მიზნით განხორციელდა 10441 ზარი. მათ შორის ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 5350 მოქალაქეს,

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 2333 საქმე), წარმატებით დასრულდა 364 და მიმდინარეა 1637 საქმე, აღნიშნულ საქმეებზე განხორციელდა 58 წარმომადგენლობა,

ორგანიზაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს ცხრა უმაღლეს სასწავლებელთან. ჯამში ორგანიზაციამ 184 სტუდენტი გადაამზადა, მათ შორის: მოხალისე - 106, 74 - პრაქტიკანტი და 4 თანაშემწე. სტუნდენტები პრაქტიკის მანძილზე ეუფლებიან საადვოკატო საქმიანობას,

სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის შემუშავების ღონისძიებასთან დაკავშირებით განხორციელდა: 2019 წლის საშემოდგომო სემესტრის სტუდენტებისთვის სერთიფიკატების გადაცემის ღონისძიება, მიღებული იქნა 2020 წლის საგაზაფხულო სემესტრზე სტუდენტთა ახალი ნაკადი, განახლებული იქნა სილაბუსი და განახლებული იქნა სწავლების და პრაქტიკის გავლის მეთოდოლოგია.

სტუდენტების პრაქტიკული სწავლების დისტანციურ ფორმატში გასახორციელებლად შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი წესი. ორგანიზაციამ სამართლებრივი პრაქტიკის დისტანციური სწავლებისათვის შექმნა ინოვაციური პროექტი - ორგანიზაციაში შემოსული ქეისების მიხედვით, გაკეთდა ვიდეო ქეისები რაც ერთის მხრივ ტრენერ-ადვოკატებს საგანმანათლებლო პროცესის გამრავალფეროვნებაში ეხმარება, ხოლო მეორეს მხრივ სტუდენტს უქმნის უშუალოდ უბანზე დასწრების ილუზიას და ეხმარება თეორიული მასალის მარტივად ათვისებაში

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სამართლებლივი დახმარება გაეწია 17 471 მოქალაქეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამართლებლივი დახმარება გაეწევა - 19600 მოქალაქეს

მიღწეული მაჩვენებელი - სამართლებრივი დახმარება გაეწია 15987 მოქალაქეს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კორონა (COVID – 19) ვირუსით გამოწვეული პანდემია შედეგად მოქალაქეთა მომართვიანობა შემცირდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 257 სტუდენტმა (მათ შორის კაცი-81 ქალი-176)

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 360 სტუდენტი

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 184 სტუდენტმა (მათ შორის კაცი-43 ქალი-141).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე მოხალისეების მიღება არ განხორციელდა, რამაც გამოიწვია ორგანიზაციაში პრაქტიკა გავლილი სტუდენტების რაოდენობის შემცირება.

07 05 03 სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 583.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 565.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსება; წარჩინებული მაგისტრანტების წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით 700-მდე განცხადება, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 600-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი. ასევე, 2019-2020 სასწავლო წლის

შემოდგომის სემესტრის სტიპენდია გადაეცა 282 წარჩინებულ მაგისტრანტს. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 3.5 ათასი ლარი ერთი მოქალაქის სწავლის ღირებულების ასაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსებული 1700 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 250 წარმატებული მაგისტრანტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 600 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 282 წარმატებული მაგისტრანტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოდგომის სემესტრში მომართვიანობა დაბალი იყო, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს N536 დადგენილების შესაბამისად სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ერთჯერადად დაუფინანსდათ სემესტრული სწავლის საფასური.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 2,035.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,130.7 ათასი ლარის 95.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

07 06 01 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2020 წლის გეგმა - 2,130.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,035.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება; მოზარდების დაინტერესება და დამატებითი ცოდნის საფუძვლიანი მიღება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ ფუნქციონირების ხარჯები.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 224 ღონისძიება/პროექტი/რეპორტაჟი, მათ შორის: 3 ფესტივალი (საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა-2020“, Tbilisi Piano Fest რიგით მეორე საფორტეპიანო ფესტივალი, ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი თაობა), 95 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, 19 ტრენინგი/ლექცია/პრეზენტაცია, 46 ონლაინ /ლექცია/პრეზენტაცია, 5 გასვლითი ღონისძიება, 1 კონკურსი/შეჯიბრი/ ასპარეზობა (უცხო ენების მიმართულების ინიციატივით მთარგმნელთა 53-ე ყოველწლიური საქალაქო კონკურსი), 9 გამოფენა/აქცია/რეპორტაჟი, 2 ონლაინ კვირეული (ასტრიდ ლინდგრენის კვირეული, რომელიც მიეძღვნა მის ბიოგრაფიას და შემოქმედებას, კომპიუტერული მეცნიერების საგანმანათლებლო კვირეული, წამყვანი პროგრამისტების ლექციები), 29 რეპორტაჟი, 13 ონლაინ კონცერტი, 1 პროექტი -,,ევროპული კინოაკადემიის ახალგაზრდა აუდიტორიის ჯილდო”, სადაც დახურულ ჩვენებაზე ახალგაზრდები უყურებენ ნომინირებულ ფილმებს და არჩევენ საუკეთესოს. სასახლე ამ პროექტის ერთადერთი ქართველი პარტნიორია, 1 ფორუმი - არაფორმალური განათლების ორგანიზაციების სტრატეგიული პარტნიორობის VII ფორუმი. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ღონისძიებების დიდი ნაწილი მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში და დაფიქსირებულია 4 200-მდე ახალგაზრდა.

2019 წელს სასახლეში შექმნილი თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი („თაო“) შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დისტანციურად ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობებს: ჩაიწერა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან „ოდა სიხარულისა„ და გავრცელდა სოც. ქსელში, 26 მაისის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ბეთჰოვენის „თურქული მარში“ შეასრულეს თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი „თაომ“ და ლატვიის მუსიკის აკადემიის სიმფონიურმა ორკესტრმა, 23 ივლისს ჩატარდა ბეთჰოვენის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელიც გაიმართა სასახლის ეზოში, გადაიცა პირდაპირ ეთერში ფეისბუქის გვერდებზე. დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად

მოეწყო (სასახლის ეზოში) გარე სივრცე, ამ მიზნით შეძენილი იქნა პროექტორები ეკრანებით და მართვის პულტებით, პროჟექტორები გარე სივრცის (ეზოს) გასანათებლად. სასახლის დარბაზების და სამუზეუმო სივრცეებისთვის შეძენილი იქნა მაგიდები, სკამები, სავარძლები, ჩარჩოები, ფერწერული ნამუშევრები. წლის მანძილზე მუზეუმს ჰყავდა 358 ვიზიტორი. პლანეტარიუმში პირველ კვარტალში ჩატარდა 51 ლექცია, რომელსაც დაესწრო 1526 მსმენელი (არაბენეფიარი). ასევე, შეძენილ იქნა წიგნები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელებულია კულტურული აქტივობები 3 ფესტივალი, მათ შორის 2 საერთაშორისო ფესტივალი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 3 ფესტივალი, მათ შორის ერთი საერთაშორისო ფესტივალი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს რეგისტრირებული 4591 ბენეფიციარი, მათ შორის: 628 სოციალურად დაუცველი, 22 შშმ პირი, 41 წარჩინებული მოსწავლე.


დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის 10 %-ით გაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - რეგისტრირებული 1669 ბენეფიციარი, მათ შორის: 294 სოციალურად დაუცველი, 7 შშმ პირი, 20 წარჩინებული მოსწავლე.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი კორონა (COVID – 19) ვირუსით გამოწვეული პანდემიის შედეგად ბენეფიციართა ნაკლები მომართვიანობა.

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	ახალგაზრდული ღონისძიებები	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი	ინკლუზიური ხელოვნების განათლების ხელშეწყობა	შემოქმედებითი თბილისი
2018 წლის ფაქტი	10 895,5	1 755,2	1 906,2	5 408,2	1 978,3	2 266,9	1 074,4	992,6	392,5	77,9	269,0
2019 წლის ფაქტი	13 137,8	1 824,8	1 859,4	3 524,1	2 407,9	3 032,9	1 332,2	986,2	406,5	140,5	329,8
2020 წლის ფაქტი	13 257,1	3 380,5	1 833,8	3 719,2	1 956,9	1 461,0	2 061,3	116,4	388,3	51,5	569,1



08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 1,354.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,489.7 ათასი ლარის 54.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2020 წლის გეგმა - 717.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 615.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილი იქნა პირველ კვარტალში 62 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 7 486. გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩატარდა კონკურსი - ახალგაზრდა რეჟისორთა შესარჩევად, კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული გამოვლენილია და კულტურულ

ურთიერთობათა ცენტრის - „კავკასიური სახლი“ ეზოში წარმოდგენილია სპექტაკლი - „ბოლო სამუშაო დღე“. ასევე, განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო ფლიგელში ადაპტირებული სივრცის მოსაწყობი სარეკონსტრუქციო–სარემონტო სამუშაოები (თეატრის ფოიე, კიბე), ჩატარდა რამდენიმე ონლაინ კონცერტი-პერფორმანსი, საპრემიერო სპექტაკლი ღია ცის ქვეშ, მიმდინარეობს მზადება შემდგომი სპექტაკლებისათვის და სხვა. თეატრში დაიწერა რამდენიმე ახალი, მათ შორის საერთაშორისო პროექტი, რომელთა განხორციელება სეზონის გახსნისთანავე იგეგმება. აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, თეატრი მარტიდან განაგრძობს დისტანციურ რეჟიმში მუშაობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროა თანამედროვე ტიპის განახლებული და ადაპტირებული თეტრალური სივრცის მოწყობა

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია თეატრის ფასადის და შიდა სარემონტო სამუშაოები, ინკლუზიური დარბაზის მოწყობა

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო ფლიგელში ადაპტირებული სივრცის მოსაწყობი წინა სარეკონსტრუქციო–სარემონტო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ინკლუზიურ თეატრში ლიფტის მონტაჟის, თეატრის გარე და შიდა ფასადის მოწყობის სამუშაოების შესახებ გამოცხადებული ტენდერი, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე არ განხორციელდა.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2020 წლის გეგმა - 393.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 372.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილი იქნა პირველ კვარტალში 14 მიმდინარე და ერთი საქველმოქმედო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 264. აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, თეატრი მარტიდან განაგრძობს დისტანციურ რეჟიმში მუშაობას და წარმოდგენილი იქნა 2 ლაივ პრემიერა - „სიყვარულის ეიფორია“ და „ცრემლიანი მოგონება“. ამასთან, მიმდინარეობს მზადება შემდგომი სპექტაკლებისათვის.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2020 წლის გეგმა - 462.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 313.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 67.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან, თანამშრომლობითი პროექტების შექმნა; პროფესიული განვითარება და ახალი პროფესიების შემოსვლა შემოქმედებით სფეროში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის ფუნქციონირების, ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები და განხორციელდა

სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მიმდინარეობდა მზადება არტ მარკეტისთვის, განისაზღვრა ფესტივალის პარტნიორები, დასრულდა საერთაშორისო პროგრამის ცხრილი, დაიგეგმა ფესტივალის ვიზუალური სახის ცვლილება, ჩატარდა ფესტივალის საბჭოს პირველი ონლაინ შეხვედრა და სხვა ღონისძიებები. მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, ფესტივალის განხორციელების პროცესში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, საერთაშორისო პროგრამის ძირითადი ნაწილი გადატანალია 2021 წლის სექტემბერში, თუმცა შეიქმნა ონლაინ და სოციალური პლატფორმა, რომლის მეშვეობით საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ლიეტუვას და იტალიის დასების მიერ წარმოდგენილი იქნა 11 ონლაინ სპექტაკლი, ხოლო ქართული პროგრამის ფარგლებში 10 ქართული დასის მიერ 11 ონლაინ სპექტაკლი.

08 01 05 თეატრი „გლობუსი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თეატრი „გლობუსი“

2020 წლის გეგმა - 385.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 373.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები და შენობის იჯარის ხარჯები. პირველ კვარტალში წარმოდგენილი იქნა 8 მიმდინარე და ერთი განახლებული საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 575. ამასთან, დაიწყო თეატრის ვებ-გვერდის განახლება (რებრედინგი), პერიოდულად მიმდინარეობს აღდგენითი რეპეტიციები და რეპერტუარში არსებული სპექტაკლების განახლების პროცესი, იდგმება ახალი სპექტაკლი. ასევე, განხორციელდა დარბაზისა და სცენის

განახლება, გამნათებლის და ხმის რეჟისორის სამართავი სტუდიის ახალ ლოკაციაზე გადაყვანა და გამართვა, ელექტროენერგიის მწყობრში მოყვანის და ახალი განათების დამონტაჟების სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, თეატრი მარტიდან განაგრძობს დისტანციურ რეჟიმში მუშაობას და წარმოდგენილი იქნა 2 ონლაინ სპექტაკლი (ნახვა 9000).

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2020 წლის გეგმა - 306.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 281.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. პირველ კვარტალში წარმოდგენილი იქნა 21 მიმდინარე და 2 საქველმოქმედო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2232. ამასთან, აღინიშნა თეატრის 23 წლის საიუბილეო თარიღი, ბერლინის დოიჩე თეატრთან ერთად განხორციელდა ერთობლივი, ციფრული, ექსპერიმენტული პროექტი, მიმდინარეობს მზადება შემდგომი სპექტაკლებისათვის. აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, თეატრი მარტიდან განაგრძობს დისტანციურ რეჟიმში მუშაობას და წარმოდგენილი იქნა 11 ონლაინ სპექტაკლი (ნახვა 30000).

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, სკოლების, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული

ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი;

2020 წლის გეგმა - 3,949.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,380.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 85.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელება, გამოცდილების შეძენა, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება; ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის განვითარება, შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით (საშუალოდ თვეში - 324), N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე (საშუალოდ თვეში - 170), ვ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით (საშუალოდ თვეში - 101 მოსწავლე) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება (საშუალოდ თვეში - 150 მოსწავლე), გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა, 660 მოსწავლე) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების და მათი მასწავლებლების (რაოდენობის შესაბამისად) დაფინანსება, ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლებისა და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების, დასუფთავების, ინტერნეტის, საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელების და თანამშრომელთა ფულადი ჯილდოს ხარჯები. ასევე, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაწეულია ა(ა)იპ ხელოვნების სკოლების (30 სკოლა), ქ.თბილისის

მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის თანამშრომელთა სახელფასო ფონდის (მარტი-დეკემბერი) შესავსებად 1,361.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1403 მოსწავლე (მ.შ. 726 გოგო, 677 ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 743 (მ.შ. 266 - გოგო, 477 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 462 გოგო, 198 ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - სულ თვეში საშუალოდ 1387 მოსწავლე (მ.შ. – 750 გოგო, 677 - ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 727 (მ.შ. 280 - გოგო, 477 - ბიჭი); სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 470 გოგო, 190 ბიჭი).

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 2,061.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,117.8 ათასი ლარის 97.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2020 წლის გეგმა - 154.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 138.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები; ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა; საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების ხარჯები. სურათების გალერეის ახალ შენობაში განთავსების გამო, სამუშაო პროცესი დროებით შეწყვეტილია, თუმცა პედაგოგების მიერ ჩატარდა ონლაინ გაკვეთილები და სოციალური ქსელის მეშვეობით გამოცხადდა ონლაინ გამოფენა-კონკურსი. აღსანიშნავია, რომ სარემონტო სამუშაოები დასრულდა და მიმდინარეობს შენობის ინვენტარით აღჭურვა.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2020 წლის გეგმა - 1,963.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,922.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. 2020 წლიდან თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში დაიწყო სხვადასხვა თემატური პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამებზე დასწრება და სამიზნე ჯგუფების დაინტერესება საგანამანათლებლო სერვისებით, მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 25 საგანმანათლებლო პროგრამა და 3 ვორკშოპი, მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 444, ხოლო მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებსა და ბინა-მუზეუმებში ვიზიტორებისა და დამთვალიერებლების რაოდენობამ შეადგინა 1532, მომზადდა 78 მედია გაშუქება და 30 საჯარო შეხვედრა/ღონისძიება, ფეისბუკ გვერდის გამომწერთა ციფრი 32 506-ით გაიზარდა და 2020 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით გაერთიანებას 45 205 უნიკალური მომხმარებელი ჰყავს, პროექტის - „მუზეუმი მუზეუმს გარეთ“ ფარგლებში ჩატარდა 7 გასვლითი ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 121 მონაწილე. აღსანიშნავია, რომ მუზეუმების გაერთიანებასა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებში დაიწყო ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული ხელნაწერის - კათოლიკური ღვთისმსახურების „მესას“ შესწავლასა და გამოცემის მიზნით. ასევე, დაიწყო საფონდო ინვენტარიზაციის და პირველადი რეგისტრაციის მიმართულებით მუშაობა, განხორციელდა რამდენიმე ონლაინლექცია, გაწეულია ავეჯის, ექსპონატების (ძირითადი ფონდი გაიზარდა 874 უნიკალური და ტიპოლოგიური ექსპონატით) შეძენის ხარჯები და სხვა.

მუზეუმების გაერთიანების ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გალაქტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ სამუზეუმო მემორიალური სივრცის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ისე, რომ სრულად იქნა დაცული როგორც ბინა – მუზეუმის მემორიალური თავისებურება, ისე სამუზეუმო საჭიროებები, გარდა ამისა, მომზადდა საფონდო აღწერილობის ელექტრონული ბაზის საერთო ანგარიში და განახლებული ექსპოზიცია;

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში დასრულდა ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა და ექსპოზიციის განახლება, დასრულდა შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ახალი სამუზეუმო სივრცის გახსნა იგეგმება 2021 წელს, გამოსყიდული იქნა მერაბ კოსტავას სახელობის სახლ-მუზეუმის შენობის ნაწილი.

გარდა სარესტავრაციო სამუშაოებისა დაიწყო მემორიალური მუზეუმების საფონდო მასალების დადგენილი წესით შესწავლა და ახლა სამუზეუმო საცავებსა და ფონდებში განთავსება, მიმდინარეობს სამუზეუმო ფონდში დაცული სამხატვრო ფონდის, ფერწერული ტილოებისა და გრაფიკული ექსპონატების

დიაგნოსტიკის პროცესი, დადგინდება სარესტავრაციო საჭიროებები და პარამეტრები. გარდა ამისა,

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - გასაახლებელი და აღსაჭურვია სამუზეუმო სივრცეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 6 ობიექტის რეაბილიტაცია და აღჭურვა

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 ობიექტის რეაბილიტაცია და აღჭურვა

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდა ნაკლები ობიექტის რეაბილიტაცია-აღჭურვა

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 1,461.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,577.5 ათასი ლარის 92.6%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2020 წლის გეგმა - 562.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 550.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, “ბიგ-ბენდმა” მონაწილეობა მიიღო ქალაქის მაშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2020 წლის გეგმა - 199.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 183.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები და საზოგადოების დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, „ხოჯევანქი" და ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები). ასევე, გაწეულია ახალ პანთეონში არსებული საფლავების (8 საფლავი) კეთილმოწყობისა და შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის ხარჯები.

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

2020 წლის გეგმა - 816.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 726.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის, გიორგი ცაბაძის სახელობის №25, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლების და ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლის გათბობის ქვაბის მილების რეკონსტრუქციის სამუშაოები, მიხეილ-იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლის დაზიანებული ინსტრუმენტების,

ინვენტარის, ტექნიკის დაშლის და გატანის, გათბობის ქვაბის შეკეთების სამუშაოები, №23 ხელოვნების სკოლის დაზიანებული ინსტრუმენტების გატანის, გამოუსადეგარი (ჩამოსაწერი) მატერიალური ფასეულობების დადგენის მიზნით, დასკვნის მომზადების ხარჯები, ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №5 ხელოვნების სკოლის გათბობის სისტემის საცირკულაციო ტურბოს შეცვლის და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის ელექტროგაყვანილობის მოწესრიგების და მცირე სარემონტო სამუშაოების ხარჯები, გიორგი ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის, ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის შენობის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლის, №21 ხელოვნების სკოლის, რევაზ ლაღიძის სახელობის №4 ხელოვნების სკოლის, ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის შენობის და არჩილ ჩიმაკაძის №3 ხელოვნების სკოლის ეზოში კანალიზაციის სისტემის სარემონტო-სარებილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის სადიზენფექციო სამუშაოების და მათთვის ჰიგიენის, სამედიცინო და სადეზინფექციო საშუალებების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 18 კულტურის ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება და თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, მათ შორის: სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 12 ობიექტი, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - 3 ობიექტი, სხვადასხვა ღონისძიებები - 8 ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 4 ობიექტი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 5 ობიექტი, მცირე სარემონტო სამუშაოები - 5 ობიექტი.

08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური;

2020 წლის გეგმა - 3,787.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,719.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის გადაქცევა რეგიონის კულტურის ცენტრად, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული აქტივობების განხორციელების შედეგად; კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში ერთი ღონისძიება, თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით 19 ღონისძიება, ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 165 ღონისძიება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელდა 171 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 4500 მონაწილე საშუალოდ წლის განმავლობაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 185 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 3500 მონაწილე.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 13,257.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 15,571.5 ათასი ლარის 85.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

2020 წლის გეგმა - 3,378.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,181.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები; მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 18 სპორტული ფედერაცია: ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, კრივის, მშვილდოსნობის, საწყლოსნო სახეობების, ქართული ჭიდაობის, ნარდის, ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, გირის სპორტისა და მასრესლინგის, საქართველოს 2 სპორტული ფედერაცია: ჭიდაობის და მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციები, ასევე დაფინანსდა: ა(ა)იპ "მშვიდობის თასი-საქართველო", "ახალგაზრდული მედია-კავშირი", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლა ნიკე“, ა(ა)იპ კავშირი „კასტირიონი“, ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რაშები“, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „თბილისი სითი“, ა(ა)იპ "სპორტული კლუბი დიდუბე 2014", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ "ფენიქსი 2020", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობების და თამაშების ასოციაცია",

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 53 პროექტი (აქედან 10 პროექტი ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების გამო გაუქმდა), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9346 ბენეფიციარმა (მათ შორის 7284 კაცი, 2062 ქალი), კერძოდ: თბილისის

თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ჭადრაკში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო სროლაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ცურვაში, კარატეში, ნარდში, საავტომობილო სპორტში, ქართულ ჭიდაობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში,

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: კრივში, მშვილდოსნობაში, ქალთა ფეხბურთში, ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში,

დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრება მშვილდოსნობაში, ფეხბურთში, ქალთა ფეხბურთში და უშუში, სახელობითი ტურნირი ჰოკეიში.

განხორციელდა თბილისის მშვილდოსნობის კლუბებისთვის და გირის სპორტის, მას-რესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის, (ძალისმიერი ფიტნესის) ნაკრები გუნდისთვის დარბაზისა და ღია მოედნის იჯარის დაფარვა. ასევე, დაფინანსდა ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მომზადება ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მონაწილეობისთვის, ფეხბურთის ასაკობრივი ჩემპიონატი „მშვიდობის თასი-2020“, დაბა ბაკურიანში ეტლით თხილამურების ჩემპიონატი-2020 შშმ ჯარისკაცებსა და ვეტერანებს შორის, პროექტი „სპორტფოტო 2019“, სამოყვარულო ჩემპიონატები "თბილისის ლიგა 2020" და "MASTER LEAGUE" და "CHALLENGE LEAGUE" 7X7 ფეხბურთში, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობა,

თბილისელი სპორტსმენების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით უზრუნველყოფისთვის დაფინანსდა 11 ორგანიზაცია: ა(ა)იპ "საფეხბურთო სკოლა ნიკე", ა(ა)იპ რაგბის კლუბი"რაშები", ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი თბილისი სითი", ა(ა)იპ "თბილისის ნიჩბოსნობის ფედერაცია", ა(ა)იპ "ფენიქსი 2020", ა(ა)იპ "გირის სპორტის, მას-რესლინგის ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესის) თბილისის ფედერაცია, ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობების და თამაშების ასოციაცია", (ა)იპ "საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "ქალაქ თბილისის მკლავჭიდის ფედერაცია, ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "დიდუბე 2014",

2019 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ორი თბილისელი სპორტსმენი ჭიდაობაში და მკლავჭიდში,

გარდა ამისა, ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ წყალბურთელთა გუნდი ,,თბილისი", ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად დაფინანსდა შპს წყალთა სახეობის ცენტრი - „ტონუსი",

მიმდინარე წელს კორონა ვირუსით COVID-19 გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით დაფინანსდა: თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად და კომუნალური ხარჯების დასაფარად - ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი და ა(ა)იპ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი; თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად და ინვენტარის შესაძენად - ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი; თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად, კომუნალური ხარჯების დაფარვის, მუხიანის რაგბის კომპლექსის სპორტსმენთათვის სპორტული კატეგორიების მიხედვით განკუთვნილი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით და რაგბის ბურთების შესაძენად - ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი; თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად - ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიურ მზადების სპორტულ ცენტრი და ა(ა)იპ „მარინა ცეცრცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტულ ცენტრი"; ჰიგიენის, სამედიცინო და სადეზინფექციო საშუალებების შესაძენად - ა(ა)იპ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი და ა(ა)იპ მარინა ცეცრცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი,

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2020 წლის განმავლობაში გაგრძელებისთვის - ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსურ სპორტულ ცენტრი, ა(ა)იპ მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის

ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ჩოგბურთის განვითარება, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ფეხბურთის ცენტრი იმედი, ა(ა)იპ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი,

ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით, დაფინანსდა: ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ჩოგბურთის განვითარება, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიურ მზადების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 2.2 ათასი ლარი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, თბილისის გუნდებისათვის (PCR) ტესტების ჩასატარებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაფინანსდა 258 პროექტი (მათ შორის 230 სპორტული ღონისძიება და 28 ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 270 სპორტული ღონისძიების ჩატარება (მათ შორის 240 სპორტული ღონისძიება და 30 ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 54 პროექტი: (მათ შორის 43 სპორტული ღონისძიება და 11 ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილი ღონისძიებების უმეტესობა ვერ განხორციელდა პანდემიიდან გამომდინარე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაჯილდოვდა 59 სპორტსმენი, მათ შორის 3 ქალი, 56 კაცი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაჯილდოვდა 2 სპორტსმენი, (2 კაცი)

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიიდან გამომდინარე უმეტეს სახეობებში გაუქმდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 47 300 ბენეფიციარი (მ.შ. 30 000 კაცი, 17 300 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიიღო 9 346 ბენეციარმა (მ.შ. 7284 კაცი, 2062 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელებისას დაბალი მომართვიანობა.

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 2,301.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 348 მწვრთნელ - მასწავლებელს (მათ შორის: კაცი - 281, ქალი - 67), რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს. ესენია: ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, ჭადრაკი, მეკლდეურობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, ბატუტზე ხტომები, ბ/რ და თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ძალოსნობა, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, აფროსნობა, ძიუდო, კრივი, ხელბურთი, სროლა, ველოსპორტი, რაგბი,

ბეისბოლი და სოფტბოლი, ჩოგბურთი, სამბო, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, კარატე, თანამედროვე ხუთჭიდი, ფუტზალი, ბალახის ჰოკეი, მფრინავი დისკი, უშუ, ბადმინტონი, პარალიმპიური სპორტის სახეობები (პარაწოლჭიმი და პარამშვილდოსნობა), მკლავჭიდი, ხრიდოლი, კიოკუშინკაი კარატე, ფეხბურთი, პანკრატიონი, ტაეკვონდო, ამერიკული ფეხბურთი, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი და ამპუტანტთა ფეხბურთი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 349 მწვრთნელ – მასწავლებელი (მ.შ. 278 კაცი, 71 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 348 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 281 კაცი, 67 ქალი).

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 13.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის ჩენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ც. დადიანის ქუჩაზე სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობის მიზნით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 25 ფიტნეს-ტრენაჟორს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, შერჩეულია ახალი სკეიტ-პარკის მოსაწყობი ადგილი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი სკეიტ-პარკის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა სკეიტ-პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სპორტული ცენტრები.

2020 წლის გეგმა - 8,610.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,560.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 76.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა; არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების/რეაბილიტაციის სამუშაოები და დარბაზის ავეჯით და ჟალუზებით აღჭურვა; ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები, საცურაო აუზის აღჭურვა ავეჯით და ჟალუზებით; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედისთვის“ სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, ცენტრის აღჭურვა ავეჯით და ჟალუზებით; ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარების“ ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაციის სამუშაოები; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულების - გლდანის სპორტული კომპლექსის და კულა გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზის სარეაბილიტაციო - სარემონტო სამუშაოების და მუხიანის რაგბის კომპლექსის ბუნებრივსაფარიანი მოედნის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის, ვარკეთილის

ახლადრეაბილიტირებული სპორტული ბაზის საინფორმაციო სარეკლამო ბანერის შეძენა, ლილოს სპორტული ცენტრის ახლადაშენებულ საცურაო აუზზე გაზის შიდა სამონტაჟო სამუშაოები, ვარკეთილის ფიტნეს დარბაზის და ლილოს საცურაო აუზის სარკეებით და სიგნალიზაციით აღჭურვა, ლილოს ბაზაზე დენის, გაზის და წყლის სიმძლავრეების მომატება; სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები. გრძელდება დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის და ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და გადარიცხულია მულტიფუნქციურ ცენტრებში კომუნიკაციების დაერთების ავანსი; ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრისთვის სამაცივრო დანადგარის შესაძენად გადარიცხულია ავანსი..

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მომზადდა 6 სპორტული ობიექტის (მათ შორის 2 სპორტული ცენტრი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2 სპორტული ობიექტის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა 1 სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაიწყო 5 სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია, მათ შორის დასრულდა 2 ობიექტი; დასრულდა 1 სპორტული ობიექტის მშენებლობა, გრძელდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის და 1 სპორტული ობიექტის მშენებლობის სამუშოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 4 სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია; 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის დასრულება და 1 სპორტული ობიექტის დასრულება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ერთი სპორტული ობიექტის მშენებლობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 სპორტულ ობიექტს, გრძელდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის სამუშოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, 2 სპორტული ობიექტის სპორტული ინვენტარით აღჭურვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სპორტული ობიექტების სპორტული ინვენტარით და ავეჯით აღჭურვა.

მიღწეული მაჩვენებელი - 3 სპორტული ობიექტი აღჭურვილია სპორტული ინვენტარით და ავეჯით.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 357.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 356.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული 34 სპორტის სახეობის 18 წლამდე ასაკის 247 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (მათ შორის: ბიჭი - 165, გოგო - 82). სპორტული სახეობებია: ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ცურვა, სინქრონული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, მეკლდეურობა, ჩოგბურთი, სამბო, უშუ, კარატე, ტაეკვონდო, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი, ველოსპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ბადმინტონი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მათ შორის: 148 ვაჟი, 93 გოგონა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 260 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

მიღწეული მაჩვენებელი - 247 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.165 ვაჟი, 82 გოგონა.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2020 წლის გეგმა - 911.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 845.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი; პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"-ს ფუნქციონირების ხარჯები: ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელი–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 217 პარასპორტსმენი (მათ შორის 189 მამაკაცი და 28 ქალი) და 20 მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა, ესენია: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, ფეხბურთი და პარატაეკვანდო. ასევე, ცენტრში ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება, პარასპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ჩემპიონატებსა და ტურნირებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს პარაცენტრში 15 სახეობაში მიმდინარეობდა საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იყო 231 პარასპორტსმენი, მ.შ. კაცი - 202, ქალი - 29.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 19 პარასპორტული სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - 15 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია 217 პარასპორტსმენი, მ.შ. 189 კაცი, 28 ქალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - Covid 19-ის პანდემიიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა ახალი სახეობების განვითარება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო - 34 პარასპორტსმენმა მ.შ. 30 კაცი, 4 ქალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილე 3 პარასპორტსმენი (3 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცენტრის სამოქმედო გეგმა მთლიანად დაფუძნებულია პარასპორტის საერთაშორისო ასოციაციების და შეჯიბრებების ორგანიზატორების მიერ მოწოდებულ კალენდარზე. ასევე, მნიშვნელოვანია პარასპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამდენადაც შესაძლებელია პარასპორტმენმა ვერ მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებებში. Covid 19-ის პანდემიიდან გამომდინარე გაუქმდა საერთაშორისო შეჯიბრებები.

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 1,833.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,980.9 ათასი ლარის 92.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2020 წლის გეგმა - 1,303.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,194.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის და ხარისხის გაუმჯობესება; კოჯორის მულტიფუნქციური ახალგაზრდული სოფელის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ა(ა)იპ საზოგადოებრივი აზრის პროექტი - „ახალგაზრდული ღონისძიება კრწანისის რაიონში“, რომლის მიზანია ახალგაზრდებისთვის პოზიტიური განწყობის შექმნა და მათი ჩართვა გასართობ-შემეცნებით აქტივობებში, ა(ა)იპ მშვიდობისა და ინტეგრაციის პროექტი - „ახალგაზრდები პოზიტიური ცვლილებებისთვის“, რომლის მიზანია გაზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა არაფორმალურ, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებში, ხელი შეუწყოს გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები მოხალისეობრივად მართონ პროექტები და ღონისძიებები, ა(ა)იპ „აფხაზეთი - ჩემი სახლის“ პროექტი „დებიუტი (მეოთხე გამოცემა)“, რომლის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის მოტივირება და ხელშეწყობა, ა(ა)იპ „პროფესიული სახელოსნოს“ პროექტი - „პროფესიული სახელოსნო ახალგაზრდებისთვის“, რომლის მიზანია ახალგაზრდების პროფესიული და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, საქველმოქმედო ფონდის - „ვორლდ იუნაითიდ ქეარის“ პროექტი - „სიკეთის პლატფორმა World United Care“, რომლის მიზანია მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაჭრა ახალგაზრდული საქმიანობისა და პროექტების ხელშეწყობის გზით, ა(ა)იპ „საქართველოს კიბერ სპორტის ფედერაციის“ პროექტი - „#დარჩი სახლში“, რომლის მიზანია ახალგაზრდებისთვის სახლში ყოფნის დროის ნაყოფიერად გატარება, „ამერიკის მეგობართა კლუბის“ პროექტი - „Happy Birthday America - ჩვენ ყველაფერი გამოგვივა ერთად“, რომლის მიზანია ქართველი და ამერიკელი ახალგაზრდების დაახლოებისა და თანამშრომლობის პროცესის ხელშეწყობა, ა(ა)იპ „შენთვის ანუ ყველასთვის“ პროექტი - „ექსტრემალი - გადალახე ბარიერი“,

რომლის მიზანია ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება, ექსტრემალური სპორტის პოპულარიზაცია და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ა(ა)იპ „ახალგაზრდული ასოციაცია დრონის“ პროექტი - „ახალგაზრდული სამუშაო გასვლითი შეხვედრა“, რომლის მიზანია ახალგაზრდობის სფეროში მომუშავე მხარეების ჩართულობის ხელშეწყობა თბილისის მუნიციპალური ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში, "ფესტივალი 1862"-ის პროექტი - "ქუჩის ხელოვნების ფესტივალი", რომლის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის მოტივირება და ხელშეწყობა, „ახალგაზრდები მშვიდობისა და თანასწორობისათვის“ პროექტი - „საერთაშორისო ბანაკი ეკო განათლებისთვის“, რომლის მიზანია ქართველმა და უცხოელმა ახალგაზრდებმა გაიღრმავონ ცოდნა და მიიღონ გამოცდილება გარემოს დაცვის, კომუნიკაციისა და შემოქმედებითი უნარების, დროის მართვისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიმართულებით, „საბავშვო ფესტივალი”-ს პროექტი - „თბილისის საბავშვო ფესტივალი 2020“, რომლის მიზანია მოზარდებისა და სასკოლო ასაკის სფეროს განვითარება ბავშვების, მოზარდებისა და მათი მშობლების, ასევე, ადგილობრივ ბაზარზე არსებული მწარმოებლების, ცენტრებისა და სასწავლო დაწესებულებების სხვადასხვა აქტივობაში ჩართვითა და მათთვის საბავშვო სერვისებისა და პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით, „საერთაშორისო ახალგაზრდული საქველმოქმედო ცენტრი არტ-ფესტის“ პროექტი - „ბანაკი „ელადა“, რომლის მიზანია სოცალურად დაუცველი ოჯახებისა და მრავალშვილიანი ოჯხების მოზარდებისთვის პანდემიის პიროებებში მიღებული სტრესის დაძლევაში დახმარება და მათი უნარ-ჩევევების განვითარება სხვადასხვა სახის სოცილურ აქტივებებში ჩართვით, „სამოქალაქო ინიციატივა - საზოგადოების ჯანმრთელობისათვის“ პროექტი -„საზაფხულო სკოლა“, რომლის მიზანია დედაქალაქში არსებული სტუდენტური ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ჩართულობის გაზრდა საერთო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის” პროექტები - „მოხალისეთა სკოლა - „მოხალისეები ახალი

იდეებისთვის“ და „საჯომარდო ბანაკი“ (ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია), ა(ა)იპ ,,სამკერვალო საგანმანათლებლო საწარმო 3ს“-ის პროექტები - “სოციალური და სტუდენტური აქცია დამცავი ნიღბების ტარების მნიშვნელობასთან დაკავშირებით“ და „სამკერვალო საგანმანათლებლო საწარმო 3ს“, „სტარტაპ ინიციატივების ცენტრის“ პროექტი - „ახალგაზრდული სახელოსნო“, რომლის მიზანი იყო სამუშაო სივრცის შექმნა და დასაქმების ხელშეწყობა თვითდასაქმებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი-ის პროექტი - „ინკლუზიური ხელოვნება, რომელიც ქალაქს უკეთესს ხდის“, რომლის მიზანია ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა, შშმ ბავშვების ჩართვა შემოქმედებით პროექტებში, ა(ა)იპ "საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის" პროექტი - "თბილისის ჩემპიონატი: ფეინტბოლი - ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად", რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების გართობისა და დასვენების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ – 596.7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება, სახლის (9 ფილიალი) მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, კავშირგაბმულობის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის და ინვენტარის განახლების, ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით და პანდემიის პერიოდში თანამშრომელთა სახელფასო ფონდის (მარტი-დეკემბერი) შესავსებად. საანგარიშო პერიოდში სახლის ფილიალებში განხორციელდა 4 სასწავლო-შემეცნებითი პროექტი (,,არტ გაზაფხული’’, ,,გაიცანი საქართველო’’, ,,საჭადრაკო ჩემპიონატი’’ და ,,შობა-ახალი წელი’’), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1400-მდე მოსწავლემ, კორონა ვირუსის პანდემიის გამო საგნობრივი და სახელოვნებო მიმართულების წრეებში სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურად. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სამგორის ფილიალში (კალათბურთის დარბაზში დამონტაჟდა

სანათურები, მოეწყო შენობის წვიმსაწრეტი მილები), მცირე შეკეთებითი სამუშაოები ჩატარდა ჩუღურეთის, ნაძალადევისა და ისნის ფილიალებში, ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის დახმარებით შეძენილ იქნა მინანქრის კაბინეტის აღჭურვილობა.

ასევე, კოჯორში 30000 კვ.მ ფართობზე მრავალფუნქციური ახალგაზრდული სოფლის მშენებლობის მიზნით, მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს მხარდაჭერილი იყო 30 ახალგაზრდული ინიციატივა, ბანაკებში და ლაშქრობებში მონაწილეობდა 1 500 ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მხარდაჭერილი იქნა 24 ახალგაზრდული ინიციატივა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შემცირდა ინიციატივები და ვერ განხორციელდა ბანაკების და ლაშქრობების მოწყობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დასრულდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის პირველი ეტაპი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაცია, კოჯრის ახალაგზრდული სოფლის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 08 02 თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

2020 წლის გეგმა - 677.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 639.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მასობრივ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა; ცენტრის პროგრამების ბენეფიციართა რიცხვის გაზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრში - მინდინარეობდა ახალგაზრდების საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო კურსების ორგანიზება, სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა ყოველდღიურად მხოლოდ სასწავლო კურსებზე (ინგლისური ენა, ხელნაკეთი ნივთები, გრაფიკა, ხატვა და ჭადრაკი) ჰქონდა 120-მდე ახალგაზრდას, კოვიდპანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, ცენტრში სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურად;

ახალგაზრდული ბარათი - 2020 წელს ცენტრის მიერ გაკეთდა ოფიციალური განაცხადი „ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის“ (EYCA – European Youth Card Association) წევრობაზე და წარმატებით გაიარა შერჩევის ეტაპი, ბარათის გაცემასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება 2021 წლიდან;

SALTO ხარისხის ნიშანი - EVS+ აკრედიტაცია - საერთაშორისო მოხალისეობრივი პროგრამებში თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვისა და თბილისში უცხოელი მოხალისეების მიღების მიზნით ცენტრმა, 2020 წელს გააკეთა ოფიციალური განაცხადი SALTO-ს აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რესურს-ცენტრში, მიენიჭა აკრედიტაცია და უკვე შეუძლია უმასპინძლოს მოხალისეებს;

ევროკავშირის საგრანტო პროექტი - „UPGRADE“-ის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები - თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და ახალგაზრდული გაცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 500-მა ახალგაზრდამ და განხორციელდა ახალაზრდების გაცვლა - 37 მონაწილე.

არაფორმალური განათლების მხარდაჭერისა და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების პროგრამების ფარგლებში მოეწყო ზამთრის ბანაკი დედაქალაქში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისთვის, პროექტში მონაწილეობა მიიღო 393 ახალგაზრდამ;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „მერიის სტიპენდიანტთა ასოციაციის“ შესაქმნელად, მოეწყო სტიპენდიანტთა სამუშაო ფორუმები, რომლის მთავარი მიზანია, ამ კონკრეტულ ბენეფიციართა ჯგუფის მხარდაჭერა და მათი გაძლიერება. ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 90 სტიპენდიანტმა;

ცენტრი აქტიურად იყო ჩართული კოვიდ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივობებში. კერძოდ, ადმინისტრირება გაუწია მოხალისეთა პლატფორმას (Stop Covid 19, რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც სატელეფონო (ქოლ-ცენტრი) ცენტრის სახით, ასევე, ახორციელებდა მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროდუქციის მიწოდებას) და დააფინანსა 6 ჯგუფის (თითოეულში 10-15 ადამიანი) ტრანსპორტირების (საცხოვრებელი სახლიდან შტაბამდე და პირიქით) ხარჯები. ასევე, ამ მოხალისეთა ტრანსპორტირება სურსათის დარიგების პროცესში თბილისის 10 რეგიონში სხვადასხვა ლოკაციაზე;

პროგრამა მერიასთან ერთად - განხორციელდა რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის მასობრივი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციისა და ცენტრის მიერ დაგეგმილი პროექტების ბენეფიციართა მომსახურება ტრანსპორტირების სახით, ჯამში მხარდაჭერით ისარგებლა 1 890 ადამიანმა;

2020 წლის განმავლობაში ჩატარდა 10-მდე მსხვილი ფორუმი ან/და კონფერენცია, დედაქალაქში მოქმედმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, რამდენიმე ათეულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სპორტულმა ფედერაციებმა და ახალგაზრდულმა ჯგუფებმა განახორციელეს 30-მდე პროექტი და აქტივობა. მათ შორის:

„ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდულმა ფონდმა“ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ მხარდაჭერით, გამართა საახალწლო ღონისძება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150-მა ახალგაზრდამ მათ შორის

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვისა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახებიდან;

ცენტრმა პარტნიორ ორგანიზაციებთან - ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონი“ და სტუდენტურ ინიციატივა „ამოიცანი შესაძლებლობასთან“ ერთად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კარიერული ფორუმი ჩაატარა. ღონისძიებას 100-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაესწრო;

ახალგაზრდული ასოციაცია დრონის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ახალგაზრდული გაცვლა „We Can Do It! - ჩვენ ეს შეგვიძლია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის 12 ქვეყნის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;

#დარჩი სახლში - თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით მარტსა და აპრილში თვითიზოლაციაში და კარანტინში მყოფი მოსახლეობის მხარდასაჭერად ჩატარდა შემოქმედებითი ღონისძიებები, კერძოდ ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა გამართეს არაერთი Live კონცერტი, რომელსაც სოციალური ქსელების საშუალებით ისმენდნენ მოქალაქეები. ხელოვანები შეხვედრის განმავლობაში აჟღერებდნენ პროექტის მთვარ მესიჯს #დარჩი სახლში და #უსმინე თბილისს;

ჯომარდობა 2020 - ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი აქტივობაა ახალგაზრდებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 400-მა ბენეფიციარმა;

სეუს სტუდენტური კონფერენცია - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტთა გასვლითი სამუშაო ფორმატის შეხვერდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 63 მონაწილემ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განხორციელებული ღონისძიება/აქტივობა - 90; გადამზადდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 500 წარმომადგენელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განსახორციელებელი ღონისძიება/ააქტივობა -

100; გადამზადდება თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 1000 წარმომადგენელი.

მიღწეული მაჩვენებელი - ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განხორციელებული ღონისძიება/აქტივობა - 30; გადამზადდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 483 წარმომადგენელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ განხორციელდა ტრენინგები და სასწავლო კურსები, ახალგაზრდული ჯგუფები და ორგანიზაციები ვერ ახორციელდებდნენ აქტივობებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2019წელს მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 360 ახალგაზრდა გადამზადდა, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლეა 420 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 400 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე 450 ახალგაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 80 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე 120 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ განხორციელდა გადამზადების პროგრამა, ასევე ვერ ხერხდებოდა საკლასო სწავლების განხორციელება.

3.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 15000 ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში მონაწილე 16000 ახალგაზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩაერთო 7800 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ განხორციელდა დაგეგმილი აქტივობები.

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 608.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 569.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება; შემოქმედებითი ინდუსტრიის მოგებასა და ეკონომიკის გაძლიერებაზე მიმართვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 51 პროექტი, მათ შორის: 25-მდე მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტის ელექტრონული ვერსია, დაიბეჭდა 6 გამოცემა, კერამიკული ფილებით მოპირკეთდა სამხატვრო აკადემიის და რუსთაველის გამზირის დამაკავშირებელი კიბე, დასრულდა რუსთაველის გამზირის დანომვრა თემატურად დამზადებული კერამიკული აბრებით, ძველ თბილისში განთავსდა სპეციალური პროექტორები კონკრეტული სივრცის შესახებ ისტორიით, შეიქმნა ჩატბოტი „თბილისი“ და თანამედროვე საგალერეო სივრცეებში გაიმართა გამოფენები, შეიქმნა თანამედროვე და ტრადიციული ხელნაკეთობების, ბიოდეგრადირებადი ტყავის ნაწარმის ნიმუშები და სხვა. აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის გათვალისწინებით, გარკვეული პროექტები ფიზიკური სივრციდან გადავიდა ინტერნეტ სივრცეში და განხორციელდა სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების საშუალებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 23 პროექტი, 350-მდე ქართველი და უცხოელი ხელოვანის, 32-მდე მოწვეული უცხოელი ექსპერტის ჩართულობით საშუალოდ წლის განმავლობაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 51 პროექტი, 250-მდე ქართველი ხელოვანის ჩართულობით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიზღუდა ხალხმრავალი ღონისძიებების, მოწვეული სტუმრების რაოდენობა, ხოლო უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების დაგეგმილი მაჩვენებლის რაოდენობა პრაქტიკულად განულდა.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 116.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 182.4 ათასი ლარის 63.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 1.5 ათასი ლარი დაფინანსებულია 1.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა, შშმ პირების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა და მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციაში დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია დედის დღის და 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებით გათვალისწინებული მოსაწვევების ბეჭდვის ხარჯები.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 1.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 2019 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების ხარჯები.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 10.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 10.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტული ღონისძიებისათვის - მარათონი „ჩემი გაზაფხული 2020“ საჭირო ინვენტარის (მაისურები, თასები, მედლები) შეძენის ხარჯები და სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახების ბავშვებისათვის კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ჩატარებულია 13 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის 7 კულტურული და 6 სპორტული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 1 სპორტული და 1 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 61.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თავისუფალი ჭიდაობის, მინი ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ნარდის, შაშისა და ჭადრაკის ტურნირის ორგანიზება, ახალი სკვერებისა და სტადიონების საზეიმო გახსნაზე ბავშვების სპორტული აქტივობებისა და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, დედის დღისადმი და მარიამობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ასევე, გაწეულია საახალწლო ნაძვის ხის დემონტაჟის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს ჩატარდა 9 სპორტული, 2 შემეცნებითი და 7 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 9 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის: 6 სპორტული და 3 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 27.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 27.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის ახალგაზრდობის ჩართულობა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობისათვის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოზარდებისათვის სპორტული მაისურების და შორტების შეძენის, მინი ფეხბურთის ტურნირის ორგანიზების, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის კულტურული ღონისძიების და კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ გამოფენის ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად იმართება საშუალოდ 10-მდე სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 6 სპორტული და 10 კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 5 კულტურულ - სპორტული ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეზღუდული იქნა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 9.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ქალთა დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების და აბაშვილის №3-ში არსებულ სკვერში სკეიტბორდის ბეტონის კედლის მოხატვის და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო - სპორტული აქტივობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 7 კულტურულ-საგანმანათლებლო და 10 სპორტული ღონისძიება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 სხვადასხვა ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის

გათვალისწინებით, შეზღუდული იქნა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2020 წლის გეგმა - 70.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 6.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საგარიშო პერიოდში ჩატარდა ერთი კულტურული ღონისძიება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 10 ღონისძიება, მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეზღუდული იქნა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2020 წლის გეგმა - 395.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 388.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ცეკვის/ბალეტის პოპულარიზაცია, მრავალფეროვანი რეპერტუარი; ქართული თანამედროვე ბალეტით დაინტერესებულ პირთა გემოვნების ამაღლება; საერთაშორისო კავშირების დამყარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების ხარჯები, გაიმართა 10-მდე ღონისძიება და გაწეულია საიჯარო ხარჯები. 2020 წელს დაიგეგმა თანამშრომლობა საბალეტო დასსა და ლონდონის თანამედროვე სახელოვნებო სივრცის Studio Wayne McGregor - ს შორის, თანამშრომლობის ფარგლებში დასის მოცეკვავეებისთვის ჩატარდა ბრიტანელი ქორეოგრაფის უეინ მაკგრეგორის რეპერტუარის ვორკშოპი, რომელსაც უძღვებოდა უეინ მაკგრეგორის დასის მოცეკვავე და მიწვეული პედაგოგი ლუის მაკმილერი. ასევე, ილიკო სუხიშვილმა დაიწყო დასთან მუშაობა და ახალი სპექტაკლის სადადგმო პროცესი, გაზაფხულზე პანდემიის შედეგად გამოწვეულ ახალ რეალობაში დასმა შექმნა თანამედროვე ცეკვის ტექნიკის ვიდეო კლასების სერია (13 ვიდეო კლასი), რომელიც გათვლილი იყო სახლის პირობებში და ღია ცის ქვეშ ბუნებაში სავარჯიშოდ, თეატრმა დაიწყო ქორეოგრაფიის ვირტუალური წარმოდგენების ციკლი, დასმა შექმნა შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიდეო პროექტი (6 ვიდეო გადაცემა) და გაიმართა თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი ინტენსიური ვორქშოპი, შეიქმნა თანამედროვე საბალეტო კომპოზიცია ამერიკაში მოღვაწე როკ ჯგუფის დამოუკიდებელი პროექტისთვის (მუსიკალური კლიპისათვის ქორეოგრაფიული კომპოზიციის გადაღება რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე შედგა), თბილისის ბაროკო ფესტივალში ბალეტმა განსხვავებული ფორმით მიიღო მონაწილეობა, გაიმართა შემეცნითი ვიდეო წარმოდგენა, ბალეტი ჩაერთო საერთაშორისო ონლაინ პლატფორმაში, მიმდინარეობდა 2020-2021 წლის თეატრალური სეზონის გახსნის მოსამზადებელი რეპეტიციები და სამუშაოები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 30-მდე სხვადასხვა პროექტი, ვიზიტორების რაოდენობა 4 000-მდე, გასტროლი -1.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 36 სხვადასხვა პროექტი, მათ შორის: 10 ღონისძიება, 6 შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიდეო-პროექტი, 7 ვორკშოპი, თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი - 13 ვიდეოკლასი.

08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 51.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემეცნებითი და შემოქმედებით პროექტების ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართვა და ადაპტაცია სოციალურ გარემოში; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარუფლებიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პროექტები: „ReFill Home", "უსინათლო და მცირემხედველ პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციასა და ლიტერატურაზე", „მუსიკალური ღონისძიება ღია ცის ქვეშ", „ხელოვნება გვაერთიანებს", „ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე პირები და ახალი ტექნოლოგიები", ,,სახვითი და გამოყენებითი ნამუშევრების გამოფენა და ფოლკლორული კონცერი", „დუდას თავგადასავალი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 22.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრისათვის" ჟურნალის „სინათლე" ბრაილითა და ბრტყელი მსხვილი შრიფტით გამოცემის უზრუნველსაყოფად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს განხორციელდა 18 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 140-მდე შშმ პირი საშუალოდ წლის განვალობაში


დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა


მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 7 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 100-მდე შშმ პირი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფინანსება გამოეყო 10 პროექტს, განხორციელდა 7, რადგან პროექტის განხორციელება განმცხადებლების ინიციატივით, კორონავირუსული პანდემიისა თუ სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელი გახდა.

❖ **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**







09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

2020 წლის გეგმა - 520.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 513.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაცული მუნიციპალური ქონება; ვიდეო სათვალთვალო სისტემების დანერგვა-განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვას და ვანდალიზმის პრევენციის გაძლიერებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟდა ელექტრონული ბარიერის (შლაგბაუმი) სისტემა; ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღიჭურვა: დ. აღმაშენებლის გამზ. N89/24, ჟიული შარტავას ქ.N7, გოთუას ქ.N5-ის მიმდებარე ტერიტორია (150 ცალი კამერა), გლდანის რაიონი (25 ცალი კამერა), სამგორის რაიონი (52 ცალი კამერა); თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე/ობიექტებზე მოხდა ვიდეო თვალთვალის გამაფრთხილებელი ნიშნების (აბრები) მონტაჟი (400 ცალი) და ობიექტები აღიჭურვა ფანრებით (55 ცალი); ერთიანი ვიდეო სათვალთვალო სისტემის უკეთ მუშაობის მიზნით, მოეწყო ინფრასტრუქტურა, კერძოდ: შეძენილ იქნა პერსონალური კომპიუტერები და

უწყვეტი კვების წყაროები (4 ცალი), ვიდეო ჩამწერი მოწყობილობების მყარი დისკები (56 ცალი), ოპერატიული მეხსიერებები (8 ცალი). ასევე, მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებისა და საგანგებო სიტუაციის დროს, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 2397 ულუფა საკვები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს დაცულია 64 მუნიციპალური ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაცული 67 მუნიციპალური ობიექტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების მომართვის საფუძველზე გაიზარდა ობიექტების რაოდენობა

2.საბაზისო მაჩვენებელი - ვიდეო სათვალთვალო სისტემების გაძლიერების მიზნით, ქსელში ჩართული კამერების რაოდენობაა 415 ცალი (მ.შ. 342 ცალი შეძენილი, 73 ცალი გადმოცემული).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩართული იქნება 225 ცალი კამერა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამატებით ჩაირთო 252 ცალი კამერა (მ.შ. 227 ცალი შეძენილი, 25 ცალი გადმოცემული).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გადმოცემულია დედაენის და 9 მარტის ბაღების გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერები, რამაც გამოიწვია დაგეგმილ და საბოლოო შედეგს შორის განსხვავება.


09 02 ცხოველთა მონიტორინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4,154.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3,935.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86%-ია და 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 527.6 ათასი ლარით მეტია, გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“

მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 78%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 17%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: თავშესაფრის ტერიტორიაზე ჩატარდა გარე ვოლიერების სარემონტო სამუშაოები, საკანალიზაციო სისტემის კაპიტალური რემონტი, აშენდა ახალი საკატის შენობა, რომლის შიდა სარემონტო სამუშაოების დასრულება იგეგმება 2021 წელს, შესყიდული იქნა 9 ერთეული ოპერატიული ავტომანქანა და 2 ერთეული ჰიბრიდული ტიპის ავტომანქანა, 6 ერთეული სამედიცინო მანქანა დანადგარი და ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა.

ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 54643 შეტყობინება, მათ შორის 52653 სატელეფონო და 1990 წერილობითი, რის შედეგადაც დაჭერილია 9248 ცხოველი და 498 ქვეწარმავალი,

მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 741 ცხოველი (შინაური ცხოველების გაჩუქების აქცია 2-ჯერ გაიმართა), მიეკედლა 1882 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა 104 და ბუნებრივ არეალში გაშვებულ იქნა 3730 ცხოველი, სხვა თავშესაფრებში გადაყვანილ იქნა 191 ცხოველი, მიმდინარე პერიოდში ცხოველებს ჩაუტარდა 4870 ოპერაცია, მათ შორის 3028 სტერილიზაცია, 1692 კასტრაცია და 150 სხვა სახის ოპერაცია, ევთანაზია ჩაუტარდა 867 ცხოველს, ბუნებრივი ლეტალობა - 1 637 ცხოველს.


ფასიანი მომსახურების ფარგლებში შედგენილია სამართალდარღვევის 5 636 ჯარიმის აქტი, პირუტყვის ყოლის წესების დარღვევის გამო თავშესაფარში გადაყვანილია 15 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაცია ჩაუტარა 5 000-მდე ცხოველს. ამასთან, სააგენტო ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით, პერმანენტულად ახორციელებდა მიუსაფარი ცხოველების მასობრივ გადაცრას. სამაშველო ოპერაციების შედეგად გადარჩენილი იქნა 270 ცხოველი.

ზაფხულის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით სააგენტომ განაახლა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ობიექტების შეწამვლა რეპელენტით, მიმდინარე პერიოდში რეპელენტით დამუშავებულია 305206 კვ.მ ფართობი.

თბილისის ქუჩებში მიუსაფარი ძაღლებისათვის დაიდგა 25 ხის სახლი და 3 საკვები აპარატი (ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში, ვარკეთილი 3-ში და გლდანის მერვე მიკრორაიონში მდებარე პარკებში).

სააგენტოს ორგანიზებით, დედაქალაქის მასშტაბით კერძო და საჯარო სკოლებში ჩატარდა საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილები. ასევე, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ჩატარდა მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები, რომელმაც ხელი შეუწყო ადგილზე პრობლემების შესწავლასა და მათ მოგვარებას.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 13,304.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 12,850.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.6%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 6,006.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 5,639.2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 135.7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 878.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 191.0 ათასი ლარი.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 53,821.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 49,171.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.4%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 24,930.3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 18,700.2 ათასი ლარი, გრანტები - 3,2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 415.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 3,977.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 1,145.5 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (10 02) დაფინანსებულია 12,653.9 ათასი ლარით (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 2,159.5 ათასი ლარი), საფინანსო საქალაქო სამსახური (10 03) – 2,957.1 ათასი ლარით (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, პროცესის ხარჯები და სხვა - 2,192.1 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდის ხარჯები - 0.7 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (10 04) – 487.4 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (10 06) – 652.2 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (10 07) – 4,967.4 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (10 08) – 131.8 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (10 09) – 453.2 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (10 10) – 1,121.5 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (10 12) – 1,450.1 ათასი ლარით (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება - 89.3 ათასი ლარი), უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (10 13) – 5,617.7 ათასი ლარით (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება - 158.4 ათასი ლარი), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (10 37) – 689.1 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა

საქალაქო სამსახური (10 43) – 991.3 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (10 44) – 715.7 ათასი ლარი, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური (10 45) – 148.4 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (10 27) – 1,692.5 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (10 28) – 1,612.6 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (10 29) – 1,470.2 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (10 30) – 1,327.1 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 0.2 ლარი), ვაკის რაიონის გამგეობა (10 31) – 1,627.0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (10 32) – 1,490.4 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (10 33) – 1,869.5 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (10 34) – 1,634.3 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (10 35) – 1,684.6 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (10 36) – 1,726.8 ათასი ლარი.

10 18 სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 3,195.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 2,840.6 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 170.7 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.9%-ია. სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 87.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 1%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე

სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 20 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ;

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 543 პროტესტი/საჩივარი სააგენტოს ინტერესების დაცვისა და კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, განხილვის პროცესში იყო სულ 123 საჩივარი (მათ შორის ურბანული განვითარების საკითხებზე - 78 საქმე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე - 39 საქმე, ტრანსპორტის განვითარების საკითხებზე 5 საქმე და სამოქალაქო სამართლის 1 საქმე). აღნიშნულ საქმეებზე საანგარიშო პერიოდში მომზადდა 161 წერილი, ჩატარდა 89 სასამართლო პროცესი და 16 ზეპირი მოსმენის სხდომა, განხილულია 85 სასამართლო კორესპონდენცია.


სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში ხდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა და საანგარიშო პერიოდში მომზადდა პასუხების პროექტები ფიზიკური და იურიდიული პირებისგან სამსახურში შემოსულ 61 განცხადებაზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე გაიცა 53 საჯარიმო ქვითარი–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მოხდა მათი დაფიქსირება/აღრიცხვა საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში.

ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 170.7 ათასი ლარი საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, M2 კატეგორიის ავტობუსებით, სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების სხვადასხვა რეგიონში გადაყვანისათვის, გაწეული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად (ქალაქ თბილისში კოვიდპროგრამაში ჩართული კლინიკების მედპერსონალის მომსახურებისთვის გამოიყო M2 კატეგორიის 25 ავტობუსი, რა დროსაც ორგანიზება გაეწია და ხდებოდა სხვადასხვა კლინიკებში 1052 მედპერსონალის გადაყვანა).


10 19 სსიპ - ურბანული განვითარების სამსახური საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 492.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 492.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 0,1%.. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 15 ივლისს დასრულდა სსიპ ურბანული განვითარების სამსახურისა და სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შერწყმის პროცესი.

(ათასი ლარი)



10 20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,602.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1,546.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.5% და 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 42,0 ათასი ლარით ნაკლებია. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 0,1%.


(ათასი ლარი)



2020 წელს სამსახურში სულ შემოსულია 25854 განაცხადი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2019 წელი - 31 012) შედარებით 5 158-ით ნაკლებია. აქედან, მშენებლობის ნებართვა (ყველა სტადიის და ქმედების) გაცემულია 7 003 განაცხადზე, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1 557-ით მეტი (2019 წელი - 5 446).

10 21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 927.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 890.2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 96% და 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 111.4 ათასი ლარით ნაკლებია. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96%.

(ათასი ლარი)



სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 2019 წელს წარმატებით დაიწყო თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების აზომვა-აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის ფორმირება GIS პროგრამაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირველი ეტაპი დასრულდა 2019 წელს, რისთვისაც საკუთარი სახსრებიდან გამოიყო 1,700.0 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წელს დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების II და III ეტაპი და სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 1,020.0 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის და სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე